

7



ISSN 0868-4537

სამართალი

პრაქტიკა • მეცნიერება • კუგლიცინტიკა

2

1999

IUS
TBILISI GEORGIA

სამართალი

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№ 2
1999

ბაზოდეის 1998 წლიდან

მარტი-აპრილი

პრაქტიკა ● მეცნიერება ● კუბლიცისტიკა

სარედაქციო კოლეგია:

- ჯანდეთ ბაბილაშვილი
- ვლადიმერ ბაკათაშვილი
- ბელა ბიკაძე
- (მთ. რედაქტორის მოადგილე)
- ნინო ბურჯანაძე
- ოთარ ბაშკაძე
- ავთანდილ დემეტრაშვილი
- ბენაკიონ ზოიძე
- გივი ინჯიკიძე
- მეია ლეკვიანი
- ნოდარ ნიკიანი
- თამარ ნიკიანი
- ნუზარ საგაძე
- გიორგი ტყეშელაძე
- მინია უბიანი
- როსან შენგელია
- შალვა სიკაშვილი
- ლადო შანტაძე

ჟურნალის დაფუძნებლები არიან: ჟურნალ „სამართლის“ რედაქცია, საქართველოს იურიისტთა კავშირი, საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა,

გაერთიანებული საბუნებისმეტყველო

სტატიების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. მასალები, რომელთა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 12 გვერდს, მოგვარდეთ მისამართით: 880046, თბილისი, რუსთაველის გამზირი 80.
ტელ.: 99 02 45, 98 41 50, 99 51 01.

ჟურნალი რეგისტრირებულია თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოში. რეგისტრაციის ნომერია — 4/9-52.

ფასი სახელმწიფოებრივად.



საკიეზალი

მთავროვის გავართოვებულ სხდომებზე

- ჭამლეთ ბაბილაშვილი — გადარჩა საქართველოს — როგორც სტაბილურ და დემოკრატიულ ფასეულობებზე ორიენტირებული ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტი 3
- ლალო ჭანტურია — ჩვენ ვაშენებთ ახალ სახელმწიფოს, ამიტომაც თითოეული ჩვენგანის ტვირთი და პასუხისმგებლობა გაცილებით უფრო მძიმე და დიდია, ვიდრე წარმოგვიდგენია 9
- კახა თარგამაძე — შარშან უმძიმეს პირობებში არ დავთმეთ პოზიციები და არც მომავალში ვაპირებთ დათმობას 13
- ვანტანგ ქუთათელაძე — ჩვენს ქვეყანაში უცხო სახელმწიფოთა სტრატეგიული ინტერესების გადაკვეთა მათი სპეცსამსახურების საქმიანობის გააქტიურებას იწვევს 21
- ნუგზარ ბირკაია — ბატონო პრეზიდენტო! 27

ხელისუფლება

- ლალი შაიშველაშვილი — საპარლამენტო და საპრეზიდენტო რესპუბლიკების თავისებურებები 31

სამართლის თეორია

- ლაშა-გიორგი კუტალია — უმთქმელბის თეორიული დასაბუთების მეთოდოლოგიური თვალსაზრისი 36

სამოქალაქო და სისხლის სამართალი

- თეა ბრეგვაძე — „საქორწინო ხელშეკრულება“ — მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირების საფუძველი 42
- ლუიზა ცხადაძე — შინაურული ანუ საკუთარი ხელით დაწერილი ანდერძი 47
- თამარ იახეშვილი — სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე მასალების წინასწარ შემოწმება 51
- პოლიკარპე (თემურ) მონიავა — პატივისა და ღირსების შელახვისათვის სისხლისსამართლებრივი და საშოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამიჯვნა 55
- ამირან კომახიძე — საზღვაო ნავსადგომთა სადგურებში (პორტებში) სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცების გამოძიების მეთოდის საკითხები 61

წინადადება

- გივი ყვარელაშვილი — დანაშაულის განუცხადებლობის შესახებ კანონის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი 64

პირველი ნაბიჯები მცენიერებაში

- ლელა ჯანაშვილი — ესპანეთის რეგიონალიზმის ტენდენციები 65

სამართლის ისტორია

- აპოლონ კალანდია — სასამართლო პროცესი ლაზიკაში (აგათია სქოლასტიკოსის ცნობების მიხედვით) 68
- ლალი ლოთიკაშვილი — განმწესრიგებელი სხდომის უფლებამოსილებათა კომპეტენციის ფარგლები საბჭოთა პერიოდის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით 75

გამოსათხროვარი

- ზურაბ რატიანი 79

რედაქციის მისამართი: 280048, თბილისი, რუსთაველის გამზარი 80.
ტელ. 99 02 45, 98 41 50, 99 51 01

გადაეცა წარმოებას 22.03.99 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.04.99 წ.,
ფორმატი 70X108¹/₁₆, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5. შეკვ. 384, ტირაჟი 490.

საგამომცემლო პოლიგრაფიული კომპლექსი „სამშობლო“,

თბილისი-280096, შერაბ კოსტავას 14



1999 წლის 19 თებერვალს გაიმართა საქართველოს მთავრობის გაფართოებულ სხდომა. ბთავაზობთ ამ სხდომაზე საქართველოს განეარალური პროკურორის ჯამლეთ ბაბილაშვილის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ლადო ზანტუჩიას, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ჯახა თარგამაძის, საქართველოს უშიშროების მინისტრის ვახტანგ კუთათელაძისა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის თავმჯდომარის, ძ. თბილისის გლდანის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარის ნუზარ ბირკაიას მოხსენებებს.

* * *

ჯამლეთ ბაბილაშვილი

გადარჩა საქართველოს – რბორც სტაბილურ და დემოკრატიულ ფასეულობაზე ორიენტირებული ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტი

1998 წელი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის მძიმე გამოცდის წელი იყო. ტერორისტული აქტები, აფხაზ სეპარატისტთა ახალი ინტერვეცია გალში, სამხედრო ამბოხების ავანტიურა სენაკისა და ხონის საჯარისო გარნიზონებში, პრობლემები ფისკალურ პოლიტიკაში და სხვა.

მართალია, ამ მოვლენების შესახებ ჩვენი საზოგადოება ნაწილობრივ უკვე ინფორმირებულია, მაგრამ მე მაინც მოკლედ და სქემატურად შევიჩრდები ზოგიერთ მათგანზე. მით უმეტეს, რომ ისინი უკვე საქართველოს არცთუ ისე სასახლო ისტორიის კუთვნილებას წარმოადგენენ და მათზე დიდხანს იმჯელებს ქართველი თუ უცხოელი მემატინე.

მაშ ასე: საანგარიშო პერიოდის დასაწყისში, 1998 წლის 9 თებერვალს, კრწანისის მემორიალთან, თანამედროვე საბრძოლო ტექნიკით შეიარაღებული 20-მდე არამზადა, მოკვლის მიზნით, მუხანათურად ჩაუსაფრდა საქართველოს პრეზიდენტს, ჯოჯოხეთური ცეცხლი გაუხსნა მის ავტომანქანას და თანმხლებ კორტეჟს. თავდასხმა იმდენად ინტენსიური იყო, რომ ტანკაწინა-აღმდეგო ნაღმტყორცნებისა და ხელყუმბარების ხმა მოსახლეობამ ომის დაწყებად აღიქვა. პრეზიდენტის პირადმა დაცვამ თავგანწირული წინააღმდეგობის მეოხებით თავდასხმა მოიგერია, ღმერთმა და განგებამ ქვეყნისა და ხალხის საიმედოდ კიდევ ერთხელ გადაარჩინა ბატონი ედუარდ შევარდნაძე, თუმცა, სამწუხაროდ, გარკვეული მძიმე შედეგები მაინც ვერ აგვცდა, წინააღმდეგობის გაწვევის დროს ბრძოლაში გმირულად დაიღუპნენ პირადი დაცვის მუშაკები: უფროსი ოფიცრები კახაბერ შევარდნაძე და დავით კოკაური, იყვნენ დაჭრილებიც, განადგურდა ავტოტექნიკა, დაირღვა მოქალაქეთა სიმშვიდე და მყუდროება.

ტერორისტები ბრძოლის ველიდან გაიქცნენ, ადგილზე დატოვეს ერთი გვამი, ხოლო სავარაუდო დაჭრილები თან წაიყვანეს. მათ ადგილზე დარჩათ აგრეთვე საბრძოლო იარაღის ნაწილი, რომელიც გამოძიებამ ამოიღო და ნავთობტვიცების სახით სისხლის სამართლის საქმეს დაურთო.

მომხდარი ფაქტის გამო გენერალურ პროკურატურაში იმავე დღეს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ტერორიზმის ნიშნებით. საქართველოს შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების აქტიური ოპერატიული მხარდაჭერით დანაშაული სწრაფად გაიხსნა და მოხერხდა 13 ტერორისტის დაპატიმრება. მათ შორის აღმოჩნდა ტერაქტის ერთერთი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, გამსახურდიას მთავრობის ყოფილი ვიცეპრემიერი და ფინანსთა მინისტრი გურამ აბსანაძე, რომელიც აქტიურად იყო ჩართული მოსკოვში მოქმედ ე. წ. „დევნილობაში მყოფი ხელისუფლების საკოორდინაციო საბჭოს“ საქმიანობაში, ითვლებოდა მის ერთ-ერთ ლიდერად და მოქმედებდა საბჭოს მანდატით.

ამ პირების მიმართ გამოძიება დამთავრებულია და, როგორც კი ისინი გაეცნობიან 71-ტომიან მასალებს, საქმე განსახილველად გადაეცემა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. დანაშაულში მწილებული სხვა დანარჩენი ათი პირის მიმართ, რომლებიც იმალებიან, რა თქმა უნდა, ობიექტური კვშმარტების დადგენამდე გამოძიება კვლავ გაგრძელდება.

ჩვენს ხელთ არსებული მასალებით, 9 თებერვლის ტერორისტული თავდასხმის შედეგებს სულმოუთქმელად ელოდნენ მისი შემკვეთებიც ქვეყნის გარედან და ადგილობრივი მხარდამკე-

F7036

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა



რებიც; მაგრამ, როგორც იტყვიან, ეგელს „კოვზი ნაცარში ჩაუვარდა“. შემთხვევიდან სულ რამდენიმე წუთში, ჩვეულ სამუშაო რეჟიმში მყოფი საქართველოს პრეზიდენტი, როგორც ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, ვითარებას მთლიანად აკონტროლებდა. ამის შემდეგ დესტაბილიზაციის შესაძლო კერები მაშინვე აღმოიფხვრა.

მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ დაადასტურა: — 9 თებერვლის ტერორისტული აქტი და შეთქმულება სახელმწიფოს წინააღმდეგ, — დასაწყისი იყო იმ ერთიანი და ფართომასშტაბიანი გეგმისა, რასაც საქართველოში კონსტიტუციური წყობის დამხობა უნდა მოჰყოლოდა.

მივყვით ქრონოლოგიას: 19 თებერვალი. 9 თებერვალს თბილისიდან გაქცეულმა ტერორისტებმა გოჩა ესებუამ, ბეჟან გვაზავამ და სხვებმა ქ. ზუგდიდში მძევლად აიკვანეს გაეროს დამკვირვებლები და ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭიხაშკარში გამაგრდნენ. დაიწყო ულტიმატუმები ხელისუფლებასთან, ტერორისტთა კონსულტაციები მოსკოვში, ე. წ. „საკოორდინაციო საბჭოსთან“, მათი „ემისრების“ ჩამოსვლა მოსალაპარაკებლად და სხვა. მოსახლეობა არ აპყვა ერთ მუჟა ავანტიურისტებს და ხელისუფლების აქტიური მოქმედებით კრიზისი განიმუხტა. თუმცა დროებით, მისი განახლების წარუმატებელი მცდელობა იყო 5 აპრილს, ზუგდიდში, გოჩა ესე-ზუას დაკრძალვის დროს მოწყობილი ტერორისტული აქტი, რომელმაც რამდენიმე ადამიანი იმსხვერპლა, მოსახლეობაში კი არეულობა და პანიკა შეიტანა.

მაისის დასასრულს, ახალი ეთნიკური წმენდის მოსაწყობად გალს აფხაზი სეპარატისტები შემოესივნენ, მაგრამ, ავად თუ კარგად, ქვეყანამ ამასაც გაუძლო, ლტოლვილებისა და გალის ტერიტორიაზე ჩარჩენილი ქართული მოსახლეობის დასახმარებლად ყველა ფეხზე დადგა, თუმცა ახალ მსხვერპლს, მატერიალურ ზარალსა და ლტოლვილთა ახალ ნაკადს სახელმწიფო მაინც ვერ გადაურჩა, რამაც კიდევ უფრო გაამძაფრა სოციალური დაძაბულობა, მილიონობით ლარის გაუთვალისწინებელი ხარჯები მძიმე ტვირთად დააწვა ჩვენს ისედაც მწირ ბიუჯეტს. მთავარი კი მაინც ის იყო, რომ საქართველოს ხელისუფლება არ აპყვა აფხაზთა და მათ უკან მდგომი წამქეზებლების პროვოკაციას და დიდი ძალისხმევით შედეგად თავიდან აიცილა ახალი ომი, ადრინდელთან შედარებით უფრო მასშტაბური და სისხლისმღვრელი.

გალში ქართველთა ეთნიკური წმენდის ფაქტზე გენერალურმა პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე და დაიწყო გამოძიება, რომელიც დღესაც მიმდინარეობს.

ყველა ეს უკეთურობა ვილაციისათვის საკმარისი მაინც არ აღმოჩნდა და 1998 წლის 24 აგვისტოს დაუდგენელმა პირებმა ზუგდიდში, სამეგრელო-ზემო სვანეთის ადმინისტრაციულ შენობაში ახალი შემზარავი ტერორისტული აქტი მოაწყვეს; აფეთქებისას ორი ადამიანი დაიღუპა, 68 კი სხვადასხვა სიმძიმით დასახინჩა, ამასთან ქვეყანას მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი მიადგა. ხელისუფლების დიდი ძალისხმევით ვითარება ქალაქში თანდათან დაწყნარდა, ადგილობრივი მოსახლეობა და ადმინისტრაცია გაგებით მოეკიდა ამ მტრულ აქციებს და ყველაფერი გააკეთა სიმშვიდის შესანარჩუნებლად, რითაც ბოლო მოეღო დესტაბილიზაციის კიდევ ერთ კერას. ავისმზრახველნი, ჩატარებულ აქციათა წარუმატებლობის გამო, ავონიაში აღმოჩნდნენ.

1998 წლის სამწუხარო მოვლენათა ბოლო აკორდი მაინც თავხედობითა და ცინიზმით გამოჩნეული ე. წ. სენაკის სამხედრო ამბოხება იყო. გამოძიების ხელთ არსებული მასალები დღეს უკვე იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ ქ. მოსკოვში მოკალათებულმა ე. წ. „საკოორდინაციო საბჭომ“ (რომლის დამკვეთების გამოსაშკარავებლად ინტენსიური გამოძიება მიმდინარეობს) აქტიური მუშაობა გააჩაღა ჩვენს საჯარისო ნაწილებში ძალის გამოყენებით კონსტიტუციური წყობილების დამხობისათვის. საამისოდ მოსკოვიდან სპეციალურად მოავლინეს რუსეთის მოქალაქე, მოსკოვის ტიბერიაზევის სახელობის სახელმწიფო აკადემიის თანამშრომელი ზაურ კვარაცხელია, ზუგდიდის რაიონის ყოფილი პრეფექტი, ძებნილი სოსო ლაგვილავა და სხვები. ისინი დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ სენაკში დისლოცირებულ სპეცრაზმ „სატურნის“ შტაბის უფროსს, წარსულში ანტისახელმწიფოებრივ ქმედებაში არაერთხელ შემჩნეულ, მაგრამ შემორიგებულ უშიშროების პოლკოვნიკს აკაკი ელიავას და თავდაცვის სამინისტროს II მოტომსროლელი ბრიგადის მეთაურის მოადგილეს, კაპიტან რეზო ასმავას. მათ 1998 წლის 19 ოქტომბერს, გამთენიისას, თვითნებურად გამოიყვანეს სენაკისა და ხონის გარნიზონებიდან მძიმე ტექნიკა, აღმართეს ეროვნული დროშა და დაიძრნენ, რათა ქუთაისის გავლით თბილისში ჩასულიყვნენ ხელისუფლების დასამხობად.

ქვეყნის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების შეიარაღებულ ძალთა სრული მხარდაჭერით ხელისუფლებამ შეძლო ერთ დღეში აღეკვეთა ეს სამხედრო ავანტიურა და ამბოხებული ჯარები შესაბამისი ტექნიკით უმსხვერპლოდ დაებრუნებინა დისლოკაციის ადგილზე ამბოხების ძირითადმა მოთავეებმა ზაურ კვარაცხელიამ, სოსო ლაგვილავამ, აკაკი ელიავამ, რეზო ასმავამ და სხვებმა გაქცევით უშველეს თავს და მიიმალნენ. აკაკი ელიავას ე. წ. ჯგუფი, სამწუხაროდ, დღესაც არ ისვენებს. მიუხედავად ხელისუფლების კანონიერი მოთხოვნისა, იგი უარს

აცხადებს იარაღის დაყრახე და მავანთა წაქეზებით, მიმართავს ცალკეულ პოლიტიკურ სპეკულაციებს. ყოველივე ეს კი, თუ ჭკუით არ მოიქცევიან, ძალიან გვეუბნება, რომ მათ სასიკეთოდ დამთავრდეს.

სენაკის ავანტიურის საქმეზე სამხედრო პროკურატურამ დააპატიმრა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მისცა ამბოხების 47 აქტიური მონაწილე, არსებობს 20 კაცის, მათ შორის ელიავასა და დანაშაულის სხვა ორგანიზატორების დაპატიმრების ბრძანება და გამოცხადებულია ძებნა.

გამოძიება პრაქტიკულად უკვე დამთავრებულია. თუ ამბოხების ძირითად მოთავეთა დაპატიმრების დაყოვნებამ ხელი არ შეგვიშალა, საქმე მალე გადაეცემა უზენაეს სასამართლოს განსახილველად.

ასეთი მძიმე და ნაღვლიანი შესავალი სპეციალურად გავაკეთეთ, რათა თითოეული ჩვენგანი, საქართველოს ყველა მოქალაქე დაფიქრდეს იმაზე, თუ რა მძიმე განსაცდელის წინაშე იდგა ქვეყანა 1998 წლის განმავლობაში; რა დიდი წინდახედულება და ძალისხმევა დასჭირდა საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტსა და მთლიანად ხელისუფლებას, რათა მოსახლეობის მტკიცე მხარდაჭერით, თავიდან აეცილებინა ახალი სისხლისღვრა და ქაოსი, ქვეყანა უმტკივნეულოდ გამოეყვანა მოსალოდნელი დესტაბილიზაციის ღრმა კრიზისიდან, უზრუნველყო მშვიდობიანი აღმშენებლობა, გადაერჩინა საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტი, როგორც სტაბილურ და დემოკრატიულ ფასეულობებზე ორიენტირებული ქვეყნისა. სათქმელად ეს ყველაფერი ადვილია, მაგრამ აქ, ამ დარბაზში მსხდომნი, როგორც ამ მძიმე პროცესების ერთ-ერთი უშუალო მონაწილენი, უთუოდ დამეთანხმებით, რომ ამ ძუნწი ფრაზების უკან გაწეულია ტიტანური შრომა, შეუპოვრობა, ყოფნა-არყოფნის რისკი და თავდადება.

ამიტომ, ექვიც არ გვეპარება, რომ ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი, იქნება ეს ჩვენი თანამედროვე თუ შთამომავლობა, არასოდეს დაივიწყებს, საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ ედუარდ შევარდნაძისა და მის თანამოაზრეთა ამ დიდ ღვაწლს ქვეყნის კიდევ ერთხელ გადარჩენისათვის.

მიუხედავად ექსტრემალური სიტუაციებისა, ქვეყნის კრიმინალური სამყარო თავისი ჩვეული წესით აგრძელებდა ცხოვრებას. იყო მკვლელობა, ქურდობა თუ ყაჩაღობა, სახელმწიფო სახსრების დატაცება და სხვა, რაც ყოველდღიურ კონტროლსა და ყურადღებას მოითხოვდა. ქვეყნის ძალისმიერი და სამართალდაცვითი სტრუქტურები ამ მიმართულებითაც აგრძელებდნენ მუშაობას და თანაც არც თუ ისე წარუმატებლად. კრიმინოგენური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა რესპუბლიკის 30-მდე ქალაქსა და რაიონში, ამ მხრივ აღსანიშნავია ქ. თბილისი, გორი, ხაშური, ზესტაფონი, გურჯაანი, ადიგენი, კასპი, წალენჯიხა და სხვა.

კლების ტენდენციით ხასიათდება სახელმწიფოში დამნაშავეობის ისეთი ძირითადი მაჩვენებლები, როგორცაა: ბანდიტიზმი, განზრახ მკვლელობა, ადამიანის გატაცება, გაუპატიურება, ყაჩაღობა, ძარცვა, ავტოტრანსპორტის გატაცება...

მძიმე კატეგორიის დანაშაული მნიშვნელოვნად შემცირდა 15-მდე ქალაქსა და რაიონში. მათ შორის: სენაკში, ჭიათურაში, ოზურგეთში, თბილისის ცალკეულ რაიონებში.

იმატა გამოვლენილმა დანაშაულობებმა, რაც მათ წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებაზე მეტყველებს. უპირველესად, ეს უნდა ითქვას გადასახადის ურჩ გადახდებზე, ნარკოტიკების კონტრაბანდაზე, საერთოდ, ნარკოდანაშაულზე, ყალბი ფულის დამზადება-გასაღებაზე და სხვა.

1998 წელს მნიშვნელოვნად გააქტიურდა ბრძოლა დეზერტირობის წინააღმდეგ. სამხედრო პროკურატურამ დეზერტირობისა და სამხედრო ნაწილების თვითნებურად მიტოვების ფაქტებზე აღძრა ორი ათასზე მეტი სისხლის სამართლის საქმე, რამაც, თავის მხრივ, ნეგატიური ზეგავლენა იქონია საერთო კრიმინოგენურ მაჩვენებლებზე.

გაუმჯობესების ტენდენციით ხასიათდება დანაშაულობათა გახსნა; განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პიროვნების სიცოცხლისა და ქონების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებრივ საქმეებზე ბოროტმოქმედთა ოპერატიულად მხილება-დაკავება.

შარშანდელი კრიმინოგენური მდგომარეობა ქვეყანაში შესამჩნევ წარმატებებთან ერთად გარკვეული ნაკლოვანებებითაც ხასიათდებოდა, მათ შესახებაც უპრიანია უფრო დაწვრილებით ვისაუბროთ.

კრიმინოგენური ვითარება გართულებულია ისეთ დანაშაულობათა ზრდით, როგორცაა განზრახ მკვლელობის მცდელობა, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, ქურდობა, ბოროტი ხულიგნობა, ავტოავარიები სასიკვდილო შედეგებით.

იმატა დამნაშავეობამ არასრულწლოვანთა შორის. ჯერ კიდევ მაღალია რეციდივული დანაშაულის მაჩვენებლები.

დანაშაულობათა საერთო რაოდენობა გაზრდილია 25-მდე ქალაქსა და რაიონში: აქედან მძიმე დანაშაულობანი მომატებულია: ზუგდიდში, ქუთაისში, მესხეთ-ჯავახეთში, ტრანსპორტზე,



თავდაცვის სამინისტროს ჯარებში და ა. შ. 15-ზე მეტ ქალაქსა და რაიონში გაზრდილია განზრახ მკვლელობის რიცხვი. მათ შორის მესტიის, გარდაბნის, დმანისის, ყაზბეგის, ვანის, ზესტაფონის, წალენჯიხის, ცაგერის, ქ. თბილისის ვაკის, კრწანისის, ჩუღურეთის რაიონებში. თელავში, ზუგდიდსა და რუსთავში.

სერიოზული ცვლილებები განიცადა მკვლელობის მოტივებმა და მექანიზმებმა. თავი წამოყვეს მოზარდთა დანაშაულებრივმა ჯგუფებმა, რომლებიც თავისი ბუნებით ძალიან ჩამოჰგავს ავადსახსენებელი „სამოების“ კრიმინალურ გაერთიანებებს. გაიზარდა მკვლელობები ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, რომელიც დაკავშირებულია ე. წ. „გარჩევებთან“. ადამიანებში საგრძნობლად იმატა აგრესიულობამ და დაუმორჩილებლობამ ხელისუფლების წარმომადგენლებისადმი. ბოლო ერთი წლის მანძილზე მარტო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას 68 პოლიციის მუშაკია მოკლული, ბევრია დაჭრილიც.

ამ ფონზე, ანაქრონიზმად მიგვაჩნია პოზიციების დათმობა ცეცხლსასროლი იარაღის ჩამორთმევასთან დაკავშირებით. წინა 1997 წელთან შედარებით, ჩამორთმეულია 50 ერთეულით ნაკლები იარაღი. ეს მაშინ, როდესაც 17 ერთეულითაა გაზრდილი სამხედრო ნაწილებიდან ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის გატაცება. შარშან გაიტაცეს 16 ავტომატი, 9 პისტოლეტი, 125 კგ. ასაფეთქებელი ნივთიერება „ტროტილი“ და 108 კაფსულა. ანალიზი ცხადყოფს, რომ თითქმის ყველა დანაშაულებრივი ჯგუფი შეიარაღებულია; აღარაფერს ვამბობთ ძებნილებზე, რომელთა შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

მოქმედ კანონმდებლობაში შეტანილმა ცვლილებებმა ახლებურად გადაწყვიტა მოქალაქეთა დაკავებისა და დაპატიმრების საკითხი, რამაც პრაქტიკაში გარკვეული სიძნელეები წარმოშვა. შეინიშნება ექვმიტანილთა დაკავებაზე პასუხისმგებლობის აღების აშკარა შიში და გაუბედობა. მეტიც, თავის არიდებაც კი, რაც უარყოფითად მოქმედებს გამოძიების შედეგებზე. დანაშაულში ექვმიტანილთა დაკავება შარშან 18 პროცენტით შემცირდა.

საანგარიშო პერიოდში პროკურორებმა გამოავლინეს სახელმწიფო აღრიცხვის გარეშე დატოვებული 717 დანაშაული, მათ შორის 154 მიჩქმალული, ანუ 56-ით მეტი, ვიდრე 1997 წელს, რითაც აღდგა მოქალაქეთა დარღვეული უფლებები. ამ მიზნით დისციპლინური წესით დასჯილია პოლიციის არაერთი თანამდებობის პირი, 17 მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

პროკურატურის ორგანოები ჯერ კიდევ ვერ ახორციელებენ ეფექტიან ზედამხედველობას დანაშაულის აღრიცხვისადმი, სუსტად რეაგირებენ მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევებზე.

ბატონო პრეზიდენტო!

განსაკუთრებით გვინდა შევჩერდეთ იმ პირებზე, რომლებიც იძებნიან სახელმწიფო დანაშაულის ჩადენისათვის. ესენი არიან ტერორისტები, სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულების მონაწილენი და სხვები. ბევრი მათგანი უშიშროების მაღალი რანგის ყოფილი ოფიცერია, რომელთა შორის ცოტა როდია სპეციალურად გაწვრთნილი რაზმების წევრები, ბევრიც ყოფილი სამხედრო მეთაურია; აღარაფერს ვამბობთ ე. წ. „საკოორდინაციო საბჭოს წევრებზე“ და გამსახურდიასდროინდელი ხელისუფლების ფუნქციონერებზე: ყოფილ პრეფექტებზე, დეპუტატებზე და სხვა.

ბევრი მათგანი ერთდროულად სხვადასხვა სახელმწიფო დანაშაულში იმხილება. ჩვენი აზრით, ამ კატეგორიის ძებნილების „თავისუფლად ყოფნა“ ჰქმნის იმის საშიშროებას, რომ ისინი ადვილად შეიძლება დაიყოლიონ საქართველოს წინააღმდეგ როგორც ხელისუფლებისადმი ქვეყნის შიგნით მტრულად განწყობილმა ძალებმა, ისე უცხოეთის სპეცსამსახურებმა. ამიტომ, მათი დაძებნა-დაპატიმრებისათვის აუცილებელია გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელება.

და ბოლოს, ერთიც: ძებნილთა ნაწილი საყოველთაოდ ცნობილი ტერორისტის იგორ გიორგაძის ყოფილი თანამშრომელი და თანამზრახველია. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს საკითხის აქტუალობას.

რაც შეეხება საკუთრივ ი. გიორგაძეს, მისი ბრალდების სისწორეში, — 1995 წლის 29 აგვისტოს მოწყობილ ტერორისტულ აქტსა და სახელმწიფოს გადატრიალების მცდელობაში, — ბევრი საბოლოოდ დარწმუნდა ჯაბა იოსელიანისა და სხვათა სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს, როდესაც სასამართლო წესით, ერთხელ კიდევ გადამოწმდა და დადასტურდა იმ საშიხლის უტყუარობა, რითაც გიორგაძეს ბრალი ედება ზემოხსენებულ დანაშაულობებში.

ამ ბოლო დროს რუსული რეაქციული გაზეთები შემთხვევით არ გააქტიურებულან. ისინი ძებნილ გიორგაძეს მარტო ტრიბუნას როდი უთმობენ, უფრო შორსაც მიდიან და საზოგადოებას იმპერატიული ტონით აწვდიან სხვადასხვა ე. წ. „ანალიტიკური ცენტრების“ რაღაც რეცეპტებს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა დაემხოს საქართველოს კონსტიტუციური წყობილება და ქართველობამ როგორ უნდა მოუხაროს მორჩილად ქედი თავის ყოფილ „უფროს ძმას“ რუსეთს, ურომლისოდაც, თურმე, გარდუვალი დაღუპვა უწერია.



რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ჩვენი „შინაური“ „მეხუთე კოლონის“ აქტიური ძალისხმევითა და ლოცვა-კურთხევით გარეშე არ ზდება, რაც პრაქტიკულად რუსეთიდან იმართება. საქართველოს გენერალურ პროკურატურას აქვს ამის უტყუარი მტკიცებულებები. მინდა ოფიციალურად გავაფრთხილო ყველა, ვისაც ეს ეხება და, უწინარესად, იგორ გიორგაძის იდეური თანამოაზრენი, რომ თავი დაანებონ ცეცხლთან თამაშს, პატივი სცენ დიდი შრომისა და სისხლის ფასად მოპოვებულ, საკუთარი ქვეყნის სუვერენიტეტს, მოეშვან ჩვენი ქვეყნის მოსახლეობაში რუსეთიდან თავსმოხვეული, ყავღასული კომუნისტური იდეების პროპაგანდას და დემაგოგიას რუსეთის დახმარებით ქართველი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ. თუ არადა, ჩვენ გამოვაქვეყნებთ არსებულ მამხილებელ მასალებს, დავასახელებთ კონკრეტულ პირებს და მივმართავთ კანონის ძალას.

1997 წლის ბოლოს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ქრონიკულმა დეფიციტმა, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტმა ურჩი გადამხდელების მხრივ, საბიუჯეტო ტერორი უწოდა, ახალ სიბრტყეზე დააყენა კორუფციის თემა. მასთან ბრძოლის აქტუალურობა რეალურად დაუკავშირდა ქვეყნის უშიშროებას. ყველამ კარგად უწყის, რომ ბიუჯეტის კუთვნილმა თანხებმა მისამართი იცვალა და კორუმპირებული ჩინოვნიკებისა და ოლიგარქების ჯიბეებში იწყო დაღეძვა.

საქართველოს პრეზიდენტმა არაერთი გადაწყვეტი ღონისძიება განახორციელა მდგომარეობის გამოსასწორებლად. მიღებულ იქნა კანონი ურჩი გადამხდელების პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად, გატარდა საკადრო ცვლილებები, კანონის ფარგლებში დავალებები მიეცათ მთავრობას, შესაბამისი ძალისმიერ სტრუქტურებს და სხვა.

ბუნებრივია, ამ ფონზე ყურადღების ცენტრში მოექცნენ საბაჟო და საგადასახადო სამსახურები, რომელთა გამართულ მუშაობაზე ბევრადაა დამოკიდებული ბიუჯეტის შევსება.

საქართველოს გენერალური პროკურატურის კოლეგიამ სპეციალურად განიხილა საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტების ოპერატიულ სამსახურებში კონტრაბანდის, გადასახადების დამალვისა და მსგავსი პროფილის დანაშაულობებზე მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერება. როგორც ცნობილია, ეს სამსახურები პოლიციური ფუნქციებით არიან აღჭურვილნი და, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მოკვლევის ორგანოებს წარმოადგენენ აქედან გამომდინარე შესაბამისი უფლება-მოხილებით. შემოწმებამ ცხადყო, რომ ისინი ვერ ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს ჯეროვან დონეზე. კვლავ უეფექტოა მათი ძალისხმევა შესაბამისი ეკონომიკურ დანაშაულობათა წინააღმდეგ, რაც უარყოფითად აისახება ბიუჯეტის ფულადი თანხებით შევსებაზე.

1998 წელს საბაჟოს ოპერატიული სამსახურის მიერ 367 შემოწმების აქტიდან სისხლის სამართლის საქმე აღძრულია მხოლოდ 22-ზე, საგადასახადოში — 318-იდან 6-ზე.

ამ სამსახურების საქმიანობის, რბილად რომ ვთქვათ, არაეფექტიანობის დასტურად მოვიყვანთ ერთ მაგალითს: ქ. თბილისში მოქმედ ბაზრობებს („დეზერტირები“ და ვარკეთილი) მთელი თვის მანძილზე ამოწმებდა საგადასახადო სამსახურის ათეულობით ოპერატიული მუშაკისაგან შემდგარი ბრიგადა, მაგრამ იქ, სადაც ყოველდღიურად თავს იყრის უამრავი აქციზური და ალუმიციხავი საქონელი, არც ერთი დანაშაულებრივი დარღვევა არ გამოვლენილა. მაშინ, როდესაც მთელი 1998 წლის განმავლობაში საბაჟო სამსახურმა მხოლოდ კილონახევარი ხიზილალის კანონიერი შემოტანა დააფიქსირა, რაც არანაირად არ შეესაბამება ბაზრებში გასაყიდად გამოტანილი ამ საქონლის რეალურ ოდენობას.

აქვე უნდა ითქვას, რომ ორივე დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელობა — ბატონები მიხეილ ჩიკვილაძე და თამაზ მალაქელიძე, გაგებით ეკიდებიან არსებულ პრობლემებს და იმედია, რომ საერთო ძალისხმევით გარდატეხას შევიტანთ საბაჟოსა და საგადასახადო ოპერატიული სამსახურების საქმიანობის კანონიერებაში.

აღძრულია და წარმოებაში იმყოფება კონტრაბანდის 132 და გადასახადებისაგან თავის არიდების 89 სისხლის სამართლის საქმე. სასამართლოში წარმართულია 83. ამ კატეგორიის არც ერთ საქმეზე უკანონო გადაწყვეტილება არ მიღებულა.

კორუფციასთან დაკავშირებით სერიოზული საქმეებია აღძრული შს სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტსა და უშიშროების საგამოძიებო სამმართველოში, რომელთა შესახებაც, ალბათ თვითონ მინისტრები ისაუბრებენ.

რაც შეეხება პროკურატურას, მნიშვნელოვანი დინამიზმი აქაც შეიმჩნევა: წარმოებაშია საქმეები თანამდებობის ბოროტად გამოყენებით განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო სახსრების გაფლანგვა-მტაცებლობაზე, მექრთამეობისა და კორუფციის სხვა შემთხვევებზე. რეგლამენტის გამო მოკლედ შეეჩერდები ზოგიერთ მათგანზე, ასეთებია:

- „საქსტანდარტის მუშაკების“ მიერ შესაბამისი სერთიფიკატების გაყალბებით საქონლის იმპორტიორებისაგან დიდი ოდენობით თანხების გამოძალვა;
- სააქციო საზოგადოება „კარდენახის“ გენერალური დირექტორის მიერ 104 ათასი ლარის მითვისება;



— საზღვარგარეთიდან ნახევრად წუნდებული ციციხისასროლი იარაღისა და მასალის შემოტანა;

— კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროში თანამდებობის ბოროტად გამოყენება;

— წყნეთში ლტოლვილთა რეგისტრაცია-ინკასირების კომისიის თავმჯდომარისა და სხვების მიერ ყალბი დოკუმენტების გამოყენებით ლტოლვილებისათვის გასაცემი 45 ათასი ლარის დატაცება;

— სოცუზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამგორის განყოფილებაში განსაკუთრებით დიდი ოდენობით საპენსიო თანხებისა და შემწეობების მითვისება.

არის სხვა საინტერესო საქმეებიც, რომელთა ნაწილი უკვე დამთავრდა და გაიგზავნა სასამართლოში, დანარჩენებზე გრძელდება გამოძიება.

ყოველივე ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ რაღაც თვითკმაყოფილების ტონალობა შემოვიტანოთ საუბარში. გასაკეთებელი ჯერ კიდევ ძალიან ბევრია. თუმცა იმის უარყოფაც არ შეიძლება, რომ წინა, 1997 წელთან შედარებით, თუნდაც ტენდენციის სახით, გარკვეული აქტიურობა იგრძნობოდა. იმედია, რომ აღებული ტემპი არ შენეულდება და იგი თანდათან ძალას მოიკრებს.

შარშან დაძაბულად მუშაობდა პროკურატურის საგამოძიებო აპარატი. ზედამხედველობა განხორციელდა 7.880 სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისადმი, საიდანაც 6.820 განსახილველად გაიგზავნა სასამართლოში, საკუთრივ პროკურატურამ გამოიძია 2.633 საქმე.

დამთავრებულ საქმეთა რაოდენობა, გარდა უშიშროების საგამოძიებო სამსახურისა, კლების ტენდენციით ხასიათდება როგორც პროკურატურაში, ისე შს სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში. ამის მიზეზები საქმეთა გაჭიანურებაში უნდა ვეძიოთ.

შარშან პროკურატურამ ყველა სისხლის სამართლის საქმეზე დაუჭირა ბრალდებას მხარი სასამართლოებში. ციფრებით ეს შეადგენს 5217 საქმეს 6530 პიროს მიმართ.

სამწუხაროდ, ყველა რაიონისა და ქალაქის პროკურორი, როგორც სახელმწიფოს ინტერესების დამცველი, ვერ დგას მოწოდების სიმაღლეზე.

ზოგი მათგანი საეჭვოდ ვერ ამჩნევს ამა თუ იმ სასამართლოს მიერ დადგენილ, დაუსაბუთებლად ღმობიერ სასჯელებს, დროზე არ იღებს საჭირო ზომებს, რაც ზშირად ბადებს გარკვეულ ეჭვებსა და გაუგებრობას, იწვევს მოქალაქეთა სამართლიან პრეტენზიებს. ამ მხრივ ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის, გურჯაანის, ადიგენის, აბაშისა და სხვა რაიონპროკურატურების მუშაკებზე.

არის რაიონები, სადაც ზემდგომ ინსტანციებში სასამართლოს განაჩენებს წლობით არ ასაჩივრებს არც ერთი მხარე, ან თუ ასაჩივრებს ვინმე, ესეც ერთეული შემთხვევებია. ანალიზი ცხადყოფს, რომ სწორედ ამ რაიონებშია ყველაზე დაბალი დასჯითი პრაქტიკა, რაც უარყოფითად მოქმედებს დამნაშავეობასთან ბრძოლის ეფექტიანობაზე. ეს ეხებათ ჭიათურის, ლანჩხუთის, ახალქალაქის, ბაღდათის, ცაგერის, ბოლნისის და სხვა რაიონების პროკურორებს, რომელთა შესახებაც ცალკე ვიმსჯელებთ.

გენერალურმა პროკურატურამ გარკვეული მუშაობა გასწია წინასწარი პატიმრობის ადგილებზე ზედამხედველობის მიმართულებით.

გასულ წლებთან შედარებით მდგომარეობა აქ გაუმჯობესების ტენდენციით ხასიათდება: შემცირდა პატიმართა გაქცევები. შინაგანი წესის უხეში დარღვევები, მძიმე დანაშაული და სხვა. მიუხედავად ობიექტური სიძნელეებისა, გამოჩნდა პატიმართა საყოფაცხოვრებო მდგომარეობისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების ტენდენციები, რასაც კვლავ ფინანსური შემწეობა დასჭირდება.

ამასთან ერთად, საგამოძიებო იზოლატორებში ისევ ვხვდებით პატიმართა მოთავსების ვადების დარღვევას, ზონაში სპირტიანი სასმელების, ნარკოტიკებისა და სხვა აკრძალული ნივთების შეტანას. გადაუჭრელ პრობლემად რჩება შრომისუნარიანი სპეცკონტიგენტის დასაქმება. ამ დაწესებულებებს არ აქვთ თანამედროვე სამართლებრივი ბაზა და საბჭოთა კავშირისდროინდელი ნორმატიული აქტებით ხელმძღვანელობენ.

საპატიმრო ადგილებზე საპროკურორო ზედამხედველობა ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, პროკურორები ყოველთვის ვერ იჩენენ საჭირო პრინციპულობას. ხშირია ფორმალური და თვალის დახუჭვა გამოვლენილ დარღვევებზე. სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება ზედამხედველობა მოკვლევაზე პატიმართა სხეულის დაზიანებისა და სიკვდილის ფაქტებზე და სხვა.

საპატიმრო ადგილებში შექმნილ რთულ ვითარებაზე სასიკეთო ზეგავლენას ახდენს საქართველოს პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციით მინიჭებული შეწყალების უფლების ფართოდ და გააზრებულად გამოყენება. ჯერ კიდევ 1997 წელს პრეზიდენტმა შეიწყალა 2.825 მსჯავრდებული,

რომლებიც სასჯელს იხდიდნენ არამძიმე დანაშაულებებისათვის. ანალოგიური ჰუმანური აქტი
სორციელდა წლეულსაც, როდესაც საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეწყალებულია
1213 მსჯავრდებული, აქედან 67 ქალი და 32 არასრულწლოვანი. 1213 ადამიანს ერთხელ კიდევ
მიეცა შანსი დაუბრუნდეს პატიოსან ცხოვრებას, მშობლიურ კერას, გადახედოს თავის წარსულს
და ჩაებას ქვეყნის აღმშენებლობაში.

საანგარიშო პერიოდში ინტენსიურად მუშაობდა გენერალური პროკურატურის კოლეგია,
რომელზეც არაერთი აქტუალური საკითხი განვიხილეთ, მათ შორის, განზრახ მკვლელობები, კო-
რუფცია, ეკოლოგია, საპატიმრო ადგილებში კანონიერების დაცვა, დეზერტირობა, ნარკომანია,
მოკვლევისა და გამოძიების ორგანოების მიერ ადამიანის უფლებების დაცვა და სხვა.

განხორციელდა შესაბამისი ორგანიზაციული ღონისძიებები ადგილებზე საპროკურორო მუ-
შაობის გასაუმჯობესებლად, წინა პლანზე დადგა მინდობილი საქმისადმი თითოეული გამოძიე-
ბლისა და პროკურორის პერსონალური პასუხისმგებლობა.

პროკურატურის მუშაკთა ძალისხმევა უფრო ეფექტიანი გახდება, თუ დადებითად გადაწყ-
დება მათი მძიმე და სერიოზულ პროფესიულ რისკთან დაკავშირებული შრომის ადეკვატურად
ანაზღაურების საკითხი — ეს ჩვენი კოლექტივის დანაბარებია და მინდა, რომ გულწრფელად
გადმოგცეთ. არ შეიძლება მსხვილი კორუფციონერისა თუ ყოვლისშემძლე ოლიგარქის საქმეს
იძიებდეს გამოძიებელი, რომლის საშუალო თვიური ხელფასი 35 ლარია, ისევე როგორც დაუ-
შვებელია ასეთი ღონის საქმეების გამოძიებაზე სრულფასოვანი კონტროლი და პასუხისმგებ-
ლობა მოთხოვო პროკურორს, რომელსაც თვეში 40 ლარს ვუხდით და იმასაც გარკვეული წყვე-
ტილობით. მე შეიძლება პრობლემას ცოტა ვამუქებდე, მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, რომ
პროკურატურაც ისევე მწირად ფინანსდება, როგორც ჩვენი სხვა კოლეგები და იქნებ უფრო
ნაკლებადაც კი.

ეს შეშფოთება იმითაცაა ნაკარნახევი, რომ პროკურატურის სისტემიდან უსახსრობის გამო
დაიწყო მაღალკვალიფიციური კადრების დენადობა. დღეისათვის, საკუთარი სურვილით, 50-მდე
ოპერატიული მუშაკია წასული, მათ შორის რაიონისა და ქალაქის პროკურორებიც; წასასვლე-
ლად ემზადებიან სხვები, მაგრამ ცალკეული დაპირებებით ვცდილობთ მათ შეჩერებას.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ, რეალობიდან გამომდინარე, ხელფასების მომატება დღეს და
ხვალ არ მოხდება. — მაგრამ სამომავლოდ, როდესაც სახელმწიფოს ფინანსური მდგომარეობა
გაუმჯობესდება, ეს საკითხი აუცილებლად უნდა მოგვარდეს და მთელი ჩვენი იმედებიც თქვენ-
ზეა, ბატონო პრეზიდენტო.

დასასრულ, გამოსვლა მაინც ოპტიმისტურად მინდა დავამთავრო, მითუმეტეს, რომ არსე-
ბობს ამის საფუძველი, ესაა — საქართველოს ევროსაბჭოში გაერთიანება. ევროპასთან სიახ-
ლოვე ეს ჩვენი სახელოვანი წინაპრების საუკუნოვანი ოცნება იყო და მას განხორციელება დღეს
ელირსა. ყველას გილოცავთ, მეგობრებო, ამ ისტორიულ ფაქტს, რასაც დიდი ძალისხმევა მო-
ახმარა ქვეყნის პრეზიდენტმა, პარლამენტმა, მთავრობამ და ყველა კეთილი ნების ადამიანმა.
ევროსაბჭოს წევრობა ახალი, დიდი ამოცანების წინაშე აყენებს ჩვენს სამართალდაცვით სის-
ტემას. თუმცა ეს ცალკე თემაა და, ალბათ, სხვა დროს მოგახსენებთ ამის შესახებ.

მანამდე კი მინდა დაგარწმუნოთ, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურა კვლავაც
არ დაიშურებს ძალ-ღონესა და გამოცდილებას ქვეყანაში სტაბილურობის, კანონიერებისა და
სამოქალაქო მშვიდობის განსამტკიცებლად.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1999 წლის 23 თებერვალი.



ლადო ჭანტურია

**ჩვენ ვაშენებთ ახალ სახელმწიფოს, ამიტომაც
თითოეული ჩვენგანის ტვირთი და პასუხისმგებლობა
გაცილებით უფრო მძიმე და დიდია, ვიდრე წარმოგვიდგინია**

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებით მრავალი თაობის ქარ-
თველთა სანუკვარი ოცნება ახდა. საქართველო ღირსეულად იმკვიდრებს თავის ადგილს თანა-
მედროვე სახელმწიფოთა თანამეგობრობაში.

1918-1921 წლების მცდელობა — საქართველო დამოუკიდებელ და თანამედროვე სახელმ-
წიფოდ ჩამოყალიბებულყო — განუხორციელებელი დარჩა. დღეს ჩვენ გვაქვს ეს დიდი შანსი,
დიდი შესაძლებლობა და მის გამოუყენებლობას მომავალი თაობები არ გვაპატიებენ.



ამ სიტყვების გამეორება მე იმისათვის მჭირდება, რომ გავაცნობიეროთ ყველამ — ხელი-სუფლები თუ ოპოზიციის წარმომადგენლებმა, თანამდებობის პირებმა თუ რიგითმა ადამიანებმა — თუ რა ისტორიული პროცესის მონაწილენი ვართ: ჩვენ ვაშენებთ ახალ სახელმწიფოს, ამიტომაც თითოეული ჩვენგანის ტვირთი და პასუხისმგებლობა გაცილებით უფრო მძიმე და დიდა, ვიდრე ეს წარმოგვიდგენია.

თანამედროვე სახელმწიფო მყარ სამართლებრივი საფუძვლების გარეშე შეუძლებელია არსებობდეს. ქვეყანაში, სადაც ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა არ არის უზრუნველყოფილი, ძნელია საუბარი წინსვლაზე, სტაბილიზაციაზე, საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე. სწორედ ეს განაპირობებს სამართლებრივი რეფორმის განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და აქტუალობას.

მე პირდაპირ და თამამად შემიძლია განაცხადო, რომ უმძიმეს პოლიტიკურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ პირობებში დაწყებული სამართლებრივი რეფორმა საქართველოში არსებითად დამთავრებულია. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად მიღებულმა მრავალმა ფუნდამენტურმა საკანონმდებლო აქტმა ფაქტობრივად, უზრუნველყო საბჭოთა სამართლის დემონტაჟი და ახალი, სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების შესატყვისი სამართლის სისტემის ჩამოყალიბება. ეს უეჭველად დიდი გამარჯვებაა, თუ გავითვალისწინებთ დროის იმ მცირე მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც ეს ტრანსფორმაცია მოხდა.

ქართული კანონმდებლობის განვითარებამ ბევრად გაუსწრო წინ პოსტსაბჭოთა ქვეყნების კანონმდებლობას და ეს არ არის მხოლოდ ჩემი აზრი. თავს უფლებას მიცემ, მოვიტანო უცხოელი ექსპერტების შეფასება იმის თაობაზე, რომ საქართველოში სამართლებრივი უსაფრთხოება საკმაოდ დიდა, ქვეყანა, სამართლებრივი რეფორმების თვალსაზრისით, მკვეთრად გამოირჩევა სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნებისაგან და იგი საკმაოდ წინ უსწრებს რუსეთსაც კი.

როდესაც სამართლებრივი რეფორმის მიღწევებზე ვსაუბრობ, არ შემიძლია ხაზგასმით არ აღვნიშნო ჩვენი უცხოელი კოლეგების დამსახურება ამ საქმეში. ქართველ ექსპერტებთან ერთად მათ ღამეები უთენებიათ ახალ კანონებზე მუშაობისას. თითქმის ყველა მნიშვნელოვანი კანონი მრავალწლიანი ერთობლივი შრომის ნაყოფია და მე კატეგორიულად ვერ დავეთანხმები იმ მთარულებს, თითქმის ეს კანონები სხვა ქვეყნების კანონებიდან იყო გადმოთარგმნილი. გასაკვირია, რატომ მიიჩნევენ ზოგი ჩვენი ოპონენტი რუსულიდან ან საბჭოურიდან გადმოწერილ აქტებს მშობლიურ, ქართულ კანონად და რატომ თვლიან ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფ კანონებს უცხოელად.

ჩვენ ვცხოვრობთ ღია მსოფლიოში, საქმიანობა გვიხდება ეკონომიკის გლობალიზების პირობებში და აუცილებელია ვალიაროთ ის სტანდარტები და ნორმები, რომლითაც ცივილიზებული სამყარო ცხოვრობს. ამასთან, არავინ გვართმევს ჩვენს ტრადიციას, კულტურას, ისტორიას. პირიქით, ახალმა სამართალმა ხელი უნდა შეუწყოს ყოველივე იმის განმტკიცება-გაძლიერებას, რითაც ჩვენ ასე სამართლიანად ვამაყობთ.

ახალი საკანონმდებლო აქტების მიღება უდავოდ დიდი საქმეა. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია მიღებული კანონების დანერგვა და ცხოვრებაში მათი სრულფასოვანი განხორციელება. ამ ასპარეზზე ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. კანონის ცხოვრება იწყება მაშინ, როცა იგი ხელმისაწვდომია ყველასათვის, როცა ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია გავცნოს ნორმატიული აქტის ტექსტი და მიიღოს მისთვის სასურველი სამართლებრივი ინფორმაცია. ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებად მესახება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დაფუძნებული ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“. საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებითა და ხელშეწყობით ჩვენ, ალბათ, უახლოეს ნომავალში შევძლებთ ამ გამოცემის უსასყიდლოდ მიწოდებას სახელმწიფო ორგანოებისათვის, პარლამენტისათვის, სპამართლო ხელისუფლებისათვის.

კანონის ტექსტი, ბუნებრივია, განსხვავდება ჩვეულებრივი ლიტერატურული ტექსტებისაგან, ამიტომ მის წაკითხვას, გაგებას და განმარტებას სპეციალური ცოდნა სჭირდება. ამით აიხსნება იმ ადამიანთა სწავლების აუცილებლობა, რომლებმაც ახალი კანონები რეალურად უნდა გამოიყენონ, ამ თვალსაზრისით დიდი როლი უნდა შეასრულოს იურისტებისა და სახელმწიფო მოხელეთა სწავლებისა და საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზებამ. კანონი, უწინარეს ყოვლისა, უნდა იცოდეს მან, ვინც ეს კანონი სახელმწიფოს სახელით უნდა გამოიყენოს. მიღებული კანონების შესწავლა სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან სამართლებრივი რეფორმის ერთ-ერთი პრინციპული მიმართულება უნდა გახდეს.

კანონმდებლობის დანერგვისა და მისი სწორი განხორციელებისათვის უპირველესი ამოცანაა სამართლის ნორმებს პროპაგანდა, მისი გავრცელება მოსახლეობაში. განხორციელებული რეფორმის შედეგად ასეულ ათასობით ადამიანმა უკვე იგრძნო რეფორმის დადებითი შედეგები: გახდა მიწის მესაკუთრე, შეუდგა სამეწარმეო საქმიანობას, გახდა ქარხნებისა და სხვა ობიექტ-

ბის მფლობელი და ა. შ. გულწრფელად ვეტყვით, გულდასაწყვეტი ძაბვით ისაა, რომ რეფორმის ამ დიდ მონაპოვარს ხშირად ხელისუფლების წინააღმდეგ იყენებენ.

კანონშემოქმედება არ არის ერთჯერადი პროცესი. იგი მუდმივ სრულყოფასა და განვითარებას საჭიროებს. არსებობს სფეროები, რომლებიც ახლებურ სამართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვენ.

მიუხედავად ამისა, ჩვენ მაქსიმალურად უნდა შევიკავოთ თავი ნაჩქარევი საკანონმდებლო ცვლილებებისაგან. სტაბილურა კანონმდებლობა სამეწარმეო საქმიანობის გააქტიურების, შიდა თუ უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ყველაზე ეფექტიანი წინაპირობაა. ამ მხრივ ჩვენს მეწარმეებს, საქმიან წრეებს მართლაც ბევრი აქვთ სასაყვედურო: როგორი კარგიც უნდა იყოს კანონი, თუ იგი არასტაბილურია, ანუ ხშირად იცვლება, ყოველთვის იწვევს უარყოფით შედეგებს. მერყევი კანონმდებლობა აფრთხობს როგორც შიდა, ისე უცხოელ მეწარმეებს, რომელთათვისაც სასიცოცხლოდ აუცილებელია მყარი სამართლებრივი ჩარჩოები კაპიტალდაბანდების დასაცავად. მას არ უნდა ჰქონდეს იმის შიში, რომ დღევანდელი მისი მდგომარეობა შეიძლება გაუარესდეს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად. ყველა უნდა შევეცადოთ ერთობლივად შეიქმნას საქართველოში ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო. სამწუხაროდ, დღეს ასე არ არის. კანონმდებლობის ხშირ ცვლილებებთან ერთად ამის მიზეზი სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების დაუსრულებელი შემოწმებებია. ამ პრობლემას, ალბათ, მოაგვარებს „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიებისა“ და „სამეწარმეო საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლის შესახებ“ კანონების ამოქმედება, რომელთა პროექტებზე მუშაობა უკვე დასრულდა.

სამართალშემოქმედების პროცესის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს ნორმატიული აქტების ექსპერტიზა. იუსტიციის სამინისტრო ახორციელებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ექსპერტიზას — ამოწმებს მათ შესაბამისობას კონსტიტუციასა და კანონებთან. ვფიქრობთ, ხარვეზია კანონმდებლობაში, როდესაც არ ხდება ნორმატიული აქტის ექსპერტიზა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, არადა, საქართველოს კონსტიტუციით საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება კანონზე მეტი იურიდიული ძალის მქონეა. ამან უარყოფითი შედეგები უკვე გამოიღო; სახელმწიფო იძულებული იყო საერთაშორისო ხელშეკრულების საწინააღმდეგო კანონის საფუძველზე მიღებული თანხები უკან დაებრუნებინა. პრობლემად რჩება ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების ნორმატიული აქტების ექსპერტიზა და რეგისტრაცია. ვფიქრობთ, ამ პრობლემას გადაჭრის იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ადგილობრივი სამსახურის ჩამოყალიბება.

კვლავაც სარგებლობს მოსახლეობის მხარდაჭერითა და საერთაშორისო ორგანიზაციების აღიარებით საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმა. დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, მაღალპროფესიული მართლმსაჯულების არსებობა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის აუცილებელი პირობაა. საკონსტიტუციო სასამართლოს ცნობილმა გადაწყვეტილებამ თითქოს ექვემდებარებულ დააყენა სასამართლო რეფორმის მიმდინარეობა. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად ცვლილებები შევიდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში, რომელმაც შესაძლებელი გახადა რეფორმის გაგრძელება. იანვარში უკვე მესამედ ჩატარდა მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა. გამოცდაზე გასვლის მსურველთა რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, ამ რეფორმის მიმართ ინტერესი კი არ იკლებს, პირიქით, მატულობს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ახალი სამართლის დანერგვის საქმეში გამოცდებმა დიდი როლი უკვე შეასრულა. დარწმუნებული ვარ რომ, მიუხედავად გარკვეული წინააღმდეგობებისა, სასამართლო რეფორმა წლეულს წარმატებით დასრულდება.

სასამართლო რეფორმის განხორციელება შეუძლებელია სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების ახალი სამსახურის ჩამოყალიბების გარეშე.

აღსრულების დღეს არსებული სისტემა აღარ შეესაბამება ამ სფეროში საყოველთაოდ აღიარებულ მოთხოვნებს. იგი ვერ უზრუნველყოფს გადაწყვეტილებათა ეფექტიან აღსრულებას, იუსტიციის სამინისტრომ დაამთავრა მუშაობა კანონპროექტზე სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ, მან უკვე გაიარა საკმაოდ საფუძვლიანი ექსპერტიზა როგორც ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით, ამ დღეებში კანონპროექტი განსახილველად წარედგინება პარლამენტს. ახალი სააღსრულებლო სისტემა უნდა ამოქმედდეს მიმდინარე წლის 15 მაისიდან.

მიუხედავად დღეს არსებული სისტემის ბევრი ნაკლოვანებისა, მე მაინც შევეცდები წარმოვადგინო რამდენიმე ინფორმაცია აღმასრულებელთა მიერ ბიუჯეტის სასარგებლოდ განხორციელებული აღსრულებების შესახებ;

სააღსრულებლო ფურცლებას მიხედვით 1998 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოსაღები იყო 1291151 ლარი, რაც 9566.496 ლარით მეტია 1997 წლის მაჩვენებლებთან შედარებით. აღმასრულებელთა მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად 1998 წელს ამო-



ლებულია და სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხულია 4.502.462 ლარი, რაც იმავდროულად 3.852.968 ლარით მეტია გასულ წელთან შედარებით.

1997 წელთან შედარებით თვალშისაცემად გაიზარდა, აგრეთვე, სხვა მაჩვენებლებიც.

სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი განაჩენების მიხედვით, 1998 წელს ამოღებულია 553.168 ლარი, რაც 415.249 ლარით მეტია 1997 წელთან შედარებით.

იმავდროულად, აღმასრულებლებმა 1998 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოაღეს 3.949.294 ლარი, რომლებიც სასამართლოებმა ჯარიმებისა და ბაჟების სახით დააკისრეს ორგანიზაციებსა თუ დაწესებულებებს. ეს კი 3.579.524 ლარით მეტია გასულ წელთან შედარებით.

მართალია, 1999 წლისათვის კვლავ საკმაოდ დარჩა ამოსაღები თანხები ნაშთად და ისინი, ალბათ, ამოღებული იქნება, მაგრამ ისიც თვალნათლივ ჩანს, რომ 1997 წელთან შედარებით, 1998 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა სასამართლოების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაკისრებული თანხების ამოღება.

აღნიშნული მონაცემების მოტანა საჭიროდ მივიჩნევ იმის ნათელსაყოფად, თუ როგორი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ამ სამსახურს. სწორედ, აუცილებელ აღსრულებაზე დაკისრებული სასამართლოს მიერ მიღებული, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა.

დღეისათვის დიდ ყურადღებასა და განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ მიდგომას საჭიროებს საქართველოს პენიტენციური სისტემის რეფორმა. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 29 იანვრის ბრძანებულებით შეიქმნა სამთავრობო კომისია პენიტენციური სისტემის შინაგან საქმეთა სამინისტროდან იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში ეტაპობრივი გადმოცემის საკითხების მოწესრიგების მიზნით. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამ სისტემის რეფორმირება არ მოიცავს მხოლოდ ერთი უწყებიდან მეორეში გადაცემის საკითხს. პენიტენციური სისტემის მნიშვნელობაზე მეტყველებს ისიც, რომ ევროპის საბჭოსთან საქართველოს თანამშრომლობის 1999 წლის ღონისძიებათა გეგმაში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ამ სფეროზე: დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით იუსტიციის სამინისტროში უკვე მომზადდა კანონპროექტი „თავისუფლებადაკვეთილ პირთა სასჯელის აღსრულების შესახებ“. პროექტის შემუშავებელი ჯგუფის წევრებს შესაძლებლობა ჰქონდათ შეესწავლათ ევროპული, მათ შორის, პოსტსაბჭოთა ქვეყნების გამოცდილება, კანონპროექტის საბოლოო ვარიანტი უახლოეს მომავალში განსახილველად გადაეცემა საქართველოს პარლამენტს.

გარდა ამ კანონისა, პენიტენციური სისტემის ნორმალური მუშაობის მიზნით უნდა მომზადდეს ნორმატიული აქტების პაკეტი. აუცილებელია ამ ეტაპზე დაიწყოს მოქმედი სისტემის ინსპექტირება და ინვენტარიზაცია.

მიმდინარე წლის 27 იანვარს ევროპის საბჭოს საპარლამენტთაშორისო ასამბლეის გადაწყვეტილებით, ფაქტობრივად, დასრულდა საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანების პროცესი. ევროპის საბჭოში ინტეგრაციის პროცესი ითხოვს სამართლებრივი დახმარების სფეროში მოქმედ ევროპულ კონვენციებთან მიერთებას. შარშან იუსტიციის სამინისტროში მომზადდა და შესაერთებლად წარედგინა კონვენციები „სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ“, „უცხოეთის კანონმდებლობაზე ინფორმაციის შესახებ“, „კორუფციის პრობლემების სისხლის სამართლებრივი რეგულირების შესახებ“. შარშანვე საქართველო შეუერთდა „მსჯავრდებულთა გადაცემის შესახებ“ ევროპულ კონვენციას.

ფაქტობრივად, დასრულდა „ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის“ ევროპის კონვენციასთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის შესწავლის პროცესი. მოხსენების პირველადი ვარიანტი წარედგინა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დირექტორატს, რომელიც განხილვის შედეგებს უახლოეს მომავალში გვაცნობებს.

საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანება უდიდესი მოვლენაა და ამავე დროს უდიდესი პასუხისმგებლობაც. აუცილებელი იქნება დამატებითი საკანონმდებლო და ინსტიტუციური რეფორმების განხორციელება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისდიქციის აღიარება მხოლოდ იმას არ ნიშნავს, რომ საშუალება გვექნება სარჩელით მივმართოთ მას, აუცილებელი იქნება ევროპის სასამართლოს წევრის წარდგენაც. გადასაწყვეტი იქნება ევროსა-სამართლოში და ევროპის საბჭოს სხვა სტრუქტურებში სახელმწიფოს წარმომადგენლობის საკითხიც.

უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც მართლაც სერიოზულ მუშაობას მოითხოვს, არის ადამიანის უფლებათა სწავლება. მოსახლეობამ უნდა იცოდეს რა მექანიზმები მუშაობს მისი უფლებების დაცვის მიზნით, რა შეუძლია გააკეთოს იმისათვის, რომ დაიცვას თავისი უფლებები. ამ მიზნით აუცილებელია იურიდიული განათლების რეფორმის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სწორედ ამ სფეროს. ადამიანმა თავისი უფლებების შესახებ ინფორმაცია

სკოლიდანვე უხდა შიილს. მიზანშეწონილი იქნებოდა შეიქმნას ადამიანის უფლებათა სწავლების ცენტრიც.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ევროპის საბჭოში გაწევრიანების შედეგად საქართველოს წინაშე მდგარი ამოცანების უმეტესი წილი იუსტიციის სამინისტროს საშუალებით იქნება განსახორციელებელი. აუცილებლად მიმაჩნია იუსტიციის სამინისტროში შეიქმნას სამსახური, რომელსაც უხელმძღვანელებს სპეციალურად ამ მოვალეობით აღჭურვილი მინისტრის მოადგილე.

ევროპის საბჭოს ძირითად დანიშნულებას ადამიანის უფლებათა დაცვა წარმოადგენს. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს უფლების დარღვევის თავიდან აცილების საკითხს. აქცენტს აკეთებს ე. წ. „დარღვევის პროფილაქტიკაზე“. ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო მექანიზმი ამუშავებას იწყებს მაშინ, როდესაც უფლება უკვე დარღვეულია. „დარღვევის პროფილაქტიკის“ არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ აღიკვეთოს სახელმწიფოს ბიუროკრატიული აპარატის მხრიდან თვითნებობის ყოველგვარი გამოვლინება და სახელმწიფოში შეიქმნას თვითნებობის შემბოკავი საკანონმდებლო ბაზა. სწორედ ამ მოვალეობის განხორციელებას ემსახურება საქართველოს ახალი ადმინისტრაციული კოდექსი. პროექტზე მუშაობა პრაქტიკულად დასრულებულია.

სამართლებრივი რეფორმის განვითარებისათვის უმთავრესია საქმიანობის კოორდინაცია, როგორც იუსტიციის სამინისტროსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ისე თავად ამ ორგანიზაციებს შორის. განსხვავებით პოსტსაბჭოური ქვეყნებისაგან, საქართველოში მათი მოღვაწეობა ვითარდებოდა თანამშრომლობისა და პარტნიორული ურთიერთობების საფუძველზე. ვფიქრობ, ესეც ჩვენი დიდი დამსახურებაა.

რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა ინსტიტუციურ ცვლილებებზე, რომელიც აუცილებლად უნდა განხორციელდეს მიმდინარე წელს. დასრულდება იუსტიციის სამინისტროს რეორგანიზაციის პროცესი. უცხოელი ექსპერტების დახმარებით ჩვენ შევძლებთ ჩამოვაყალიბოთ თანამედროვე სამინისტროს მოდელი.

უკვე ჩამოყალიბდა ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრი, რომელმაც სულ მცირე დროში უკვე დიდი ავტორიტეტი და პოპულარობა მოიპოვა.

მიმდინარე წელსვე დასრულდება ნოტარიატისა და მძაჩის ორგანოების რეფორმა.

დაბოლოს, ხელისუფლების წარმომადგენლებს ხშირად გვიწევს დამსახურებული თუ დაუმსახურებელი კრიტიკის მოსმენა. კრიტიკის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების უდიდესი მონაპოვარია. მიუხედავად ბევრი ნაკლისა, დემოკრატიულ საზოგადოებაზე უკეთესი რამ კაცობრიობას ჯერ არ შეუქმნია. ჩვენ ყველა უნდა შევეცადოთ, დავიცვათ ის ახალგაზრდა დემოკრატია, რომლის დიდ მომავალში მე ღრმად ვარ დარწმუნებული.

ბაზ. „საქართველოს რისკუბლიკა“, 1999 წლის 26 თებერვალი.



კახა თარგამაძე

**შარშან უპიივეს პირობებში არ ღავთიეთ პოზიციები
და არც მოგაწალში ვავირებთ ღათიოზას**

ყველასათვის ცნობილია, რაოდენ არაორდინარული, რთული და დაძაბული იყო ქვეყნისათვის 1998 წელი. სამართალდამცავებს, მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტროს, მის ორგანოებს და ქვედანაყოფებს ხშირად ექსტრემალურ ვითარებაში უხდებოდათ სამსახურებრივი ამოცანების შესრულება.

ამის დასადასტურებლად, ალბათ, საკმარისია შემდეგი სამწუხარო მონაცემების მოყვანა:

1998 წელს კრიმინალებთან ბრძოლაში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაიღუპა ჩვენი სისტემის 67 თანამშრომელი, ანუ თითქმის იმდენი, რაც წინა ორ წელიწადში ერთად. სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება და დასახიჩრება მიიღო 75-მა პოლიციელმა. ;

პირადი შემადგენლობის მობილიზების, ჩვენს ხელთ არსებული ძალებისა და საშუალებების მანევრირების შედეგად შესაძლებელი გახდა წლის დასაწყისიდან გართულებულ კრიმინოგენურ

ვითარებაში ძირეული გარდატეხის შეტანა. მიუხედავად კრიმინალური სამყაროს წარმომადგენელთა და დესტრუქციული ძალების მრავალი მცდელობისა ქვეყნის ხელისუფლებამ არ დაუშვა ვითარების დესტაბილიზაცია, ქაოსისა და ანარქიის დამკვიდრება. საქართველოს პრეზიდენტის ყოველდღიური მხარდაჭერითა და მისი მითითებებს შესაბამისად ჩვენ მთლიანად ვაკონტროლებთ სიტუაციას და მიუხედავად ფინანსური და სხვა მწვავე პრობლემებისა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, მისი ადგილობრივი ორგანოები აქტიურად წყვეტენ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ამოცანებს.

მართალია, შარშან წინა წელთან შედარებით, ყველა ხაზით, რეგისტრირებულია 7,2 პროცენტით მეტი დანაშაული, მათ შორის 25 პროცენტით გაიზარდა მძიმე კატეგორიის დანაშაული, მაგრამ ეს მატება ძირითადად განპირობებულია სამხედრო პროკურატურის ორგანოების მიერ დეზერტირობის ფაქტებზე 1411 სისხლის სამართლის საქმის აღძვრით, ანუ საერთო დანაშაულის ყოველი მეათე და მძიმე კატეგორიის დანაშაულის ყოველი მეოთხე ფაქტი დეზერტირობაზე მოდის.

რაც შეეხება რეალურ კრიმინოგენურ ვითარებას, როგორც აღვნიშნე, აქ შევძელით სერიოზული გართულებების დაძლევა და ბოლო წლების განმავლობაში ოპერატიულ-სამსახურებრივი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებით — დანაშაულის დინამიკისა და მისი გახსნის თვალსაზრისით — მიღწეული შედეგების შენარჩუნება.

შარშანდელ სტატისტიკაში კრიმინალური პოლიციის ხაზით რეგისტრირებულია 11.056 დანაშაული, მათ შორის 3.437 — მძიმე კატეგორიისა, რაც სტაბილურია 1997 წელთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ საგრძნობლად იკლო ისეთმა მძიმე დანაშაულმა, როგორცაა განზრახ მკვლელობა — შემცირებამ შეადგინა თითქმის 15 პროცენტი, ყაჩაღობა, ადამიანის გატაცება და სხვა. და რაც მთავარია, კრიმინალური პოლიციის, საგამოძიებო, საექსპერტო-კრიმინალისტიკურ და სხვა სამსახურების მაქსიმალური მობილიზების შედეგად სამინისტრომ გადამწყვეტი როლი შეასრულა შარშანდელი ტერორისტული აქტის გახსნასა და ტერაქტებში და შეიარაღებულ ამბოხებებში მონაწილე პირების დადგენა-დაკავებაში. სულ შარშან გაიხსნა კრიმინალური პოლიციის ხაზით რეგისტრირებულ დანაშაულთა 85 პროცენტი. 243 მკვლელობიდან გაუხსნელი დარჩა მხოლოდ 30. გახსნილია ადამიანის გატაცების ფაქტების 90, მკვლელობის მცდელობისა და სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების 88 პროცენტამდე და სხვა, რაც საგრძნობლად აღემატება ამ მხრივ დსთ-ს ქვეყნებში არსებულ მაჩვენებლებს.

როგორც 1996-97 წლებში, პრეზიდენტის მითითებების შესაბამისად შარშან გრძელდებოდა აქტიური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები და საგამოძიებო მოქმედებანი 1991-95 წლებში, ქაოსისა და განუკითხაობის პერიოდში ჩადენილი დანაშაულის გამოვლენის, რეგისტრაციის გახსნისა და დამნაშავეთა დადგენა-დაკავების მიზნით.

ბოლო სამი წლის განმავლობაში გახსნილია წინა წლებში ჩადენილი 3.300-ზე მეტი დანაშაული, მათ შორის 188 განზრახ მკვლელობა, 920 ყაჩაღობა, ფულის გამოძალვის მიზნით 122 ადამიანის გატაცება და სხვა.

შარშან მხილებული და დაკავებულია კრიმინალთა ათეულობით ორგანიზებული ჯგუფი, რომლებსაც როგორც გასულ, ასევე წინა წლებში ჩადენილი აქვთ არაერთი უმძიმესი დანაშაული. დამთავრდა სასამართლო პროცესი ეგრეთ წოდებული „ლოტკინის საქმის“ ბანდიტური ჯგუფის 21 წევრის მიმართ, რომლებსაც ბანდიტიზმის, მკვლელობებისა და ყაჩაღობებისათვის სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ.

დაკავებულია ადამიანის გამტაცებელთა და გამომძალველთა რამდენიმე ორგანიზებული ჯგუფი, მათ შორის ცხინვალის პროკურორის — ბაბუციძის გამტაცებლები.

ავგისტოში გურიის სამხარეო შინაგან საქმეთა სამმართველომ წერტილი დაუსვა ბოლო წლებში გურიაში მოქმედი სვანიძის ბანდიტური დაჯგუფების დანაშაულებრივ ქმედებებს.

გარდა დანაშაულობათა გახსნისა, პოლიციის პროფესიული საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა მიმალვაში მყოფ ბოროტმოქმედთა დაძვინა და მათი დაკავება. ამ მხრივაც 1998 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის და სხვა სამსახურების დანაყოფებმა გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს.

მიუხედავად სერიოზული სიძნელებისა, უწინარეს ყოვლისა, სამინისტროს დაფინანსებაში არსებული გარღვევებისა, შარშან ჩვენს მიერ დაკავებულია 3.528 ძეზნილი, ანუ მიმალულ ბოროტმოქმედთა 50 პროცენტი. რაც ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

აღსანიშნავია, რომ დსთ-ს ქვეყნების შინაგან საქმეთა სამინისტროებთან კონტრაქტების გაფართოებისა და დსთ-ს ქვეყნების ტერიტორიაზე ორგანიზებულ დანაშაულთა ბრძოლის საკოორდინაციო ბიუროში ჩვენი წარმომადგენლობის მუშაობის გააქტიურების შედეგად წლის განმავლობაში დსთ-ს ქვეყნებში დაკავებულია ჩვენს მიერ ძეზნილი 235 ბოროტმოქმედი.

„ინტერპოლის“ მეშვეობით ამერიკის შეერთებულ შტატებში დაკავებულია ჩვენს მიერ მკვლელობისთვის, ხოლო ესპანეთსა და ბულგარეთში — ყაჩაღობისთვის ძებნილი პირები. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება მათი საქართველოში ექსტრადირების თაობაზე.

სამწუხაროდ, სამივლინებო სახსრების უქონლობის გამო ხერხდება საზღვარგარეთ დაკავებულ ძებნილთა მხოლოდ ნაწილის ექსტრადირება საქართველოში.

შარშან საბიუჯეტო კრიზისთან დაკავშირებით მთელი სისტემისათვის ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად იქცა პოლიციელთა ხელფასების გაცემის საკითხი, რომ არაფერი ვთქვათ პოლიციის მუშაობისთვის საჭირო სხვა აუცილებელი ხარჯების დაფინანსების შესახებ. და დღეს, როდესაც ვსაუბრობთ შარშან დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნით გაწეული მუშაობის ზოგიერთ შედეგების შესახებ, მე უპირველესად, აღვნიშნავ ოპერატიული მუშაობების, რიგით პოლიციელების და სხვა თანამშრომლების თავდადებულ შრომას, რამაც მიუხედავად მრავალი პრობლემისა და გაკირვებისა, უწინარეს ყოვლისა, განაპირობა ეს შედეგები. ამისთვის ჩვენ არაერთხელ გამოვუცხადეთ მათ მადლობა და დღესაც აღვნიშნავთ მათ წვლილს ქვეყანაში სტაბილურობისა და სიმშვიდის შენარჩუნების საქმეში. თუმცა, რასაკვირველია, ყოველთვის ყველაფერი ისე არ კეთდება, როგორც ამას მოითხოვს საქართველოს პრეზიდენტი და ქვეყანაში არსებული ვითარება.

მართალია, როგორც აღვნიშნე, წლის განმავლობაში გაიხსნა მრავალი მძიმე დანაშაული, დაკავებულია მათში მონაწილე ექვმიტანილი პირები. მათ შორის ისეთ რეზონანსულ საქმეებზე, როგორიცაა გაეროს თანამშრომლის ვივიორსკას მკვლელობა და სხვა; მაგრამ ჭერჯერობით გაუხსნელია საბერძნეთის საელჩოს თანამშრომლის მიზიდვისის მკვლელობა, თუმცა ამ საქმეზე მთლად უიმედოდ არა ვართ, მთელი რიგი ყაჩაღობის, სხვა მძიმე დანაშაულობათა ფაქტები, დასაკავებელია მძიმე დანაშაულის ჩადენაში ექვმიტანილი მრავალი პირი და სხვა.

მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის შარშან დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლდნენ სამეგრელო ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს, ქუთაისის, ზუგდიდის სამმართველოების, თელავის, ხაშურის, აბაშის, კასპის, წალენჯიხის, წალკის, სენაკის, სამტრედიის, ვანის პოლიციის, სასჯელთა აღსრულების ზოგიერთი დაწესებულების, მთელი რიგი საქალაქო და რაიონული შინაგან საქმეთა ორგანოების კრიმინალური და ადმინისტრაციული პოლიციის უფროსები. საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს ავტომაგისტრალების ზოგიერთი განყოფილების უფროსი და სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

დანაშაულობათა გახსნის, ბოროტმოქმედთა დაძებნა-დაკავების საკითხებთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიმაჩნია თქვენი ყურადღება გავამახვილო დანაშაულში ექვმიტანილ პირთა მიმართ აღმკვეთი ღონისძიების შერჩევის პრაქტიკაზე, რაც ახალი კანონმდებლობის შესაბამისად სასამართლოების პრეროგატივაში გადავიდა.

ჩვენ არანაირი პრეტენზია არ გავაჩნია უზენაესი სასამართლოს მიმართ, მაგრამ როგორც ჩანს, იმ არასრულყოფილობათა გამო, რაც აღმოაჩნდა მოქმედ კანონმდებლობას სასამართლო რეფორმის დასრულებამდე, ადგილობრივი სასამართლოები პრაქტიკულად უკონტროლოდ დარჩნენ და ხშირ შემთხვევაში ლეზლობენ ყოველად გაუმართლებელ გადაწყვეტილებებს. ეს ყი სერიოზულ პრობლემებს უქმნის სამართალდამცავ ორგანოებს ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარების გაჯანსაღების, მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცების საქმეში.

არის მოსამართლეთა მიერ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების ფაქტები ისეთი ნაკლებად სარწმუნო არგუმენტებით, როგორიცაა მძიმე დანაშაულში ექვმიტანილთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ქონა, მათი დადებითად დახასიათება და სხვა.

ასეთი გადაწყვეტილებები მიიღეს ბოლნისის რაიონის მოსამართლე შავერზაშვილმა — ძარცვაში ექვმიტანილი 2 პირის მიმართ, რომელთაგან ერთ-ერთი წარსულში ორჯერ იყო ნასამართლევი; საბურთალოს რაიონის მოსამართლე ტურავამ ნარკომანიისა და ცივი იარაღის უკანონოდ ტარებისათვის დაკავებულ ხუთჯერ ნასამართლევი პირის მიმართ; ხარაგაულის მოსამართლე მეტრეველმა არ გასცა დაპატიმრების ბრძანება ექვმიტანილის მიმართ, რომელსაც დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ჰქონდა 11 ქურდობა. მოტივი აქაც სტანდარტულია — ექვმიტანილს აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

იბადება კითხვა, ქურდობის რა „ლიმიტი“ უნდა ამოწუროს ბოროტმოქმედმა, რომ იგი წინასწარ პატიმრობაში ავიყვანოთ?

ზოგჯერ მოსამართლეები წინასწარი პატიმრობის სახით ადრე შეფარდებულ აღკვეთის ღონისძიებას დაუსაბუთებლად უცვლიან დაკავებულ ძებნილებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში სარგებლობენ ლმობიერი გადაწყვეტილებით და ისევ ემალებიან მართლმსაჯულებას, მათ ხელახლა დაკავებას კი პოლიციის უამრავი ძალა და ენერჯია ეწირება.

შარშან მართო თბილისის მოსამართლეების მიერ თავდებში გაშვებული პირებიდან 26 მიალა და მათ მიმართ გამოცხადდა ძებნა. 4 შემთხვევაში უკვე ძებნილი და დაკავებული პირები



ისევ თავდებში გაუშვეს და კვლავ ქებნილები გახდნენ. 6 შემთხვევაში კი თავდებში გაშვებულმა ახალი დანაშაული ჩაიდინეს.

გორის სასამართლომ დანაშაულის კვალიფიკაცია შეუცვალა განზრახ მკვლელობისათვის ძებნილ თენაძეს, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობისათვის მიუსაჯა ორი წლით გამასწორებელი სამუშაოები და გაანთავისუფლა სასამართლო დარბაზიდან. კრწანისის რაიონის სასამართლომ კი საპატიმრო აღკვეთის ღონისძიება თავდებობით შეუცვალა თენაძის მეგობარს, გამოძალვაში ბრალდებულ ქრისტესიაშვილს. ამას შემდგომში კრიმინალებს შორის გარჩევები და ანგარიშსწორება მოჰყვა, რის შედეგადაც შარშან ნოემბერში თენაძე და ქრისტესიაშვილი გორის რაიონის სოფელ ერგნეთთან ჩაცხრილეს.

თუ რა უმძიმეს შედეგამდე შეიძლება მიგვიყვანოს მსგავსმა პრაქტიკამ, ნათლად დაგვანახა 15 იანვარს ვაკის რაიონში მომხდარმა ტრაგედია.

1998 წლის 4 დეკემბერს დილის 5 საათზე თბილისელები, 21 წლის ირაკლი კბილაშვილი და რომან ხაყოშია ყაჩაღურად დაესხნენ თავს აბაშიძის ქუჩაზე მდებარე სუპერმარკეტს. დაკავებისას კბილაშვილმა „სტეჩკინის“ სისტემის ავტომატური პისტოლეტით შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია პოლიციის მუშაკებს.

მიუხედავად დანაშაულის სიმძიმისა, ვაკის რაიონის მოსამართლემ ბადაგაძემ არ დააკმაყოფილა გამოძიების შუამდგომლობა, არ გასცა კბილაშვილის და ხაყოშიას დაპატიმრების სანქცია და მათ სამი თვის ვადით შინაპატიმრობა შეუფარდა.

ამ რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარი გადაწყვეტილების მიღებიდან სულ რაღაც ერთ თვეში კბილაშვილმა ცეცხლსასრული იარაღიდან გასროლით თავისი საცხოვრებელი ბინის სადარბაზოში მოკლა 20 წლის შოთა კავსაძე.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, მოსამართლე ბადაგაძე უზენაესი სასამართლოს მიერ უკვე დასჯილი იყო სხვა საქმესთან დაკავშირებით და ამჟამადაც დგას საკითხი მისი დისციპლინარული დევნის შესახებ.

ალბათ, დამეთანხმებით, რომ მძიმე დანაშაულში მხილებულ ექვმიტანილთა მიმართ სასამართლოებმა უნდა მიიღონ ყოველმხრივ არაგუმენტირებული გადაწყვეტილება, რათა მაქსიმალურად გამოირიცხოს როგორც ექვმიტანილთა, ასევე დაზარალებულთა კანონიერი უფლებების დარღვევა.

მოსაგვარებელია, აგრეთვე, სასამართლოებთან დაკავშირებული ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხიც. მთელ რიგ რაიონებში გათვალისწინებულია მხოლოდ ერთი მოსამართლის შტატი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით კი მოსამართლეს, რომელიც გასცემს ექვმიტანილის დაპატიმრების ბრძანებას, აკრძალული აქვს მისი საქმის სასამართლო განხილვა. სხვა რაიონში დაზარალებულები და მოწმეები არ ცხადდებიან და ხშირ შემთხვევაში, ნაცვლად თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისა, პოლიციას უხდება მათი სასამართლოში წარდგენა, რომ აღარაფერი ვთქვათ ტრანსპორტის, საწვავის ხარჯებზე და სხვა.

დანაშაულის, და პირველ რიგში, არასრულწლოვანთა და მოზარდთა შორის დანაშაულის პროფილაქტიკა ბევრად და მოკიდებული ქვეყანაში ისეთი საშინელი სენის წინააღმდეგ ბრძოლაზე, როგორცაა ნარკომანია.

არაერთხელ აღინიშნა ქვეყანაში ნარკოსიტუაციის უკიდურესად გამწვავების საშიშროების შესახებ, რაც დაკავშირებულია ევროაზიური სატრანსპორტო დერეფნის ამოქმედებასთან და აქედან გამომდინარე, ნარკოტიკების კონტრაბანდის ზრდასთან. მაგრამ, ნებისთ თუ უნებლიეთ, ხშირად ნარკოტიკების კონტრაბანდის აღკვეთა-აცილების პრობლემას უკავშირებენ მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობას.

იმისათვის, რომ საიმედოდ გადაიკეტოს ნარკოტიკების კონტრაბანდული შემოტანისა და ტრანზიტის გზები, საჭიროა გადაწყდეს საბაჟო, სახელმწიფო საზღვრის დაცვის, უშიშროების სამსახურების შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის, ორგანიზაციული და სხვა საკითხები, რათა გამოირიცხოს ოპიუმის, ჰეროინის და სხვა ძლიერმოქმედი ნარკოტიკების დიდი პარტიების საქართველოს ტერიტორიის გავლით თურქეთში, შემდეგ კი ევროპაში გადაზიდვის ფაქტები, როგორც ეს იყო შარშან, თებერვალში.

გარდა ამისა, როგორც ადრეც აღვნიშნე, ოპერატიული და სამსახურებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროა პროცესუალურად დადგინდეს, რომ ნარკოტიკების კონტრაბანდის ფაქტებზე გამოძიება აწარმოოს იმ უწყებამ, რომელიც ასეთ ფაქტს გამოავლენს.

ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ჩვენი ძირითადი აქცენტი გადატანილია ნარკოტიკების მომწოდებელთა და რეალიზატორთა გამოვლენაზე. შემთხვევითი არ არის, რომ შარშან გამოვლენილ ამ კატეგორიის დანაშაულობათა ფაქტებზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეებიდან ყოველი მეექვსე ნარკოტიკების რეალიზაციაზე მოდის.

სულ ახლახანს, ნარკოტიკების რეალიზაციის ფაქტებზე დავაპატიმრეთ თბილისის ჩუღურე-

თის რაისამმართველოს სისხლის სამართლის სამხედრო ინსპექტორი, პოლიციის კაპიტანი ჯან-
ყულაშვილი, სამგორის რაისამმართველოს ნარკომანიისა და ნარკოპოზიციის წინააღმდეგ მებრ-
ძოლი განყოფილების უფროსი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ბაბუნაშვილი, ერთ-ერთი ქვე-
დანაყოფის უფროსი ინსპექტორი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი ბანეთიშვილი. როგორც ხედავთ,
ნარკოვაჭრებთან ბრძოლაში ჩვენ არ ვერიდებით და არც მომავალში მოვერიდებით ძალოვანი
სტრუქტურების, მათ შორის, ჩვენივე სისტემის ყოფილ თუ მოქმედი თანამშრომლების მხი-
ლებას.

ამასთანავე, როგორც მძიმე დანაშაულში ეჭვმიტანილ პირთა მიმართ აღკვეთის ღონისძიე-
ბების შეფარდების საკითხებთან დაკავშირებით, აქაც საჭიროდ მივიჩნევთ ქვეყნი ყურადღება
გაგამახვილო ზოგიერთი სასამართლოს მიდგომაზე ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავ-
შირებული სისხლის სამართლის საქმეებისადმი.

იანვრის ბოლოს ჩვენს მიერ მარნეულში ოპიუმის რეალიზაციის ფაქტზე დაკავებულია რე-
გიონში ცნობილი ნარკოვაჭარი მარგალიტა ქველიძე, რომელსაც ჩამოერთვა გასაყიდად გამზა-
ღებული ოპიუმის დიდი რაოდენობა, სასწორი და საწონები.

ეს პიროვნება ანალოგიური დანაშაულის ჩადენისათვის ბოლო ოთხი წლის განმავლობაში
სამჯერ იყო გასამართლებული მარნეულის რაიონის სასამართლოს მიერ, მაგრამ სამივეჯერ მო-
ესხნა ბრალდება ნარკოტიკების რეალიზაციაში და სასჯელი მიესაჯა მხოლოდ ნარკოტიკული
ნივთიერებების უკანონოდ შენახვისათვის.

ასეთი მიდგომის შედეგად ნარკოვაჭარი რამდენიმე თვეში კვლავ აქტიურად აგრძელებდა
თავის დანაშაულებრივ საქმიანობას.

აღბათ, აღნიშნული და სხვა მსგავსი ფაქტები შესაბამისი შესწავლის საგანი უნდა გახდეს,
რათა ბოლოსდაბოლოს გაირკვეს, ვინ იჭერს ნარკოვაჭრებს, კრიმინალური სამყაროს სხვა წარ-
მომადგენლებს და ვინ უშვებს მათ.

დღეს უკვე აღინიშნა, რომ ქვეყნის ეკონომიკაში განვითარებული პროცესების შედეგად
შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა მოითხოვს სამართალდამცავ და მაკონტროლებელ ორგანოთა
მხრიდან ადეკვატური ზომების განხორციელებას.

შარშან ეკონომიკის სფეროში გამოვლინდა 1000-ზე მეტი სისხლის სამართლის დანაშაული.
აქედან, მექრთამეობის, სახელმწიფო ქონების დატაცების, გადასახადების დამალვის, ყალბი ფუ-
ლის დამზადება-გასაღების, კონტრაბანდის და სხვა ეკონომიკურ დანაშაულობათა 90 პროცენ-
ტამდე გამოვლენილია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ. სახელმწიფოსთვის მიყენებული ზა-
რალის ანაზღაურების მიზნით დამნაშავეთაგან ამოღებულია მილიონობით ლარი, ოქრო, პლა-
ტინა, ვერცხლი. სხვა მატერიალური ფასეულობანი.

აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა ყალბი ეროვნული და უცხოური ვალუტის გამსაღე-
ბელი დანაშაულებრივი ჯგუფების გამოვლენისა და ამ ყალბი ვალუტის უკანონო ბრუნვიდან
ამოღების მიზნით.

სულ რაღაც 3-4 დღის წინათ ჩვენს მიერ დაკავებულია დამნაშავეთა 6 კაციანი ორგანიზე-
ბული ჯგუფი, რომელმაც საქართველოში სარეალიზაციოდ შემოიტანა 500 ათასი ყალბი ამერი-
კული დოლარი, საიდანაც მოასწრეს 50 ათასი ყალბი დოლარის 14 500 დოლარად რეალიზაცია.

ჩვენს მიერ მხილებულია საინვესტიციო კანონს ამოფარებული ფირმები, რომლებმაც უკა-
ნონოდ ისარგებლეს შეღავათებით და საბიუჯეტო გადასახადების გარეშე შემოიტანეს სხვადასხვა
პროდუქტია, რითაც, გარდა იმისა, რომ შეიქმნა არათანაბარი კონკურენტული პირობები, სახე-
ლმწიფომ განიცადა მნიშვნელოვანი ზარალი. ბათუმის საინვესტიციო ფირმა „ნიკას“ ღირებულო-
რმა გულიაშვილმა თურქეთიდან საქართველოში შემოიტანა და გაყიდა 12 მილიონამდე დოლა-
რის ღირებულების პროდუქტია, რითაც ბიუჯეტს 5 მილიონ 788 ათასი ლარის გადასახადი და-
უშალა.

ბიზნესცენტრ — „საქართველოს“ მუშაობა იტალიიდან ინვესტირების წესით შემოიტა-
ნეს 630 ათასი ლარის ღირებულების მზა ტანსაცმელი, რომელზეც უკანონოდ გავრცელდა შე-
ღავათები და სახელმწიფო ბიუჯეტს დააკლდა 213 ათასი ლარი.

დაპატიმრებულია ფირმა „დომინიონ ჯორჯიას“ ხელმძღვანელი, ირანის მოქალაქე ფარზად
ხოსრაგი, რომელსაც გაყალბებული ინვოისებით საქართველოში კონტრაბანდული გზით შემოჭ-
ქონდა სხვადასხვა პროდუქტია და ბიუჯეტს დაუშალა ერთნახევარ მილიონ ლარზე მეტი თანხა.
სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსთან ერთობლივად განხორციელებული ღონისძიებების
შედეგად მხილებული არიან, აგრეთვე აღნიშნული ფირმის თარჯიმანი ჯოჯუა, რომელმაც დო-
კუმენტების გაყალბებით ბიუჯეტს დაუშალა 300 ათასი დოლარის გადასახადი და თბილისის
რეგიონული საბაჟოს თანამშრომელი ბარამიძე, რომელმაც ფირმა „დომინიონ ჯორჯიას“ სახე-
ლზე შემოსული ტვირტების გაფორმებისას დოკუმენტების გაყალბებით ბიუჯეტს 150 ათასი დო-
ლარის ზარალი მიაყენა. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ მათ მიერ საქართველოში იმპორტირე-
ბული ძეხვის დიდი პარტია მოხმარებისათვის უვარგისა იყო და მთლიანად განადგურდა.

2. „სამართალი“ № 2.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

F7036

ნავთობისა და გაზის კომპანია „იორის ველის“ ხელმძღვანელებმა საბუღალტრო დოკუმენტებში რეალიზებულად არ აჩვენეს მილიონ 700 ათასი ლარის ღირებულების ნედლი ნავთობი, რითაც ბიუჯეტს დაუმაღეს 436 ათასი ლარის გადასახადი.

სერიოზული დარღვევები გამოვლინდა მონეტარიზაციის წესით შემოტანილი ჰუმანიტარული დახმარების პროდუქტების რეალიზაციის და ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხების შესწავლისას. ჰუმანიტარული მისია „ამქორის“ მიერ საქართველოში მონეტარიზაციის წესით შემოტანილი მზესუმზირის ზეთის რეალიზაცია ხდებოდა იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ, რომლებსაც ბიუჯეტისთვის უნდა გადაეხადათ დამატებითი ღირებულების გადასახადი ნახევარი მილიონი ლარის ოდენობით, მაგრამ დღეისათვის ფაქტობრივად არაფერია გადახდილი.

ვინაიდან მონეტარიზაციის წესით შემოტანილი პროდუქტების რეალიზაციიდან ამოგებული თანხები სხვადასხვა პროგრამების დაფინანსებას უნდა მოხმარებოდა, „ამქორი“ განთავსებული იყო საბაჟო და სხვა გადასახადებისაგან. ფაქტობრივად კი, „ამქორის“ მიერ მზესუმზირის ზეთის რეალიზაციით ამონაგებ ორნახევარ მილიონ ლარს გაუკეთდა კონვერტაცია და გადაირიცხა ამერიკის შეერთებულ შტატებში, მისიის სათაო ორგანიზაციაში. საქართველოში კი რაიმე ჰუმანიტარული პროგრამა ამ თანხით ჯერჯერობით არ დაფინანსებულა.

ჩემს ბოლო გამოსვლებში არაერთხელ აღვნიშნე, რომ ორგანიზაციებს შორის ანგარიშსწორებისას ჩათვლების პრაქტიკის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტი სერიოზულ ზარალს განიცდის; ვინაიდან ამ მანიპულაციებით მნიშვნელოვანი თანხები ბიუჯეტის ნაცვლად ხმარდება კერძო სტრუქტურების ინტერესებს და ხშირად გატაცების ობიექტი ხდება.

ამ კატეგორიის საქმეების გამოძიების პროცესში დადგინდა, რომ ფინანსთა სამინისტროს სხვადასხვა ფირმებისათვის ჩათვლის სახით გადაცემული აქვს ძირითადად საბაჟო, რკინიგზის დეპარტამენტის და საგადასახადო სამსახურის აქტივების სახით დაახლოებით 60 მილიონი ლარი. ეს თანხები, საგრძნობი შეღავათებით შემდგომში გადანაწილდა სხვა ფირმებზე, რის შედეგადაც ისინი საკმაოდ პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

სამწუხაროდ, მსგავსი ფაქტები თითქმის ყველა დარგში გამოვლინდა, მათ შორის, ისეთ სასიცოცხლო მნიშვნელობის სფეროში, როგორცაა მოსახლეობის ელექტროენერჯით მომარაგება, რაც დღეს ჩვენი ქვეყნისთვის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საკითხია.

1998 წლის აპრილში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე შპს „ჯი-ეფ-ტი-სი“-ს თანამშრომელთა მიმართ დიდი ოდენობით საბაჟო გადასახადისაგან თავის არიდების ფაქტზე. ფირმის გენერალური დირექტორი ბაქანიძე დაპატიმრებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქონების გატაცებისათვის.

გამოძიებით დადგენილია, რომ 1997 წელს „საქენერგოს“ გენერალურმა დირექტორმა მეტრეველმა ხელშეკრულების საფუძველზე „ჯი-ეფ-ტი-სი“-ს გადასცა საგადასახადო მოთხოვნის უფლება მისი დებიტორებისაგან 2 მილიონ 900 ათას ლარზე, და საგარანტიო წერილი ქართული ბანკიდან 670 ათასი ლარის კრედიტის მისაღებად.


ამის სანაცვლოდ „ჯი-ეფ-ტი-სი“-ს ორთვიან ვადაში უნდა დაეფარა „საქენერგოს“ 1 მილიონ 800 ათასი ლარის საკრედიტო დავალიანება ბანკისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ბაქანიძემ არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, „საქენერგოს“ გენერალურმა დირექტორმა მეტრეველმა არ მიიღო არავითარი ზომები სახელმწიფო ინტერესების დასაცავად, უფრო მეტიც, კვლავ განაგრძო შპს „ჯი-ეფ-ტი-სი“-სათვის აქტივების გადაცემა. კერძოდ, 800 ათასი ლარის აქტივი გადასცა შპს „კარლ“-ს, 500 ათასი ლარის აქტივი კი თბილისის საავიაციო გაერთიანებას.

რაოდენ ვასაკვირიც უნდა იყოს, სიტუაცია არც „საქენერგოს“ ახალი გენერალური დირექტორის — ჩაჩხიანის დანიშვნის შემდეგ შეიცვალა, რომელმაც ნაცვლად იმისა, რომ მიეღო ზომები „ჯი-ეფ-ტი-სი“-ს მიერ „საქენერგოს“ წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად, „ჯი-ეფ-ტი-სი“-ზე რიცხული 1 მილიონი ლარის აქტივი გადასცა შპს „ტრიუმფს“ განკარგვის უფლებით.

ყოველივე ამის შედეგად „ჯი-ეფ-ტი-სი“-მ მთლიანად განკარგა „საქენერგოდან“ მიღებული 2 მილიონ 195 ათასი ლარის აქტივი და „საქენერგოს“ მიერ გაცემული საგარანტიო წერილით ბანკიდან მიიღო 670 ათასი ლარის კრედიტი, რომელიც შემდგომში მთლიანად მიითვისა. საბოლოო ანგარიშით, სახელმწიფოსათვის მიყენებულმა ზარალმა მხოლოდ ამ ეპიზოდში 2 მილიონ 866 ათასი ლარი შეადგინა.

გარდა ამისა, ფირმა „ჯი-ეფ-ტი-სი“-მ თბილისის საავიაციო გაერთიანებასთან ურთიერთთანხმების მექანიზმის გამოყენებით და სხვადასხვა მაქინაციებით სახელმწიფო ბიუჯეტს 2 მილიონ 500 ათასი ლარის ზარალი მიაყენა (თანხა მთლიანად გაიტაცა).

1997 წელს დიდუბის რაიონის საგადასახადო ინსპექციამ მუნიციპალურ საწარმო „თელასს“ ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხების შემოწმებისას სახელმწიფოს სასარგებლოდ 9 მილიონ



473 ათასი ლარის გადასახადი დაეკრა, მაგრამ თბილისის კონტროლის პალატის პრეზიდენტმა თავისი დადგენილებით „თელასს“ ეს გადასახადი მოუხსნა.

კონტროლის პალატის დადგენილებაზე დაყრდნობით, საბუღალტრო დოკუმენტებში არასწორი გატარებისა და საგადასახადო ინსპექციაში წარდგენილი არარეალური დეკლარაციების საფუძველზე მუნიციპალურმა საწარმო „თელასმა“ 1997 წელს ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილად აჩვენა საერთოდ არარსებული 9 მილიონ 473 ათასი ლარი, რის შემდეგაც 7 მილიონ 500 ათასი ლარი ჩაუთვალა „საქენერგოს“ როგორც დამატებითი ღირებულების გადასახადი, ხოლო 2 მილიონი ლარი მსხვილ გადამხდელთა ინსპექციაში აქტივის სახით გადასცა შპს „ორბელს“. შემდგომში „თელასის“ წერილის საფუძველზე „ორბელზე“ რიცხული თანხიდან ბიუჯეტთან ანგარიშსწორებაში ჩაეთვალათ „კოკა-კოლას“ — 800 ათასი, „ჯეოსელს“ — 500 ათასი, „ყაზბეგს“ — 350 ათასი და „ბიზნეს სინთეზს“ — 350 ათასი ლარი, რის ნაცვლად ფირმა „ორბელმა“ 700 ათასი ლარით ჩაითვალა ბიუჯეტიდან ადრე წარმოქმნილი დავალიანება, ხოლო ამ ფირმებისგან მიიღო ნაღდი ფული მილიონ 300 ათასი ლარის ოდენობით, თითქოსდა საქენერგოგენერაციისთვის გერმანიიდან სხვადასხვა სპეციალური მოწყობილობა-დანადგარების შემოსატანად. მაგრამ დღეისათვის არც აღნიშნული მოწყობილობები არაა შემოტანილი და არც ჯული არ ჩანს.

ასე, რომ, არარსებული უზარმაზარი თანხების მანიპულაციით სახელმწიფო ბიუჯეტმა 19 მილიონამდე ლარი იზარალა, ხოლო გატაცებული და მითვისებული თანხების ოდენობა და კონკრეტული პირების პასუხისმგებლობა დადგინდება გამოძიებით, რომელიც ინტენსიურად მიმდინარეობს.

ქვეყნის ეკონომიკა ბევრად და მოკიდებული უცხოური ინვესტიციების კრედიტების და სხვა სახის დახმარებების მოზიდვაზე. მათ სწორ და ეფექტიან გამოყენებაზე. სამწუხაროდ, ჩვენ არაერთი მაგალითი გვაქვს, როდესაც ნაცვლად იმისა, რომ ცალკეული ფირმების მიერ კრედიტები მიმართული იყოს გაჭირვებული მოსახლეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ხდება უზარმაზარი თანხების განიავება, მათი არადანიშნულებისამებრ, უყაირათო ხარჯვა და მითვისება.

არაერთხელ ითქვა საქართველოს ეროვნული ბანკის (ყოფილი პრეზიდენტი ჯავახიშვილი) საგარანტიო წერილების საფუძველზე გაცემული კრედიტების შესახებ. კერძოდ, შპს „ვიტა“-ს საგარანტიო წერილით მიღებული აქვს 5 მილიონი დოლარი, დღეისათვის კრედიტი, ფაქტობრივად, მთლიანად დაუფარავია და დარიცხული პროცენტებით და ჯარიმებით სახელმწიფოს წინაშე დავალიანება შეადგენს 7 მილიონ 900 ათას დოლარს. სააქციო საზოგადოება „კახეთის პურს“ დასაფარი აქვს 4 მილიონ 800 ათასი დოლარი. დღემდე დაუფარავია ასევე „ცეკავშირის“, თავდაცვის სამინისტროს და შპს „სივიეს“-ს მიერ აღებული კრედიტები.

ბატონო პრეზიდენტო,

ამ კრედიტების დაუფარავი ძირითადი თანხა დღეისათვის 12 მილიონ დოლარს აჭარბებს, ხოლო ჯარიმების გათვალისწინებით — 23 მილიონამდე დოლარია. ქვეყანამ უდიდესი ზარალი განიცადა, მაგრამ გამოძიებას არ შეუძლია დააყენოს კონკრეტული თანამდებობის პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, ვინაიდან სასამართლოებში კიანურდება ეროვნული ბანკის სარჩელების განხილვა მისი დაზარალებულად ცნობის შესახებ.

და კიდევ ერთი პრობლემა სასამართლოებთან მიმართებაში. შარშან წლის პირველი ნახევრის შედეგების შეჯამებისას ჩემს გამოსვლაში მოვიყვანე განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადების დამალვის მაგალითი, როდესაც ცილიკურმა, ჩუტკერაშვილმა და ძმებმა ლულუკიანებმა საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლის ხელშეწყობით სახელმწიფო ბიუჯეტს დააკლეს 226 ათასი ლარი. მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავეებს სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალიდან არცერთი ლარი არ დაუფარიათ, თბილისის სამგორის რაიონის მოსამართლე ნადირაძემ შესაძლებლად ჩათვალა მათი დაჯარიმება, რაც ყოვლად გაუმართლებლად მიგვაჩნია.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ კორუფციასთან ბრძოლის მიმართებაში პარადოქსული სიტუაცია შეიქმნა: საზოგადოებაში ჩამოყალიბდა არასწორი, დამახინჯებული წარმოდგენა თითქოსდა კორუფციასთან ბრძოლის ეფექტიანობა განისაზღვრება მხოლოდ აღძრული სისხლის სამართლის საქმეებისა და დაპატიმრებულ პირთა რაოდენობით. ამასთან, როგორც კი აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე სახელმწიფო სახსრების მითვისების, გადასახადების დამალვის და სხვა ეკონომიკურ დანაშაულობათა ფაქტებზე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან დაწყებული სასამართლოებისა და ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლით დამთავრებული, ცდილობენ მაქსიმალურად შეგვიშალონ ხელი დამნაშავეთა მიმართ კანონიერი გადაწყვეტილების მიღებაში.

გამუდმებით გაისმის პოპულისტური განცხადებები, რომ ქვეყანა კორუფციის ჭაობში იხრჩობა, ხელისუფლება კი თითქოსდა არაფერს აკეთებს ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად.

თურმე ყველამ იცის, ვინ ვის უკან დგას! და ვინ აფათურებს ხელს ჩვენი ქვეყნის ისედაც მწირ ბიუჯეტში. რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, ასეთ ყოვლისმცოდნეთა როლში ძირითადად



იმავე ხელისუფლების წარმომადგენლები გვევლინებიან, რომლებიც მხოლოდ სხვას უკითხავენ, თითქოს თვითონ არ ეხებოდეთ და არ ევალდებოდეთ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა.

ბოლო სამი წლის მანძილზე ჩვენს მიერ კორუფციულ გამოვლინებებსა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედობებში მხილებულ თანამშრომელთა მიმართ გენერალურ პროკურატურას გადაეგზავნა 922 მონაკვლევით მასალა. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიეცა 300-მდე და ორგანოებიდან დათხოვნილია 1000-ზე მეტი პოლიციის თანამშრომელი.

გარდა ამისა, პოლიციის სარეგისტრაციო საქმიანობის სფეროებიდან გამოვითქვით სხვადასხვა საშუაშელო ფირმები, რითაც კორუფციის მნიშვნელოვანი კერები და არხები გადავუკეტეთ როგორც აღნიშნულ ფირმებს, ასევე მათ უკან მდგომ კერძო პირებსა და პოლიციის ჩინოსნებს. ამის შედეგად ბოლო ორ წელიწადში სახელმწიფო ბიუჯეტში შეიტანილია 17 მილიონ ლარზე მეტი თანხა, მაშინ როდესაც საშუაშელო ფირმები ბიუჯეტში შეიტანდნენ მხოლოდ ერთ მილიონამდე ლარს, ხოლო 16 მილიონზე მეტი ამ კორუმპირებული პირებისა და თანამშრომლების ჯიბეებში აღმოჩნდებოდა. და კიდევ ერთი საკითხი.

ჩვენს ხელთ დაგროვილია უზარმაზარი გადამოწმებული ოპერატიული ინფორმაცია, ჩვენებებიც კი კორუფციაში გარეულ თანამდებობის პირთა მიმართ, რაც ჯერ კიდევ არ იძლევა საფუძველს მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადასაწყვეტად. მაგრამ ხომ შესაძლებელია სათანადო საკანონმდებლო ბაზის არსებობის შემთხვევაში ამ მასალების საფუძველზე ხელისუფლების სხვაგვარი რეაგირება, შესაბამისი ორგანიზაციული, საკადრო თუ სხვა ზომები.

ასეთ შემთხვევაში ჩვენ არ დაველოდებით მოვლენების განვითარებას, რათა კონკრეტული თანამდებობის პირი დანაშაულის ფაქტზე ვამხილოთ და დავაპატიმროთ. სათანადო მიმართულებას მივცემთ ინფორმაციებს და ამით საქმეც და, საბოლოო ანგარიშით, ქვეყანაც მოგებულ დარჩება.

როდესაც ვაჩამებთ შარშან გაწეული მუშაობის შედეგებს, ჩვენი უპირველესი ამოცანაა არა მხოლოდ მიღწეულის ან დაშვებული ნაკლოვანებების და გადაუჭრელი პრობლემების დაფიქსირება, არამედ მიმდინარე პროცესების ანალიზზე დაყრდნობით მომავლის პროგნოზირება და შესაბამისი ღონისძიებების განსაზღვრა.

ჩვენ არ მივეკუთვნებით პესიმისტთა კატეგორიას, ვინაიდან კარგად გვესმის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის გზაზე არსებული ურთულესი წინააღმდეგობები და სიძნელეები. მაგრამ რეალურად ვაფასებთ სიტუაციას და შეგნებული გვაქვს, რაოდენ რთული იქნება წლებანდელი წელი მთლიანად სახელმწიფოსათვის, მათ შორის ძალოვანი სტრუქტურებისა და, პირველ რიგში, შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის.

პოლიცია მზადაა წინ აღუდგეს და აღკვეთოს კრიმინალთა ნებისმიერი გამოხდომა. იანვარში საგარეჯოს პოლიციის თანამშრომელთა საზრიანი და გაბედული მოქმედების შედეგად შეიარაღებულ ბანდიტურ ჯგუფთან შეტაკებისას ერთი ბოროტმოქმედი ადგილზე იქნა ლიკვიდირებული, მეორე — დაჭრილი და დაკავებულა. დამნაშავეთა ავტომანქანიდან ამოღებულია შეიარაღების მთელი არსენალი — ავტომატები, პისტოლეტები, ყუმბარები, აგრეთვე რადიოგადამცემები, ნიღბები და სხვა კრიმინალური აღჭურვილობა. სამწუხაროდ, ამ შეტაკების დროს დაიღუპა საგარეჯოს პოლიციის ახალგაზრდა თანამშრომელი, ლეიტენანტი ზაზა ქურბული.

რაც შეეხება მიმალულ ბოროტმოქმედებს, მიმდინარეობს აქტიური მუშაობა მათი დაძებნა-დაკავებისათვის. ჩვენთვის ისიცაა ცნობილი, რომ მათ შორის არიან პირები, რომლებიც ადრე დაკავებული და გასამართლებულიც კი იყვნენ, მაგრამ როგორც ხედავთ, მიეცათ საშუალება გაეგრძელებინათ თავიანთი დანაშაულებრივი ქმედებები.

სოციალურ-ეკონომიკური ამოცანები, კარზე მომდგარი საპარლამენტო არჩევნები მოითხოვს დაძაბულ და მიზანმიმართულ მუშაობას ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარების შემდგომი გაჩანსალების, დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების და საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად.

და თუ ამ საკითხებში არ იქნება ხელისუფლების ყველა შტოს და საზოგადოებრიობის ერთიანი მიდგომა, მაშინ გაუთავებელი დაპირისპირებებით და უსაფუძვლო ბრალდებების წამოყენებით სერიოზული ზიანი მიაღებება სახელმწიფოებრივ და ეროვნულ ინტერესებს.

ჯერ კიდევ შარშანწინ ამავე დარბაზში მე განვაცხადე, რომ ყოველად დაუშვებელია, ქვეყნისათვის დამლუპველია, როცა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, სხვადასხვა პუბლიკაციებში, კომენტარებში, საჯარო გამოსვლებში ტერორისტები, მკვლელები, ყაჩაღები ლამის ეროვნული გმირების რანგში აიყვანონ.

ამ დარბაზში ასევე ხმამაღლა განვაცხადე, რომ უზუნობაა ამა თუ იმ პოლიტიკური ძალების წარმომადგენელთა ლაქუცი ტერორიზმისთვის ძებნილ გიორგაძესთან, მასთან გაუთავებელი ინტერვიუები და სხვა.



სადამდე მიგვიყვანა ასეთმა თამაშმა, ყველასთვის კარგადაა ცნობილი. ტერორისტ იმდენად გაუღვივდა პოლიტიკური ამბიციები, რომ უკვე დაუფარავად აცხადებს პრეტენზიებს პრეზიდენტობაზე.

სამწუხაროდ, ხშირად გვიხდება იმ კემარიტების განმარტება, რომ დემოკრატია არ გულისხმობს განუკითხაობას და ანარქიას. პირიქით, დემოკრატია ეყრდნობა კანონის უზენაესობას და ყველა მოქალაქის კანონმორჩილებას, განურჩევლად მისი პოლიტიკური მრწამსისა თუ სოციალური მდგომარეობისა.

სწორედ ამ პრინციპებით მოქმედებს შინაგან საქმეთა სამინისტრო. შარშან უმძიმეს პირობებში არ დავთმეთ პოზიციები და არც მომავალში ვაპირებთ დათმობას.

კრიმინალებთან დაუნდობელი ბრძოლა, მართლწესრიგისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების განმტკიცება საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის აუცილებელი პირობა და მისი განუყოფელი ნაწილია. ევროსაბჭოში საქართველოს გაწევრიანება დიდი გამარჯვებაა და ამასთან, უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს ქვეყნის ხელისუფლებას, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საქართველოს თითოეულ მოქალაქეს.

ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ, რათა წარმატებით შევასრულოთ ჩვენი პროფესიული და კონსტიტუციური მოვალეობა, საქართველოს პრეზიდენტს მიერ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანები.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1999 წლის 24 თებერვალი.



გახტანვ ჟუთათელაძე

ჩვენს ქვეყანაში უცხო სახელმწიფოთა სტრატეგიული ინტერესების გადკვეთა მათი სპეცსამსახურების საქმიანობის გააქტიურებას იწვევს

სპეცსამსახურის საქმიანობა, უპირველესად, ფასდება მოწინააღმდეგის „ხედვის“ უნარით, ანუ იმ საშიშროებათა დროული გამოვლენით, თავიდან აცილებითა და აღკვეთით, რომლებიც ქვეყნის სახელმწიფოებრიობის განვითარების მიმდინარე ეტაპზეა მოსალოდნელი: ამგვარ საშიშროებათა მაგალითები საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან მრავლად მოგვეპოვება. მათი წინაპირობებისა და, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, შედეგების ლოკალიზება ჩვენი ოპერატიული საქმიანობის პროცესში გვიხდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დროულად ვერ აღმოვაჩინეთ მოწინააღმდეგის კვალი, ვერ შევქელით მისი გეგმებისა და ზრახვების გაშიფვრა.

დღესდღეობით ნათელია, რომ სამინისტროში, გარკვეული მიზეზების გამო, წლების განმავლობაში იყო სერიოზული ხარვეზები საკადრო პოლიტიკაში, რაც ძირითადად გამოიხატებოდა თანამშრომელთა პროფესიული ზრდისა და დაწინაურების პროცესის გეგმაზომიერების დარღვევაში. ამ მიზეზების გამო, სამინისტროს პირადი შემადგენლობისა და თავად უწყების ფორმირება სუვერენული ქვეყნის სრულფასოვან სპეცსამსახურად გაუმართლებლად გაიწვია.

ეს პროცესი შეეხო სამინისტროს დამხმარე აპარატსაც. იგი ხარისხობრივად გაუარესდა. მოძველდა თანამშრომლობის პრინციპებიც. ბუნებრივია, რომ დემოკრატიული ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქე არ ითანამშრომლებს ეროვნული უშიშროების სამსახურთან, ტოტალიტარულ სახელმწიფოში მიღებულ საფუძველზე. საიდუმლო თანამშრომელთა ინსტიტუტი მსოფლიოს ნებისმიერი სპეცსამსახურისათვის ინფორმაციის ძირითად და ყველაზე საიმედო წყაროს წარმოადგენს, ამიტომ ძირეულად უნდა გარდაიქმნას საიდუმლო თანამშრომლებთან მუშაობის ფორმები და მეთოდები. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით მუშაობა ჯერ კიდევ ჩემმა წინამორბედმა დაიწყო.

ამ მიზეზებით, სამინისტროს უაღრესად მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზითაც და ფინანსურ უზრუნველყოფაში არსებული ხარვეზებით აიხსნება ის გარემოებები, რომელთა გამო ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფაზე ესოდენ დიდი პასუხისმგებლობის მატარებელი უწყება წინ ვერ აღუდგა 9 თებერვლის ტერორისტული აქტის, 19 თებერვლის ჭიხაშკარის ამბების, გალის რაიონში მაისის სამხედრო პროვოკაციის და 19 ოქტომბრის შეიარაღებული ავანტიურის განხორციელებას. თუმცა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სამინისტროს გააჩნდა ზოგადი ინფორმაცია ნეგატიური მოვლენის მზადების შესახებ.

ამჟამად, სამინისტროს ქვედანაყოფების სტატუსი მოყვანილია შესაბამისობაში მათ ფუნქციონალურ მოვალეობებთან, საკადრო შემადგენლობის გადახალისების პროცესში განხორციელდა საშუალო რგოლის ხელმძღვანელთა ესოდენ აუცილებელი როტაცია.

პრაქტიკამ ცხადყო, რომ სამსახური საჭიროებს შევსებას ახალი მენტალიტეტის მქონე კადრებით. ამისათვის, ხარისხობრივად უნდა გარდაიქმნას სასწავლო პროცესი სამინისტროს აკადემიაში. ამასთანავე, სამინისტროს შემადგენლობის დაკომპლექტებისას, ყოველი თანამშრომელი უნდა აკმაყოფილებდეს სამ ძირითად კრიტერიუმს — სამშობლოსადმი ერთგულება, კეთილსინდისიერება და პროფესიონალიზმი. ამ უკანასკნელს უზრუნველსაყოფად, აუცილებლად მიგვაჩნია საქართველოს მეგობარი ქვეყნების სპეცსამსახურების გამოცდილების გამოყენებაც.

სამინისტროს კონტრდაზვერვითი საქმიანობით მიღებული მოკრძალებული შედეგები გარკვეულწილად მოწინააღმდეგის სიძლიერითაც აიხსნება. ინტერნაციონალიზებული რეაქციული ძალები ეფექტურად იყენებენ მოქმედების ისეთ აქტიურ ფორმას, როგორც „მეხუთე კოლონის“ გამოყენებაა. ამის განსახიერებად, ჩვენს ქვეყანაში, აგრესიული სეპარატიზმი მოგვევლინა. ნათელია, რომ სეპარატისტული ძალები ვერ შეძლებდნენ დამოუკიდებლად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის თუნდაც დროებით დარღვევას, მით უმეტეს საომარი მოქმედებების წარმოების გზით, რაშიც მათ უცხოეთის სპეცსამსახურებმა და ჩვენდამი მტრულად განწყობილმა საზღვარგარეთის სამხედრო-პოლიტიკურმა წრეებმა გაუწიეს დახმარება. ამდენად, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების მოგვარების პროცესში, უშიშროების სამინისტრო თავის ძირითად ამოცანას ხედავს არა მარტო სეპარატისტების გეგმებისა და ზრახვების გამოვლენასა და თავიდან აცილებაში, არამედ სამშვიდობო პროცესში ჩვენი არაკეთილმოსურნეების ჩარევის ლოკალიზებაშიც. სწორედ ამით აიხსნება გასული წლის მაისში გალის რაიონის ტერიტორიაზე განვითარებული მოვლენები, როდესაც უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებმა განახორციელეს ქვეყნის ჩათრევის მცდელობა ფართომასშტაბიან შეიარაღებულ კონფლიქტში. ამ შემთხვევაში ისინი ცდილობდნენ საქართველოსათვის არასტაბილური ქვეყნის იმიჯის შექმნას, რაც თავის მხრივ მეტად საეჭვოს გახდიდა ჩვენში მიმდინარე საერთაშორისო-ეკონომიკური პროექტების რეალიზებას, ქართულ ეკონომიკაში საზღვარგარეთული ინვესტიციების დაბანდებას.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა, მიმდინარე დემოკრატიული პროცესები, მის ტერიტორიაზე განხორციელებული საერთაშორისო ეკონომიკური პროექტები განაპირობებენ ჩვენს ქვეყანაში მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების სტრატეგიული ინტერესების გადაკვეთას, რაც მათი სპეცსამსახურების საქმიანობის გააქტიურებას იწვევს. ამის გამო, აღნიშნული სამსახურების სხვადასხვა საფარქვეშ მოქმედი წარმომადგენლობების ზრდამ მდგრადი ტენდენცია შეიძინა. ჩვენს ქვეყანაში მათი ინტერესი განპირობებულია როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ სიბრტყეში ყოვლისმომცველი ინფორმაციის მოპოვებითა და საკუთარი სტრატეგიული ინტერესების ლობირებით.

იმავდროს, გამოვლენილია ქვეყნის ტერიტორიაზე საგანმანათლებლო, რელიგიური და ჰუმანიტარული ორგანიზაციების საფარქვეშ სადაზვერვო ცენტრების შექმნის ნიშნები.

საგულისხმოა ოფიციალური ორგანიზაციების საფარქვეშ მოქმედი კადრის მზვერავების მხრიდან, საქართველოს ხელისუფლების ორგანოებში სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მოპოვების მცდელობები. დაფიქსირებულია უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის მცდელობაც ჩვენს ავენტურულ ქსელში შემოსაღწევად.

ქვეყანაში იზრდება უკონტროლო მიგრაცია, როგორც საქართველოს ტერიტორიის ტრანზიტად გამოყენების, ასევე კომერციული საქმიანობის წარმართვისა და ქვეყანაში დამკვიდრების მიზნით. არსებული ოპერატიული მონაცემები ცხადყოფენ, რომ საქართველოზე გადის არაღლეგალური მიგრაციის ერთ-ერთი მარშრუტი აფრიკისა და აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებიდან, ევროპის მიმართულებით. ჩვენ გამოვავლინეთ ასეულობით უკანონო მიგრანტი ბანგლადეშიდან, ავღანეთიდან, ინდოეთიდან, ნიგერიიდან, სუდანიდან და სხვა ქვეყნებიდან. უკანონო მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიგრაციისა და კონტროლის დეპარტამენტთან ერთად მუშავდება პრაქტიკული მექანიზმი, რომელიც მოგვეცემს ამ მეტად არასასურველი მოვლენის თავიდან აცილების საშუალებას.

სერიოზულ ყურადღებას საჭიროებს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის საკითხი. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მთელ რიგ სამინისტროებსა და უწყებებში მეტად უპასუხისმგებლოდ ეპყრობიან „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონის მოთხოვნებს. ჩვენ კომისიური წესით შევამოწმეთ საიდუმლოების დაცვის რეჟიმი და საიდუმლო საქმის წარმოება რამდენიმე უწყებაში. ამჟამად მიმდინარეობს მოკვლევა მთელ რიგ სამინისტროებში საიდუმლო გრიფის მქონე დოკუმენტების დაკარგვასთან დაკავშირებით, რომლის შემდგომ მასალები გადაეგზავნება პროკურატურას.



გარეშე მტრებისა და ქვეყანაში არსებული დესტრუქციული ძალების მისწრაფებების ერთ-ერთ-ერთ ძირითად სფეროს საქართველოს შეიარაღებული ძალები წარმოადგენენ, სადაც მათ ჯერ კიდევ ხვდებით ნოყიერი ნიადაგი, რადიკალურად განწყობილ ექს-პრეზიდენტის მომხრეების, საექვო და კრიმინალური წარსულის მქონე ადამიანების სახით.

ამასთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს სამხედრო მოსამსახურეთა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რამაც შესაძლოა უბიძგოს ცალკეულ პირებს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან ინიციატიური თანამშრომლობისაკენ, მატერიალური ანაზღაურების მისაღებად. გასულ წელს სამხედრო კონტრაზვერვის ორგანოებმა გამოავლინეს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელმაც ხსენებულ საფუძველზე გამოთქვა უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის წარმომადგენელთათვის საიდუმლო ხასიათის მასალების გადაცემის მზადყოფნა. ამჯერად ფაქტი დროულად გამოვლინდა და დანაშაული მის საწყის სტადიაზე აღიკვეთა.

19 ოქტომბრის შეიარაღებულმა ავანტიურამ თვალნათლივ წარმოაჩინა სამხედრო კონტრაზვერვის სამსახურის საქმიანობის ძირეული გარდაქმნის, მისთვის სათანადო მხარდაჭერის გაწყვეტის აუცილებლობა. სწორედ ასეთ მხარდაჭერად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ სამხედრო კონტრაზვერვა პრეზიდენტის პირადი ყურადღების არეში აღმოჩნდა. გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის პარალელურად ვიმედოვნებთ, რომ სათანადო მხარდაჭერას თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობაც გაგვიწევს.

უშიშროების სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას კონსტიტუციური წყობილების დაცვა წარმოადგენს. ამ სფეროშიც ადვილად შეიმჩნევა ჩვენი მოწინააღმდეგისა და მის მიერ გამოყენებული „მეხუთე კოლონის“ კვალი. დღესდღეობით საქართველოში მოქმედი გარკვეული პოლიტიკური ძალები დაუფარავად გამოდიან ქვეყნის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. ისმის კითხვა: წარმოადგენს თუ არა საქართველოს სუვერენიტეტის შელახვას ღია მოწოდებები ტოტალიტარული წარსულის აღდგენისაკენ? აქვე ვნახოთ საქართველოს ერთიანი კომპარტიის მე-9 პლენუმის გადაწყვეტილებები. მათში განვლილი ათწლეული აშკარა ცინიზმით შეფასებულია, როგორც „გარეშე მტრებისა და შიდა კონტრარევოლუციური ძალების შეთანხმების საფუძველზე, ხალხის შეცდომაში შეყვანის მიზნით გაჩაღებული ცრუ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც მიზნად არასოდეს დაუსახავს ქვეყნისათვის ქეშ-მარიტი დამოუკიდებლობის მოპოვება“. აღბათ, დაგვეთანხმებით: მოყვანილი ციტატა 20-იანი წლების ლოზუნგებს მოგვაგონებს, რომლებსაც საქართველოში მოვლენათა უკიდურესად ტრაგიკული განვითარება მოჰყვა. დაახლოებით მსგავსი სიტუაცია იქმნება ახლაც. საქართველოს საზღვრებს გარეთ კოწიწდება „მე-11 არმია“, უკვე გამოჩნდნენ ახალი „ორჯონიკიძეები“ და „მახარაძეები“. რადიკალურ მემარცხენეთა აგრესიულ გააქტიურებას, ჩანს, სათანადო საზოგადოებრივი აზრის მობილჩება სჭირდება.

„ახალი ბოლშევიკები“ არ კარგავენ მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვების იმედს, ჩვენში ჯერ კიდევ არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ სირთულეებზე სპეკულირების გზით. ბოლო პერიოდში ქალაქის ქუჩებში გამოჩნდა ფართოფორმატიანი პლაკატები. საქართველოს მოსახლეობას ამცნობენ, რომ მომავალი, თითქოსდა, მათ ეკუთვნის. ქალაქში ასევე გავრცელდა რუსეთის ფედერაციის ბეჭდვისა და ინფორმაციის სამინისტროში რეგისტრირებული რუსულენოვანი გაზეთი „ლეფ“-ი, რომლის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებულია ივანე გიორგაძის ე. წ. მიმართვა თანამემამულეებისადმი. ეს დოკუმენტი წარმოადგენს სიძულვილით აღსავსე პასკვილს საქართველოს, მისი პრეზიდენტის და მოსახლეობის მიმართ. ანალოგიური შინაარსისაა გაზეთის სხვა მასალებიც.

უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული მასალების შესწავლისა და მათი იურიდიული შეფასების საფუძველზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

გარდა ამისა, უშიშროების სამინისტროს მიერ დადგენილია, რომ შარშან საქართველოში განვითარებული რიგი ნეგატიური მოვლენების სულისჩამდგმელად გვევლინებოდა ე. წ. მოსკოვში მოქმედი ე. წ. საკოორდინაციო საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია ექს-პრეზიდენტის ხელისუფლებაში შემავალი პირებით. მიუხედავად იმისა, რომ „საბჭოს“ ყოფილი ხელმძღვანელი, საქართველოს ფინანსთა ექსმინისტრი გურამ აბსანძე ამჟამად დაპატიმრებულია, ეს ორგანო, უკვე ნემო ბურჭულაძის მეთაურობით აგრძელებს თავის ძირგამომთხრელ საქმიანობას.

დღესდღეობით ჩვენს ხელთ არსებული ოპერატიული ინფორმაცია მიუთითებს დესტრუქციული ძალების მცდელობაზე, — განახორციელონ დივერსია ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულ სტრატეგიულ ობიექტებზე და სატრანსპორტო საშუალებებზე, ამით ისინი ცდილობენ არსებული ხელისუფლების კომპრომეტირებას როგორც ჩვენი საზღვარგარეთელი პარტნიორების, ასევე საკუთარი მოსახლეობის თვალში.

ვფიქრობთ, დროა ზოგიერთებმა გაითვალისწინონ, რომ საქართველოში დემოკრატიული

სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობას, რომელიც დეკლარირებულია ქვეყნის კონსტიტუციით, შეუქცევადი ხასიათი აქვს და მისი შემობრუნების ყოველგვარი მცდელობა წარუმატებლობისათვის არის განწირული.

საქართველოს ავისმოსურნეთათვის ტერორიზმი გადაიქცა საკუთარი პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალებად. მოგეხსენებათ, რომ 1995 წლის 29 აგვისტოს ტერორისტული აქტის ხელმძღვანელთა და შემსრულებელთა ნაწილი დღემდე თავს აფარებს სხვა სახელმწიფოს, ხოლო გასული წლის 9 თებერვლის ტერაქტის მონაწილეებმა საბრძოლო წვრთნა საზღვარგარეთ გაიარეს და დანაშაულში გამოყენებული იარაღიც იქიდანვე შემოიტანეს. ჩვენი მონაცემებით, დღესაც, მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულ სპეციალურ ბანაკებში, რომლებსაც ვერ აკონტროლებს ადგილობრივი ხელისუფლება, ახალი აქციისათვის, სხვა სახელმწიფოების მოქალაქეებთან ერთად, საბრძოლო და ტერორისტულ მომზადებას გადიან ქართველი ეროვნების პირებიც.

შარშან საწყის ეტაპზე ჩვენ გამოვავლინეთ და აღვკვეთეთ ქ. თბილისში „ბოევიკთა“ ჯგუფის ჩამოყალიბების მცდელობა. გატარებული ღონისძიებების შედეგად, ჩვენი მოქალაქეების მიმართ მიღებულია პროფილაქტიკური ხასიათის ზომები, ხოლო ამავე ჯგუფში შემავალი რუსეთის 5 მოქალაქე გაძევებულია საქართველოდან.

ტერორიზმთან ბრძოლაში საქართველოს ბევრი დაინტერესებული მოკავშირე ჰყავს მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების სპეცსამსახურების სახით, რომლებთანაც წარმატებით ვთანამშრომლობთ. სულ ახლახან თურქეთის სპეცსამსახურთან ერთად მოვახერხეთ საქართველოს მოქალაქის განთავისუფლება, რომელიც ფულის გამოძალვის მიზნით მძევლად ჰყავდათ აყვანილი.

ტერორიზმთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით სამინისტროში შემუშავებულია წინადადებები სისხლის სამართლის ახალ კოდექსში ცვლილებების შესატანად, რომლებმაც უკვე გაიარეს იურიდიული ექსპერტიზა სათანადო ინსტანციებში.

ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბრძოლას ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ. პრეზიდენტის დავალების თანახმად უშიშროების სამინისტროში ხორციელდება ოპერატიული, ორგანიზაციული და პროფილაქტიკური ღონისძიებების კომპლექსი. კერძოდ, კონტრაბანდისთან ბრძოლის ახლად შექმნილი დანაყოფის მიერ მოპოვებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ბოლო ორ თვეში მხოლოდ ამ მიმართულებით აღძრულია 10 სისხლის სამართლის საქმე, ბიუჯეტის სასარგებლოდ დარიცხულია 600 ათას ლარზე მეტი.

სამინისტროსა და საგადასახადო დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, შემოწმდა შპს „ელსავაკ“-ს სავაჭრო ცენტრ „ნაცარქექიას“ ანუ „ლილოს ბაზრობის“ ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხი. გამოვლენილია სერიოზული დარღვევები, რის გამოც ბიუჯეტის სასარგებლოდ დაერიცხათ 538 ათასი ლარი. ამჟამად მიმდინარეობს ე. წ. „ელიავას“ ბაზრობის შემოწმება.

სამინისტროს საგამოძიებო სამსახური იძიებს 1997 წელს შვეიცარიის ფირმა „ნაპლუსის“ მიერ დაფუძნებული შპს „ქართული სურსათის“ საქმიანობას, რომელშიც გამოვლენილია ეკვადორიდან და კოსტა-რიკიდან გაყალბებული ინვოისებით საქართველოში ბანანის შემოტანისა და გადასახადებისაგან დიდი ოდენობით თავის არიდების ფაქტები. ასევე ძიებაშია ახალციხისა და ადიგენის რაიონებიდან სომხეთის რესპუბლიკაში 5 000 კუბური მეტრი ზეტყის კონტრაბანდის სახით გატანის ფაქტები.

მიმდინარეობს „საქენერგოს“ მიერ ურთიერთჩათვლებით განხორციელებული ოპერაციების კანონიერების შესწავლა. კერძოდ, დამთავრდა მოკვლევა ურთიერთჩათვლაზე, რომელიც განხორციელდა „საქენერგოსა“ და „ქიმკომბინატს“ შორის. ამ ურთიერთჩათვლისა და მისი თანმდევი ოპერაციების ანალიზი მიგვანიშნებს, რომ „საქენერგოს“ ხელმძღვანელობისა და მათი საქმიანი პარტნიორების ქმედებაში იკვეთება დანაშაულის ნიშნები. ეს გამოიხატება ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენებაში, თანამდებობის პირთა მიერ დანაშაულის დაფარვაში, განსაკუთრებით, დიდი ოდენობით სახელმწიფო სახსრების მითვისებასა და კონტრაბანდაში. ამ ფაქტთან დაკავშირებით, საგამოძიებო სამსახურმა აღძრა სისხლის სამართლის საქმე. პარალელურად შეისწავლება „საქენერგოსა“ და სხვადასხვა კომერციულ სტრუქტურებს შორის ჩატარებული ანალოგიური ოპერაციების კანონიერებაც. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ გადასახადებისაგან თავის არიდებაში ქართველ ბიზნესმენებს არ ჩამოუვარდებიან ქვეყნის ტერიტორიაზე მომუშავე მათი უცხოელი პარტნიორებიც. ამის მაგალითია, გასული წლის ნოემბერში, უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში შინაგან საქმეთა სამინისტროდან შემოსული მასალები ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქის, ქ. თბილისის შპს „დომინიონ (ჯორჯია) კომპანიის“ ყოფილი დირექტორის — ფარზად ფარ ხოსრავის მიმართ, სხვადასხვა დასახელების სასურსათო და სამრეწველო საქონლის კონტრაბანდის, განსაკუთრებით, დიდი ოდენობით შემოსავლების დამალვისა და საბაჟო გადასახადებისაგან თავის არიდების ფაქტებზე.



წინასწარი გამოძიებით გამოიკვეთა, რომ ფარზად ფარ ხოსრავის დანაშაულებრივი ქმედების შედეგად, ბიუჯეტისადმი მიყენებულმა ზარალმა შეადგინა 1 300 000 აშშ დოლარი. ჩადენილი დანაშაულისათვის ფარზად ფარ ხოსრავი და მასთან დაკავშირებული შპს „მერი გოლდის“ პრეზიდენტი სეიდ ჰამიდ შირაზი მიცემული არიან პასუხისგებაში და აღმკვეთ ღონისძიებად შეეფარდათ დაპატიმრება, რომლის შეცვლა შესაძლებელი გახდება მხოლოდ ირანული მხარის მიერ ზარალის სრული ანაზღაურების შემდეგ. სამინისტროში არსებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტთან ერთად, ჩატარდა მარნეულის სამომხმარებლო საზოგადოების საქმიანობის კანონიერების შესწავლა, რის შედეგადაც გამოვლინდა გადასახადების დიდი ოდენობით დაფარვის ფაქტები. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

ჩვენს ხელთ არსებული ოპერატიული მონაცემების თანახმად, საბაჟო დეპარტამენტის სათანადო სამსახურებს მიერ ხორციელდება საგზაო ფონდში შესატანი სოლიდური თანხების მითვისება ქვეითების მანიპულირებით ან მათი გაყალბებით. წინასწარი ცნობებით, მხოლოდ მინიმალური გაანგარიშების საფუძველზე ბიუჯეტს აკლდება ასეულობით ათასი ლარი. ამასთან დაკავშირებით, უშიშროების სამინისტროს შესაბამისი სამსახურების მიერ მიმდინარეობს მოკვლევა, რომელიც ნათელს მოფენს ამ სფეროში შექმნილ ვითარებას.

ბოლო წლებში სხვადასხვა ინსტანციებში ბევრს საუბრობენ სიგარეტის ბიზნესზე. კომერციული საქმიანობის ეს დარგი, თეორიულად ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ პრაქტიკაში მოყვანილი მოსაზრება არ მართლდება. ამ შემთხვევაშიც ხშირია გადასახადებისაგან თავის არიდების და სერიოზული თანხების დამალვის ფაქტები. ამჟამად უშიშროების სამინისტროსა და საგადასახადო დეპარტამენტის თანამშრომლები ამოწმებენ გაერთიანება „სამგორის“ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას. შემდგომში გაგრძელდება იმ მსხვილი კომერციული ფირმების შემოწმება, რომელთა საქმიანობის პროფილს სწორედ სიგარეტის ბიზნესი წარმოადგენს. მინდა აღვნიშნო, რომ უშიშროების სამინისტროსთვის კარგად არის ცნობილი ამ სფეროში მოქმედი გაყალბების მექანიზმი. ჩვენ ჩავატარეთ სიგარეტის ბიზნესის დეტალური ანალიზი. იგი ცხადყოფს, რომ აღნიშნული პროდუქციის მსხვილ იმპორტიორებს ძალუძთ ბიუჯეტში ყოველთვიურად 5,5-6 მილიონი ლარის შეტანა. ვიმედოვნებთ, რომ ისინი გაგებით მოეკიდებიან ამ საკითხს. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ბიზნესს სერიოზული პრობლემები გაუჩნდება. ქვეყნის ეკონომიკისათვის მეტად საზიანო ტენდენციას წარმოადგენს საპატენტო და სასაქონლო ნიშნების უფლებებისა და ტექნოლოგიური პროცესების მასობრივი დარღვევა, მაგალითად: საქართველოს ტერიტორიაზე რუსული არაყის წარმოება-რეალიზაციის ექსკლუზიური უფლება ეკუთვნის სააქციო საზოგადოება „ქართულ ჰაქსას“. ამავე დროს, დეპარტამენტ „სამტრესტს“ გაცემული აქვს ლიცენზია ათობით მცირე საწარმოზე, რომელთა პროდუქცია ხშირად არ შეესაბამება სტანდარტებს. ამ ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. საკმარისია დავასახელოთ 18 იანვარს გორის ინდივიდუალური საწარმო „ქეთის“ მიერ ჩამოსხმული 2 104 ბოთლი არაყის ამოღების ფაქტი. ჩატარებული საექსპერტო დასკვნის მიხედვით, ხსენებული პროდუქცია, „მოსკოვსკაიას“ და „ფშენიჩაიას“ სასაქონლო ნიშნებით, საზიანოა ჯანმრთელობისათვის.

სამინისტროს ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, საგადასახადო დეპარტამენტთან ერთად, ჩატარდა სპირტის მსხვილი გადამზიდი ფირმების შემოწმება, რომლის პროცესში გამოვლენილია სერიოზული დარღვევები. შედეგად, აღნიშნულ ფირმებს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაერიცხებათ 3 მილიონამდე ლარი.

გარდა ამისა, ჩვენ ვსწავლობთ ინვესტიციებით წარმოებული ბიზნესის კანონიერების საკითხებს, სადაც ასევე გამოვლინდა დარღვევები ბიუჯეტთან ანგარიშსწორებაში. კერძოდ, მიმდინარეობს მოკვლევა ყავის მწარმოებელ ფირმა „არაბიკაში“ 309 ათასი ლარის გადასახადის დაფარვის ფაქტზე.

უნდა აღვნიშნო, რომ განვიღო პერაოდში სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ აღძრულია III სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკური დანაშაულის ფაქტებზე. წინასწარი გამოძიების პროცესში ამოღებულია ნახევარ მილიონზე მეტი ლარი. დაკისრებული და ამოსაღებია 5 260 000 ლარი. შარშანდელი 1 ნოემბრიდან შიმდინარე წლის 10 თებერვლამდე მხოლოდ საგამოძიებო სამსახურმა სამინისტროს საფინანსო განყოფილების სადებოზიტო ანგარიშზე შეიტანა 65 600 ლარი, ხოლო მოსალოდნელი კონფისკაციის უზრუნველსაყოფად ამოღებულია 403 800 ლარის ღირებულების საქონელი.

მუშაობა ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების მიღწევის გზაზე ხელისშემშლელი პირობების გამოვლენისა და თავიდან აცილებისათვის კვლავაც ინტენსიურად გაგრძელდება. ამ ბრძოლაში უშიშროების სამინისტროსათვის არ იარსებებს ავტორიტეტი კანონის გარდა. დღევანდელ ეტაპზე, ქვეყნის ეკონომიკის რეანიმირება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია უცხოურ ინვეს-

ტიციებზე. მათი მოზიდვის გზაზე გარკვეულ ზღუდეებს ქმნიან ცალკეული სასამართლო განყოფილებები, რომლებიც ითვალისწინებენ საზღვარგარეთელი ბიზნესმენების მიერ განხორციელებული საპრივატიზაციო აქტების გაუქმებას. ამასთან დაკავშირებით, დროულად მიგვაჩნია ქვეყანაში მიმდინარე სასამართლო რეფორმის დაჩქარება.

ეკონომიკური უშიშროების ხაზით განხორციელებულ ღონისძიებებს შორის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ენერგოსისტემის უსაფრთხო ფუნქციონირების უზრუნველყოფას, აღნიშნულ სფეროში არსებული სამართალდარღვევების გამოვლენას და აღკვეთას. შრომის არასწორი ორგანიზაციის და დანაშაულებრივი დაუდევრობის გამო ქვეყანას მიადგა სერიოზული ზარალი „თბილსრესის“ მე-9 და მე-4 ენერგობლოკებზე გაჩენილი ხანძრის შედეგად როგორც ცნობილია, ამ ფაქტთან დაკავშირებით უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს ძიება. მიგვაჩნია, რომ სამინისტროს და „გენერაციის“ ხელმძღვანელობა ვალდებული არის გაუწიონ სათანადო კონტროლი „თბილსრესის“ ენერგობლოკების მოსამზადებელი და გამშვები სამუშაოების მიმდინარეობას, რათა თავიდან ავიცილოთ ხსენებული საგანგებო შემთხვევები და მათი წარმოშობის წინაპირობები. მეტად აქტუალურია ენერგოსისტემაში არსებული სამართალდარღვევების საკითხიც. მიუხედავად იმისა, რომ 1997 წელს „თბილსრესში“, „საქენერგოში“ და „საქენერგოგენერაციაში“ კონტროლის პალატამ ჩაატარა სათანადო შემოწმება, ღრმედ მოუგვარებელია ამ სფეროში გამოყენებული საწვავის აღრიცხვის და ქვეყნის მასშტაბით გამომუშავებული ელექტროენერგიის რეალიზაციიდან მიღებული თანხების ხარჯვის კანონიერება, რაც სოლიდური თანხების მითვისების საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირებს. ჩვენი მონაცემებით, ენერგეტიკულ სექტორში კორუფციისა და უკანონო შემოსავლების ძირითად გარემოებებს შეადგენენ.

— დებიტორულ დავალიანებებზე გაფორმებული ჩათვლები (ჩასათვლელი მასალების თუ პროდუქტების ფასების ხელოვნური ზრდა),

— სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის გაყალბება;

— ელექტროენერგიის ექსპორტ-იმპორტის პროცესში აღრიცხვიანობის მოუწესრიგებლობა, ნაღდი ფულის მოძრაობა, ორმაგი ხელშეკრულებები;

— „თბილსრესი“-სათვის შემოტანილი საწვავის ფასების ხელოვნური ზრდა.

სამწუხაროდ, კორუფციის კიდევ ერთ წყაროდ ყალიბდება პრივატიზებული ჰესებიც, რომლებიც თითქოსდა გამომუშავებულ ელექტროენერგიას აწვდიან ასეული კილომეტრებით დაშორებულ მომხმარებელს. სინამდვილეში, არც ერთი მათგანის მნიშვნელობა არ სცილდება მუნიციპალური ენერგოკომპანიების ფარგლებს და ხელშეკრულებაც შესაბამისად მხოლოდ მათთან უნდა ჰქონდეთ გაფორმებული. აქ ჩამოთვლილ თითოეულ ფაქტსა და მექანიზმზე გაგვაჩნია ინფორმაცია და ვმუშაობთ კონკრეტული დანაშაულების გამოსაგვლენად. ამჟამად უშიშროების სამინისტრო სწავლობს შპს „ენერგიას“ საქმიანობას, „თელასთან“ მის მიერ დადებული ხელშეკრულების მართებულობასა და კანონიერებას. ამ ხელშეკრულებით შპს „ენერგია“ მიეცა ელექტროენერგიის ღირებულების წინასწარი გადახდის სისტემების დამონტაჟების და მოხმარებული ენერგიის საფასურის ამოღების ექსკლუზიური უფლებები. ეს სისტემები უნდა ჩამოეტანათ უცხოეთიდან, მაშინ, როდესაც ანალოგიური სამუშაოების შესრულება საქართველოში გაცილებით იაფი დაჯდება. ხელშეკრულებას არ გაუვლია სათანადო ექსპერტიზა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის, აგრეთვე, თვით „თელასის“ იურიდიულ და ეკონომიკურ სამსახურებში. ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ გამოირკვა, რომ იგი „თელასს“ აყენებს კაბალურ პირობებში. ორი თვის წინ „თელასის“ ახალმა მეპატრონემ განახორციელა ხელშეკრულების ცალმხრივად გაუქმება, მაგრამ ისრაელის მხარე ამზადებს შესაბამის მასალებს საერთაშორისო სასამართლოში სარჩელის შესატანად. ზარალის საკომპენსაციო თანხის ოდენობა 4,5 მლნ ლარია. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ მოსარჩელე მოპასუხედ მიიჩნეეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს.

საკითხში ღრმად ჩახედვამ დაგვანახა, რომ ორგანიზაციული საკითხების მოუგვარებლობა სერიოზულ პრობლემებს უქმნის დარგს. ადრე საქართველოს ენერგოსისტემას ერთი უწყება — „საქმთავარენერგო“ მართავდა, ახლა მის ბაზაზე სამი სააგლმწიფო კომპანია შეიქმნა. მომუშავეთა რიცხვი გაორმაგდა, შედეგს კი მოსახლეობა ვერ ხედავს.

ბატონო პრეზიდენტო,

თქვენი დავალების თანახმად მომზადებულია დარგში არსებული სიტუაციის საფუძვლიანი ანალიზი. მზად ვართ წარმოგიდგინოთ იგი.

ბატონებო,

ცხადია, სამინისტროს საქმიანობის სრული სპექტრის წარმოჩენა თქვენთვის კარგად ცნობილი მიზეზების გამო მიზანშეუწონელია. ჩვენს წინაშე დასახული ამოცანა სტრატეგიული თვალსაზრისით არის ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფა, ხოლო ტაქტიკური თვალსაზრისით —



დემოკრატიული ფასეულობების დაცვა და მათ საფუძველზე სტრატეგიული და ყოველდღიური ამოცანების განხორციელება. უშიშროების სამინისტრომ უნდა შესძლოს საიდუმლო მუშაობის წარმოება და ერთდროულად, გამჭვირვალობის შენარჩუნებაც. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს იგი საზოგადოებაში ნდობის მოპოვებას. ამის გათვალისწინებით, ჩვენი ძალისხმევა მიმართულია ისეთი სტაბილური, მაღალკვალიფიციური ეროვნული უწყების შესაქმნელად, რომელიც ნაკლებად რეაგირებს ხშირ საკადრო ცვლილებებზე და იქცევა ქვეყნის უშიშროების მძლავრ მექანიზმად, საშინაო და საგარეო სტრატეგიის განმახორციელებელ ოპერატიულ ცენტრად. ამ საქმეში ქვეყნის პრეზიდენტის, პარლამენტის და საზოგადოებრიობის თანადგომის დიდი იმედი გვაქვს.

ბაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1999 წლის 25 თებერვალი.



ნუგზარ გირკაია

ბატონო პრეზიდენტო!

დღევანდელი შეკრების სულისკვეთებას განსაზღვრავს ერთი არსებითი განსაკუთრებულობა — საქართველოს დაბრუნება ევროპის თავისუფალ ერთა ოჯახში, რაც უწინარეს ყოვლისა, არის ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის რეფორმისტული კურსისა და ავტორიტეტის კიდევ ერთი აღიარება, და არ შეიძლება ამას გულწრფელად არ მიესალმოს ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი.

ასეთი დიდი აღიარება დემოკრატიის გზაზე ახლად შემდგარი ქვეყნისა, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად იმის მომასწავებელიც არის, რომ ამიერიდან ჩვენ სულ სხვა რეალობების, სხვა მოთხოვნების, სხვა ფასეულობების სინამდვილეში შევდივართ და ეს ძალზე გაზრდილი პასუხისმგებლობის წინაშე გვაყენებს ყველა ჩვენს გადაწყვეტილებაში. ნება მომეკით საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის სახელით, რომელიც დღეისათვის თავის რიგებში 212 მოსამართლეს აერთიანებს, სწორედ ამ პოზიციიდან პირუთვნელად მოგახსენოთ იმ აუცილებელი სათქმელის შესახებ, რაც მიმდინარე სასამართლო რეფორმას და მის ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟს — მოსამართლეთა კორპუსს ეხება.

სასამართლო რეფორმას საქართველოში ალტერნატივა არა აქვს. საქართველოს მოსამართლეთა კორპუსი მხარს უჭერს მას, რადგან მიგვაჩნია, რომ იგი ქვეყნის ცივილურ რელსებზე გადაყვანისთვისაა საჭირო და, ამდენად, მთელი ერის ღვიძლი საქმეა.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის შექმნაც სასამართლო რეფორმის რეალური შედეგია. ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდით იმ ფაქტს, როცა გასული წლის 6 იანვარს — იუსტიციის საბჭოს სხდომაზე ჩვენთან შეხვედრის დროს — თქვენ, საქართველოს პრეზიდენტმა, ხაზგასმით ბრძანეთ, რომ მიესალმებით საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის შექმნას და იმედოვნებდით, რომ იგი ღირსეულ ადგილს დაიკავებდა სასამართლო რეფორმაში. ჩვენ მართლა გაგვამხნევა თქვენმა შეფასებამ და კეთილმა სურვილმა; ვფიქრობდით, რომ რეფორმის აღმსრულებლები თქვენი ასეთი მაღალი შეფასების შემდეგ, მაინც გაითვალისწინებდნენ ჩვენს მოსაზრებებს, თუნდაც განსხვავებულს, და რაც მთავარია, თვით მოსამართლეებსაც არ დაივიწყებდნენ მიმდინარე გარდაქმნების საჭირობოროტო საკითხების გადაწყვეტაში. სწორედ ამ იმედით და ამის შემდეგ, — პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, — დავაფუძნეთ საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის გაზეთი „სასამართლო“; ამდენად, ყველა ჩვენი ნაბიჯი აბსოლუტურად გამჭვირვალე და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გავხადეთ.

სამწუხაროდ, ჩვენი მოწადინება და მზადყოფნა შეუმჩნეველი დარჩა. უფრო მეტიც, რეფორმის ზოგიერთი ორგანიზატორის მხრიდან უგულვებელყოფილ და იგნორირებულ იქნა ყოველი ინიციატივა, რაც კი მოსამართლეთა ასოციაციიდან მომდინარეობდა. ასე აღმოჩნდა სასამართლო რეფორმა მოსამართლეების გარეშე, ჩვენ კი დავრჩით, — ე. წ. რეფორმატორთა ტერმინოლოგიას თუ მივმართავთ, — როგორც „მეამბოხეები“, რეფორმის მოწინააღმდეგეები, სახელმწიფო გადატრიალებისა და დესტაბილიზაციის მომხრეები, და ვინ მოსთვლის, კიდევ რად. ასე იქნა მიღ-



წეული მთავარი „მიზანი“: მოსამართლეთა კორპუსის იმიჯი საბოლოოდ დაეკათ ხელისუფლება
ისა და მოსახლეობის თვალში.

საჭიროდ მიგვაჩნია რეფორმის ზოგიერთ აღმასრულებელს შევახსენოთ გრიგოლ ორბელი-
ანის სიტყვები: „ცუდ მეტყველებით ვერ ამაღლებით, დიდებას ეძებთ? — კეთილი ჰქმენით!“

ადრეც ვაცხადებდით და კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ იმას, რომ სასამართლო რეფორმის
ჩატარება უნდა მოიაზრებოდეს ევოლუციური გზით, საკანონმდებლო და მატერიალურ-ტექნი-
კური ბაზის უზრუნველყოფით; იგი უნდა ემყარებოდეს დემოკრატიის მოთხოვნებს, საერთაშო-
რისო პრაქტიკას და ამათუ იმ ქვეყნის ისტორიულ მონაცემებს; ხორციელდებოდეს იმ პრინციპით,
რომ დაცული იქნას არამართო სასამართლოს და თითოეული მოსამართლის დამოუკიდებლობა,
არამედ მათი უფლებებიც. სამწუხაროდ, ჩვენ სხვა გზით წავედით, და სწორედ ეს ქმნის იმ არა-
სასურველ ფონს, რომელსაც ხელოვნურად შექმნილ პრობლემათა სულ ახალ და ახალ ლაბირინ-
თებში შევყავართ.

რა გვაქვს მხედველობაში? პირველ რიგში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
1998 წლის 3 ნოემბრის ცნობილი გადაწყვეტილება, რომლითაც დადგენილია, რომ მოქმედ მო-
სამართლეთათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტი-
ტუციას. მოგეხსენებათ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გადასინ-
ჯვას არ ექვემდებარება, ე. ი. მოქმედ მოსამართლეებს უფლებამოსილება არანაირი პირობების
დაწესებით არ უნდა შეუწყდეს.

დაინტერესებულ პირთ, ალბათ, ახსოვთ, რომ ჩვენ ადრეც, საკონსტიტუციო სასამართლოს
გადაწყვეტილებამდეც, არაერთხელ აღგვინიშნავს ხაზგასმით, რომ მოქმედ მოსამართლეთათვის
უფლებამოსილების ყოველგვარი ხელოვნური შეწყვეტა კატეგორიულადაა აკრძალული გაეროსა
და ევროსაბჭოს რეკომენდაციებით.

ფაქტობრივად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტი-
ლებით გაასწორა ის სერიოზული შეცდომა, რაც საქართველოს პარლამენტმა დაუშვა „საერთო
სასამართლოების შესახებ“ მიღებულ ორგანულ კანონში, ანუ რეფორმა თავის სწორ გზაზე და-
აბრუნა. ცხადია, დემოკრატიული და სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღებისათვის საკონ-
სტიტუციო სასამართლო ყველასაგან, მათ შორის რეფორმატორთა გუნდისაგანაც, მადლობას
ინსახურებდა; მაგრამ მათ, როგორც აღმოჩნდა, მადლიერების ადამიანურ გრძობაზე მეტად მე-
ზიკეტე, მეკუბოვე და მეფიტულეების იდეოლოგია მოსწონთ, რომლებიც შუა საუკუნეობრივი ინ-
კვიზიციის განაჩენისმიერ აუტოდაფეს აწყობენ, რაც, თავისთავად, სასამართლო ხელისუფლების
დაშინებასაც ისახავდა მიზნად. ჩვენი დაშინება ადვილი რომ ყოფილიყო, საქართველო ჯერ კი-
დეც 1992—94 წლების სრული განუკითხაობის დროს დარჩებოდა მოსამართლეების გარეშე.
არც ერთი სასამართლოს კარი არ გამოკეტილა იმ უმძიმეს დროსაც კი, და თუ მოსახლეობას
კიდევ ჰქონდა ვინმეს და რამის იმედი, ადგილებზე ეს, პირველ რიგში, სასამართლო იყო. ჩვენდა
სამწუხაროდ, ეს დღეს აღარავის ახსოვს; ნუთუ დღეს მხოლოდ მეკუბოვე-მეფიტულეთა ხელმძღ-
ვანელების დროა?! მართალია, ისინი თავიანთი „კუკლუსკლანური“ აქციისათვის სოლიდურ თა-
ნამდებობებსაც კი იღებენ ხელისუფლებისაგან, მაგრამ ყველა კარგად ხედავს — მათი ქმედება
რამდენად უცხო, შეურაცხმყოფელი და მიუღებელია ქართველი საზოგადოებისათვის, ყველა
ჭეშმარიტი ქრისტიანისათვის საერთოდ, ვფიქრობთ, ამასაც შესაბამისი შეფასება უნდა მიეკეს,
რომ ხვალ თბილისის ქუჩებში სხვების ფიტულეები არ გამოიტანონ დასაწვავად, რომ არასოდეს
ამოქმედდეს სიმახინჯის მანქანა.

ეს — სხვათაშორის; ახლა არსებითის შესახებ: ამჟამად სახეზეა საქართველოს საკონსტი-
ტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელსაც კონსტიტუციის ძალა აქვს, და რომლის ძა-
ლით მოქმედ მოსამართლეებს უფლებამოსილება არ შეუწყდებათ ვადის გასვლამდე. კერძოდ,
აღნიშნული გადაწყვეტილების მე-3 პუნქტში ნათლად არის მითითებული, რომ ახალი კანონით
დაწესებული მოთხოვნები (კანონის 46-ე მუხლი) არ უნდა შეეხოს მოქმედ მოსამართლეებს და
იგი არ უნდა გახდეს მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი, ზოლო
ორგანული კანონის 46-ე მუხლში ძირითადი სიახლე სწორედ საკვალიფიკაციო გამოცდის ჩა-
ტარებაში გამოიხატება.

მთლიანობაში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების არსი იმაში მდგომარეობს,
რომ მოქმედ მოსამართლეთათვის რწმუნების ვადაში უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის
რაიმე პირობის დაკანონება დაუშვებელია. ამრიგად, მოქმედ მოსამართლეთა უფლებრივი საკი-
თხი ამ მიმართებით ამომწურავად არის განმარტებული.

მოგეხსენებათ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას აქვს საყოველთაო ხასი-
ათი, ვრცელდება ფართო წრეზე, შესასრულებლად სავალდებულოა ყველასათვის, მისი შეუსრუ-
ლებლობა ისჯება კანონით. აქედან გამომდინარე, უდაოა, რომ ახალი სასამართლო სისტემის



ამოქმედების შემთხვევაში სამუშაოთი პირველ რიგში უნდა დაკმაყოფილდნენ დღეს მოქმედი მოსამართლეები, რამეთუ მათი უფლებამოსილების საკითხი 2001 წლამდე ხელშეუხებელია.

ჩვენ უნდა შევეჩვიოთ იმ აზრს, რომ დღეს ჩვენი სასამართლო არის დამოუკიდებელი ხელისუფლება, სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი უპირველესი მიზანიც ესაა და ჩვენც ამ მიზანს უნდა ვემსახუროთ. სწორედ ამისაკენ მოწოდებად უნდა აღგვექვა, ალბათ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ევროსაბჭოს გენერალური სამდივნოს სამართლებრივ საქმეთა დირექტორის 1998 წლის 4 დეკემბრის ის შეფასება, რომ მათ აუცილებლად მიაჩნიათ იურიდიული ორგანოების, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა პატივისცემა, რომ თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ საჭიროების შემთხვევაში დაეხმარონ საქართველოს ხელისუფლებას ამ გადაწყვეტილების აღსრულებაში; ხოლო ევროსაბჭოს ვენეციის კომისიამ — „დემოკრატია სამართლის მეშვეობით“ — გასული წლის დეკემბერში ჩატარებულ თავის სხდომაზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება ცალსახად მოიწონა და სამართლებრივ საკითხთა განხილვის დარგში მას წინ გადადგმული ნაბიჯი უწოდა.

ასე გამოეხმაურა მსოფლიო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საკვებით სამართლებრივ გადაწყვეტილებას.

ჩვენთან კი, ე. წ. „ბუნტარი“ მოსამართლეების ჭკუის სასწავლებლად და სამაგიეროს გადახდის მიზნით, 1998 წლის 24 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა ორგანულ კანონში კვლავ შეიტანა მორიგი — უკვე მეოთხე ველილებები და დამატებები და, ამჯერად, მოქმედ მოსამართლეთა უფლებამოსილებათა შეწყვეტის ვადა განსაზღვრა ამა წლის 15 მაისით. ეს ადრე დაშვებული სერიოზული შეცდომის კიდევ უფრო სერიოზული გაღრმავებაა. ნუთუ მართლა ჰგონია ვინმეს, რომ თარიღების შეცვლით — 20 იანვრის ნაცვლად 15 მაისის დაწესებით — ახალი, ამჯერად უკვე კონსტიტუციასთან შესაბამისი ნორმა შემოაქვთ?

შეიქმნა მეტად არასასურველი, დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის საფუძველთა-საფუძვლის დამანგრეველი პრეცედენტი, როდესაც საქართველოს პარლამენტი შესაძლებლად მიიჩნევს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ანულირებას თავისი დადგენილებით. არადა, საყოველთაოდაა ვნობილი და აღიარებული, რომ არც პარლამენტს და არც სხვა ორგანოს არა აქვს კანონით მინიჭებული უფლება შეაჩეროს, შეცვალოს ან გააუქმოს საკონსტიტუციო სასამართლოს ესა თუ ის გადაწყვეტილება. ამასთან, ასეთი პრეცედენტის შექმნა საშიშროებას უქმნის ახლად დანიშნულ მოსამართლეთა უფლებამოსილების საკითხსაც მომავალში, და საერთოდ, მთლიანად სასამართლო ხელისუფლებას, რამეთუ ასეთი „პრაქტიკის“ დამკვიდრების შემთხვევაში საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა კვლა გამოიწვევს სასამართლო ხელისუფლების ცვლას.

ჩვენი პარლამენტის მიერ მიღებული ახალი ცვლილებები და დამატებები ეწინააღმდეგება ხელისუფლებათა დანაწილების პრინციპს.

ეს იმას მოასწავებს, რომ პარლამენტის ასეთი ქმედებით უკვე აზრს კარგავს საკონსტიტუციო კონტროლი, საერთოდ საკონსტიტუციო სასამართლო და დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება; არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ 1998 წლის 24 დეკემბერს პარლამენტის სხდომაზე მთელი საქართველოს თვალწინ აშკარა პოლიტიკური ზეწოლით მოხდა ორგანულ კანონში აღნიშნული ცვლილებებისა და დამატებების შეტანა. მიუხედავად საკანონმდებლო ხელისუფლების ასეთი დაუოკებელი სურვილისა — რაღაც არ უნდა დაუჯდეს, დაიმორჩილოს სასამართლო ხელისუფლება! — მისი ქმედება საბოლოო ჯამში უნაყოფო იქნება, რადგან არ ემყარება კონსტიტუციურ დებულებებს, პირიქით, — უხეშად არღვევს და ყოველნაირად აკნინებს მათ.

ბატონო პრეზიდენტო! აღნიშნულთან დაკავშირებით არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ის გარემოება, რომ ხსენებულ საკითხზე თქვენს მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილმა კანონპროექტმა, ზოგიერთი დეპუტატის დაჟინებული მოთხოვნით, არსებითი სახეცვლილება განიცადა, რის შედეგადაც მიღებულ იქნა ისეთი კანონი, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებას.

შედარებისათვის: თუ რით დამთავრდა პარლამენტში თქვენს მიერ წარდგენილ კანონპროექტში ზოგიერთი „ნოვატორი“ დეპუტატის მიერ მოქალაქეობის დამადასტურებელ დოკუმენტებში ეროვნების აღმნიშვნელი გრაფის საერთოდ ამოღების ფაქტი, ეს დღეს ყველას კარგად მოეხსენება...

ამრიგად, დღეს სახეზე გვაქვს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება: პირველი — საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 3 ნოემბრის ცნობილი დოკუმენტი, რომლის ძალითაც მოქმედ მოსამართლეთა უფლებამოსილების საკითხი 2001 წლამდე არის გარანტირებული და ამ გადაწყვეტილებას ვერავინ შეცვლის, და მეორე — საქართველოს პარლამენტის



1998 წლის 24 დეკემბრის დადგენილება ორგანულ კანონში ახალი უვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, რომლითაც მოქმედ მოსამართლეებს მაინც უნდა შეუწყდეთ უფლებამოსილება. ასეთ ვითარებაში, ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ვერ გააუქმებს პარლამენტის მიერ თუნდაც ამ შესწორებით მიღებული კანონი, ამიტომ უნდა აღსრულდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, — ეს არის ელემენტარული სამართლებრივი ნორმა და, იმედია, უახლოეს ხანში ასევე მოხდება.

საჭიროდ მიგვაჩნია ხაზი გავუსვათ კიდევ ერთ გარემოებას, კერძოდ, საზოგადოების არასწორად ინფორმირების იმ მანკიერ პრაქტიკას, რამაც ამ ბოლო დროს მოიკიდა ფეხი ჩვენში, საკონსტიტუციო სასამართლოს ცნობილ გადაწყვეტილებასთან ერთად, იმავე გაზეთში გამოქვეყნდა საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის თავმჯდომარის გ. მეფარიშვილის განცხვავებული აზრი. იგი არ ეთანხმება სასამართლოს დადგენილებას და მოსამართლეთა უფლებამოსილების ვითომდა კანონიერი შეწყვეტის სასარგებლოდ ერთ-ერთ არგუმენტად მიუთითებს შემდეგს:

„საყურადღებოა, რომ ამ მიმართებით, საქართველო არ წარმოადგენს იშვიათ გამონაკლისს აღმოსავლეთ ევროპის ე. წ. პოსტკომუნისტური ქვეყნებისაგან, სადაც სარჩელები რეფორმამდე ენიშნული მოსამართლეების კანონით დადგენილი უფლებამოსილების ვადამდე კანონისმიერი შეწყვეტის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით, უკვე კონსტიტუციასთან შესაბამისად მიიჩნეეს ამ ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოებმა“... და ბატონი გ. მეფარიშვილი ჩამოთვლის მოლდოვის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს 1996 წლის 2 აპრილის, ლიტვის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს 1994 წლის 22 დეკემბრის და სხვა ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოების გადაწყვეტილებებს.

სამწუხაროდ, გ. მეფარიშვილის მიერ დამოწმებული ეს ინფორმაცია არასწორია, მას შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება. ჩვენი თხოვნით ლიტველმა კოლეგებმა გამოგვიგზავნეს ლიტვის საკონსტიტუციო სასამართლოს 1994 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება ანალოგიურ საკითხზე, სადაც შავით თეთრზე წერია:

„1.2. მეორე მუხლის 1-ლი პუნქტის დებულება „შეწყვეტილი იქნას მოსამართლეთა უფლებამოსილება“ ეწინააღმდეგება ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციის 155-ე მუხლის მეორე პუნქტს“ — ე. ი. ლიტვის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლომ ოთხი წლით ადრე გამოიტანა ანალოგიური გადაწყვეტილება.

გამოდის, რომ ბატონმა მოსამართლემ სიცრუე მოიშველია.

და ეს არც არის გასაკვირი, და არც პირველი შემთხვევაა ამ ისტორიაში.

და ეს ხდება იმიტომ, რომ მავანნი და მავანნი სიმართლის დეფიციტით უდილობენ იმის გატანას, რაც არც ქვეყნისათვის, და არც სასამართლო რეფორმისათვის სიკეთის მომტანი არ იქნება. მართალია, ძალა აღმართს ხნავს, მაგრამ ეს ის აღმართია, ბატონებო, რომელსაც ძალზე არასასიამოვნო და საშიში დაღმართი მოსდევს, და ამან შეიძლება სასამართლო ხელისუფლების სერიოზულ კრიზისამდე მიგვიყვანოს. ხოლო რაც შეეხება სიმართლეს, მოგეხსენებათ, სიმართლემ თქვა:

„ურმით დავდივარ, მაგრამ ბედაურზე მჯდომსაც დავეწვიო!“

ბატონო პრეზიდენტო! თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ერთ-ერთი გარანტი მათი ხელფასია. ამ საკითხის შესახებ ევროპის მოსამართლეთა წესდების მე-8 მუხლში ვკითხულობთ: „მოსამართლის ხელფასი უნდა იყოს მისი შრომის ადეკვატური, რათა მას ჰქონდეს ნამდვილი ეკონომიკური დამოუკიდებლობა, რომ მოსამართლეთა სტატუსი და ანაზღაურება ზუსტად შეესაბამებოდეს მათი პროფესიის კეთილშობილებას და პასუხისმგებლობათა სიმძიმეს“.

პასუხისმგებლობის სიმძიმე ჩვენი ქვეყნის მოსამართლეებს სასესხებელი არა აქვს, მაგრამ მათი შრომის ანაზღაურება აბსურდამდეა დაყვანილი — 35-40 ლარი თვეში; სწორედ ეს არცევს ყველაზე მეტად სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას, მოსამართლეთა დამოუკიდებლობას, ავტორიტეტს. არადა, ამავე დროს ხელფასი ხუთასი ლარის ოდენობით ენიშნებათ იმ პირთ, რომლებმაც ახალი კანონის მიხედვით, მართალია, ჩააბარეს საკვალიფიკაციო გამოცდები, მაგრამ მართლმსაჯულებას არ ახორციელებენ.

ვფიქრობთ, მეტად პარადოქსული სიტუაცია იქმნება: მოქმედ მოსამართლეებს, რომლებიც ფაქტობრივად ახორციელებენ მართლმსაჯულებას, ხელფასი რჩებათ 35-40 ლარი, ხოლო იმ პირებს, რომლებიც ჯერ საერთოდ არ შედგომიან სამოსამართლო საქმიანობას, ხელფასი თორმეტჯერ მეტი — 500 ლარი აქვთ, — მსგავს დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას მესამე ხელისუფლებისადმი მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია.

საქართველოს მოსამართლეთა კორპუსი ითხოვს სახელმწიფოსგან მისი შრომის ადეკვატურ ანაზღაურებას, იმ დავალების პრაქტიკულად რეალიზებას, რომელიც თქვენ ჩვენი — ე. ი. მთელი საქართველოს მოსამართლეების ხელფასების მომატების შესახებ მიეცით შესაბამის სამსახურებს ჯერ კიდევ ორი წლის წინ. არა გვგონია, რომ პრეზიდენტის ასეთი მნიშვნელოვანი დავალება დავიწყებას უნდა ეძლეოდეს.

ბატონო პრეზიდენტო! ჩვენი მოქმედების დედააზრი კონსტიტუციის დაკვაა. თქვენ, როგორც საქართველოს კონსტიტუციის გარანტი, ვთხოვთ გაატაროთ ყველა ღონისძიება საქართველოს კონსტიტუციის, კანონის უზენაესობის დასაცავად, რომ არ შეირყეს ჩვენი სახელმწიფოს დემოკრატიული წყობილების პრინციპები.

გარწმუნებთ, ჩვენს თაობას შესწევს უნარი დადებითი, სასიკეთო წვლილი შეიტანოს ახალი დემოკრატიული საქართველოს ჩამოყალიბების საქმეში, და სწორედ ამ რწმენითა და მზადყოფნით მოგმართავთ თქვენ. დასავლეთის ცივილურ ქვეყნებში მოსამართლეთა ასოციაციები აქტიურად არიან ჩაბმული სასამართლო რეფორმის განხორციელების, კადრების მომზადების, მათი კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული დაოსტატების საქმეში. საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციაც სწორედ ასეთ შესაძლებლობათა მქონე, ჰუმანიტარულ არასამთავრობო ორგანიზაციაა და გვწამს, რომ ხელისუფლების მხრიდან მისთვის ელემენტარული პირობების შექმნით, მეტი ნდობის და თანადგომის გამოცხადებით უთუოდ დიდ სამსახურს გაუწევთ სასამართლო რეფორმას!



ხელისუფლება

ლალი შაიშაველაშვილი

საპარლამენტო და საპრეზიდენტო რესპუბლიკების თავისებურებები

საზღვარგარეთის ქვეყნების დიდი უმრავლესობა რესპუბლიკებია. მონარქიასთან შედარებით, რესპუბლიკა უფრო პროგრესული და დემოკრატიული ფორმაა. იგი საბოლოო სახით ათენის სახელმწიფოში ჩამოყალიბდა (V-IV სს. ჩვ. წ. აღ-მდე.). საზოგადოების განვითარების შედეგად მან სახე იცვალა, შეიძინა ახალი ნიშნები, დემოკრატიული შინაარსი.

„რესპუბლიკის დროს უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება რომელიმე, გარკვეული ვადით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს ხელშია“¹. მაგ, სენატი-ძველ რომში რესპუბლიკის პერიოდში, პარლამენტი-ბურჟუაზიულ წყობილებაში, ქალაქი-რესპუბლიკები-ფეოდალიზმის ეპოქაში, პარლამენტი-თანამედროვე საქართველოში.

თანამედროვე რესპუბლიკები იყოფა საპარლამენტო და საპრეზიდენტო რესპუბლიკებად. ამერიკელი პროფესორი უ. საფრანი აღნიშნავს: „დასავლურ დემოკრატიულ საზოგადოებაში, ჩვეულებრივ, მმართველობის ორი მოდელი იჩენს თავს: პირველია, საპარლამენტო სისტემა, სადაც აღმასრულებელი შტო ორი „ერთეულისაგან“ შედგება: ერთი მხრივ, მონარქი ან ფიგურალური პრეზიდენტი და მეორე მხრივ, პრემიერ-მინისტრი და მისი კაბინეტი, რომლებიც

1 გ. ინჭკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 1997, გვ. 35.

დანიშნული არიან პარლამენტის ანუ საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ და პასუხისმგებელი არიან მისდამი. მეორეა, საპრეზიდენტო სისტემა, აქ ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი, რომელიც ერთდროულად სახელმწიფოს მეთაური და მთავრობის ხელმძღვანელია, დამოუკიდებელია საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან. ასეთ სისტემაში ხელისუფლების ორივე შტო თანამშრომლობს და ერთმანეთს აწონასწორებს“.²

საპარლამენტო სისტემის ძირითადი მახასიათებელია ის, რომ მას არა აქვს სხვადასხვა საარჩევნო პროცედურა საკანონმდებლო და აღმასრულებელი შტოებისათვის. მრავალ საპარლამენტო სისტემას ჰყავს ან დამოუკიდებლად არჩეული ხელმძღვანელი ან მმართველი, რომელიც თავის უფლებებს მემკვიდრეობით ღებულობს და რომლის როლი უმთავრესად „ცერემონიულია“, ხოლო უფლებები ზუსტად არის განსაზღვრული. მთავრობის მეთაური (ჩვეულებრივ, პრემიერ-მინისტრად წოდებული), პირდაპირი არჩევნების გზით არ აირჩევა (გამონაკლისი შემთხვევების გარდა). იგი თანამდებობას ღებულობს საპარლამენტო მაჟორიტარული პარტიის ან კოალიციის ლიდერობის წყალობით და მისი მმართველობის პერიოდი არ აღემატება პარლამენტის ფუნქციონირების ვადას. პრემიერ-მინისტრი და მისი კაბინეტი (ცნობილი, როგორც დღევანდელი მთავრობა), რომელიც კომპლექტდება პარლამენტის წევრთაგან, მოითხოვს საკანონმდებლო ორგანოსაგან, გარკვეული დროით, ნდობის მინიჭებას, რათა იგი გახდეს უფლებამოსილი.

თეორიულად, საპარლამენტო სისტემაში კაბინეტი არ არის ცენტრალური აღმასრულებელი ორგანო. მისი წევრები ახორციელებენ პოლიტიკური კურსის წარმართვასა და კონტროლს. მას შემდეგ, რაც კაბინეტის ფორმირება მოხდება, იგი კოლეგიურად ანგარიშვალდებულია საკანონმდებლო ორგანოს წინაშე.

საპარლამენტო სისტემის ძირითადი არსია კაბინეტის კოლექტიური პოლიტიკური პასუხისმგებლობა, რომელიც ხორციელდება პარლამენტის მიერ უნდობლობის ვოტუმისათვის. კენჭისყრის გზით.

საპრეზიდენტო სისტემა საპარლამენტო სისტემისაგან სრულიად განსხვავებულად ფუნქციონირებს. ის ეფუძნება იდეას, რომ მოქალაქეთა თავისუფლებისათვის სახიფათოა მცირერიცხოვან ადამიანთა ხელში მეტიმეტი ძალაუფლების კონცენტრაცია, ამიტომ, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის თანახმად, საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას განაჩნია თავისი მოქმედების სფერო, ძალაუფლების სხვადასხვა წყარო (პრეზიდენტი და კანონმდებლები ირჩევიან დამოუკიდებლად, უზენაესი მოსამართლეები ინიშნებიან) და უფლება, გამოასწოროს სხვათა ძალაუფლების ბოროტად გამოყენება.

საპრეზიდენტო რესპუბლიკის ძირითადი ნიშნებია:

1. პრეზიდენტის ხელში სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურის უფლებამოსილებების გაერთიანება;
 2. პრეზიდენტის არჩევის და მთავრობის ჩამოყალიბების არაპარლამენტური მეთოდი;
 3. მთავრობის პასუხისმგებლობა პრეზიდენტის და არა პარლამენტის წინაშე;
 4. სახელმწიფოს მეთაურის უფრო ფართო უფლებამოსილება საპარლამენტო რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურთან შედარებით.
- საპრეზიდენტო და საპარლამენტო სისტემების შედარებითი ანალიზი, რაც

² „რესპუბლიკა: საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო“, თბ., 1996, გვ. 165.



თვალნათლივ წარმოაჩინეს მათ შორის ფორმალურ განმასხვავებელ ფაქტორებს, მოგვცა ცნობილმა ინგლისელმა კონსტიტუციონალისტმა დუგლას ვ. ვერნიმ წიგნში „პოლიტიკური სისტემის ანალიზი“.³ მასალის საშუალებით ვახდენთ აღნიშნული სისტემების ძირითადი პრინციპების პარალელურ გააზრებას.

ავტორი გამოყოფს თერთმეტ განმასხვავებელ ნიშანს:

1. პარლამენტარიზმის თეორიის მიხედვით, გამოიყოფა საკონსტიტუციო პროცესების განვითარების სამი სტადია: პირველ სტადიაზე მმართველობას ახორციელებს მონარქი, მეორე სტადიაზე ჩნდება საკრებულო-ასამბლეა, რომელიც უპირისპირდება მეფის ჰეგემონიას. მესამე ეტაპზე ხდება ასამბლეის და მთავრობის შერწყმა პარლამენტის ფარგლებში, საკრებულო თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას ქვეყნის მმართველობაზე, მოქმედებს, როგორც პარლამენტი და მონარქს ართმევს იისი ტრადიციული ძალაუფლების უმეტეს ნაწილს.

საპრეზიდენტო მართვის თეორიის მიხედვით, ასამბლეა უნდა დარჩეს იგივე ფუნქციების მატარებელი, ხელისუფლების სხვა შტოებისაგან გამოყოფილი, როგორც ეს ხდება მეორე ეტაპზე. მონარქიის გაუქმებით და პრეზიდენტის პოსტის დაწესებით ამერიკელებმა თავი წარმოაჩინეს, როგორც რეალურად რევოლუციონერებმა. საპრეზიდენტო სისტემამ იმ სახით, რა სახითაც ის დაფუძნდა აშშ-ში, პარლამენტარიზმი ერთდროულად არააუცილებელიც და არაპრაქტიკულიც გახდა ამ ქვეყნისათვის. ასამბლეა (აშშ-ში-კონგრესი) რჩება ასამბლეად;

2. ასამბლეის პარლამენტად გარდაქმნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგია ის, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება ორად გაიყო. ერთი მხრივ, პრემიერ-მინისტრი ან კანცლერი, რომელიც ხდება მთავრობის მეთაური და მეორე მხრივ, მონარქი ან პრეზიდენტი, როგორც სახელმწიფოს მეთაური.

საპრეზიდენტო სისტემებში აღმასრულებელი ხელისუფლება არ არის გაყოფილი, არამედ წარმოდგენილია პრეზიდენტის სახით, რომელიც აირჩევა ხალხის მიერ;

3. პარლამენტარიზმისათვის დამახასიათებელია, რომ სახელმწიფოში არსებობდეს ორი სხვადასხვა პოსტი და მთავრობის მეთაურს ნიშნავდეს სახელმწიფოს მეთაური.

საპრეზიდენტო სისტემებში მთავრობის მეთაური ხდება სახელმწიფოს მეთაურიც;

4. საპარლამენტო მმართველობის შემთხვევაში პრემიერ-მინისტრი ნიშნავს მინისტრებს, რომლებთან ერთადაც ქმნის მთავრობას.

საპრეზიდენტო სისტემაში კი, პრეზიდენტი ნიშნავს „მდივნებს“ (ზოგ შემთხვევაში მათ მინისტრები ეწოდებათ, რომლებიც შესაბამისი აღმასრულებელი უწყების ხელმძღვანელები ხდებიან). ფორმალურად, ეს დანიშნულები უნდა დადასტურდეს ასამბლეის ან მისი რაიმე ორგანოს მიერ (აშშ-ში ეს არის სენატი);

5. საპარლამენტო მმართველობისაგან განსხვავებით, სადაც მთავრობა კოლექციური ორგანოა, ხოლო პრემიერ-მინისტრი „პირველია თანასწორთა შორის“, საპრეზიდენტო მმართველობა, ძირითადად, ინდივიდუალურია. აშშ-ში ტერმინი „კაბინეტი“ გამოიყენება პრეზიდენტისა და მდივნების სამუშაო შეხვედრების აღსანიშნავად, მაგრამ ეს არ არის კაბინეტი ან მინისტრთა საბჭო საპარლამენტო თვალსაზრისით;

3 იქვე, გვ. 114.

6. საპარლამენტო მმართველობის საწინააღმდეგოდ, სადაც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში მონაწილეობის შეთავსება დაუშვებელია კანონით, საპრეზიდენტო მმართველობისათვის დამახასიათებელია ასეთი შეთავსების აკრძალვა;

7. საპარლამენტო სისტემის ფარგლებში მთავრობა პასუხს აგებს ასამბლეის წინაშე. უნდობლობის ვოტუმის ან უბრალოდ, მთავრობის მნიშვნელოვანი წინადადებების დამტკიცებაზე უარის თქმით, ასამბლეას შეუძლია აიძულოს მთავრობა გადადგეს და წინადადება მისცეს სახელმწიფოს მეთაურს დანიშნოს ახალი მთავრობა.

საპრეზიდენტო მმართველობის დროს, პრეზიდენტი არ არის პასუხისმგებელი ასამბლეის წინაშე;

8. საპარლამენტო სისტემებში სახელმწიფოს მეთაურს შეუძლია დაითხოვოს პარლამენტი, მხოლოდ მთავრობის მეთაურის მოთხოვნით.

პრეზიდენტს არა აქვს უფლება დაითხოვოს პარლამენტი, ისევე, როგორც პარლამენტს არ შეუძლია პრეზიდენტის გათავისუფლება;

9. საპარლამენტო სისტემებში პარლამენტის არცერთ ნაწილს არა აქვს უფლება დომინირებდეს მეორეზე. პარლამენტი, როგორც მთლიანი, უზენაესია მის თითოეულ ნაწილთან, მთავრობასა და ასამბლეასთან შედარებით, ისე, რომ არცერთი არ უნდა დომინირებდეს მეორეზე.

საპრეზიდენტო სისტემაში აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებები გამიჯნულია, თითოეულ მათგანს გააჩნია საკუთარი სფერო. ისინი არ უნდა ჩაერიონ ერთმანეთის საქმიანობაში;

10. საპარლამენტო მთავრობა პირდაპირ არის ანგარიშვალდებული ასამბლეის წინაშე და მხოლოდ არაპირდაპირ-ელექტორატის წინაშე.

საპრეზიდენტო ხელისუფლება დამოკიდებულია ამომრჩეველთა ხმის მიცემაზე და მხოლოდ პრეზიდენტი (აგრეთვე, ვიცე-პრეზიდენტი, თუ ასეთი არსებობს) აირჩევა ამომრჩეველთა სრული შემადგენლობის მიერ;

11. აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებათა შერწყმა პარლამენტში განაპირობებს ამ უკანასკნელის ჩამოყალიბებას პოლიტიკური წყობის გაბატონებულ რგოლად. საპარლამენტო სისტემების პოლიტიკური საქმიანობა თავს იყრის პარლამენტში.

საპრეზიდენტო სისტემებში ასეთი ცენტრი არ არსებობს. კონცენტრაციის წაცვლად, ადგილი აქვს დანაწევრებას.

ამდენად, ავტორი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის პარლამენტარიზმისა და პრეზიდენტალიზმის არსისა და მნიშვნელოვანი ინსტიტუციონალური თავისებურებების შესახებ.

ამერიკელი პროფ. კეი ლაუსონის მიხედვით,⁴ საპარლამენტო და საპრეზიდენტო სისტემები ოთხ ძირითად განმასხვავებელ ნიშანს შეიცავს:

1. აღმასრულებელი ხელისუფლების წყაროები;
2. აღმასრულებელი როლი კანონმდებლობის ინიცირებაში;
3. ცერემონიალური ლიდერისა და
4. პოლიტიკური პარტიების როლი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება გამოვყოთ საპარლამენტო და საპრეზიდენტო სისტემების შემდეგი თავისებურებები:

1. პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევის წესი;

4 იქვე, გვ. 145.



საპრეზიდენტო სისტემაში პრეზიდენტი და პარლამენტი ცალ-ცალკე არჩევა, ხოლო პარლამენტური მმართველობის სისტემაში - საერთო არჩევნებით.

2. მთავრობის ფორმირების წესი.

პარლამენტური მმართველობის სისტემაში მთავრობის შემადგენლობას ირჩევს პარლამენტი და მასვე შეუძლია მისი დათხოვნაც.

საპრეზიდენტო რესპუბლიკაში პარლამენტს ასეთი უფლება არ გააჩნია. მას არ შეუძლია პრეზიდენტის გადაყენება მისი განსხვავებული შეხედულებების ან შეცვლილი საპარლამენტო უმრავლესობის შედეგად. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ პრეზიდენტის დანაშაულებრივ ქმედებათა გამო პარლამენტი იმპიჩმენტის წესით აღძრავს საჩივარს;

3. საპარლამენტო მმართველობისაგან განსხვავებით, სადაც მთავრობა კოლევიალური ორგანოა, საპრეზიდენტო მმართველობა ინდივიდუალურია;

4. პრეზიდენტს არ შეუძლია პარლამენტის დათხოვნა და ახალი არჩევნების გამოცხადება. პარლამენტური მმართველობის სისტემაში კი პრემიერ-მინისტრს ასეთი უფლება გააჩნია;

5. პრეზიდენტი და მისი მთავრობის წევრები არ შეიძლება იმავდროულად იყვნენ პარლამენტის დეპუტატები. აშშ-ის კონსტიტუციის მიხედვით, ხელისუფლების და საპარლამენტო მანდატი შეუთავსებელია. გამონაკლისი დაიშვება ვიცე-პრეზიდენტის მიმართ, რომელიც იმავდროულად სენატის სპიკერია;

6. საპრეზიდენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტი სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურია. საპარლამენტო მმართველობის პირობებში აღმასრულებელი ხელისუფლება დანაწილებულია. ფაქტობრივი ძალაუფლება პრემიერ-მინისტრის ხელშია, ხოლო რეპრეზენტატიულ სახელმწიფო ფუნქციებს ასრულებს პრეზიდენტი. პრეზიდენტს გააჩნია სიმბოლური უფლებამოსილებები, მისი საქმიანობა შემოფარგლულია მხოლოდ ცერემონიალური და წარმომადგენლობითი ფუნქციებით;

7. საპარლამენტო მმართველობის სისტემაში მთავრობას აქვს საკანონმდებლო ინიციატივის და ნაწილობრივ, აბსოლუტური ვეტოს უფლება გამოსაცემ კანონებზე.

რაც შეეხება საპრეზიდენტო რესპუბლიკებს, აშშ-ის პრეზიდენტს ფორმალურად არ გააჩნია საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, თუმცა შეუძლია შეყვონებითი ვეტო დაადოს კონგრესის კანონებს. პრეზიდენტის ვეტოს დაძლევა შესაძლებელია კონგრესის ორივე პალატის წევრთა ხმების ორი მესამედით.

ასეთია საპრეზიდენტო და საპარლამენტო სისტემების შედარებითი ანალიზი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „თანამედროვე ცივილიზებულ საზოგადოებაში პრინციპული განსხვავება მმართველობის საპარლამენტო და საპრეზიდენტო ფორმებს შორის არ არსებობს. მათ აახლოებს საერთო ამოცანები და მიზნები, უზრუნველყონ საზოგადოების ყველაზე უფრო ოპტიმალური ორგანიზაცია, პიროვნების უფლებებისა და ინტერესების დაცვა“.⁵

უკანასკნელ ხანებში იურიდიულ ლიტერატურაში აქტიურად განიხილება შერეული მმართველობის ფორმის სახელმწიფოები, რომლებიც ერთდროულად მოიცავენ საპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკების ნიშნებს. როგორც მათე შუგარტი აღნიშნავს, „მხოლოდ ტრადიციული საპრეზიდენტო-საპარლამენტო დიქოტომია ვერ მოიცავს არჩევანის ძირითად სფეროს, ვინაიდან არის მეორეხარისხოვანი საკითხები, რომლებიც ეხება აღმასრულებელი სტრუ-

5. Хропанюк В. Н., Теория государства и права, 1997.

ქტურების უფლებებს და სწორ მეთოდებს აღმასრულებელი სტრუქტურების პო-
ზიციების შესავსებად“.⁶

ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკის პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთა-
ურია, მაგრამ იგი არ არის მთავრობის მეთაური. ამავდროულად, მას გააჩნია
რიგითი უფლებამოსილებები, რომელთა მეშვეობითაც შეუძლია ზეგავლენა მო-
ახდინოს მთავრობის პოლიტიკაზე. პრეზიდენტი ამტკიცებს მთავრობის მიერ
მიღებულ დეკრეტებს და დადგენილებებს, უფლება აქვს დააბრუნოს ისინი ხელ-
მეორედ განსახილველად. შეუძლია ვეტო დაადოს კანონებს, დაითხოვოს პარ-
ლამენტი და დანიშნოს ახალი არჩევნები.

მთავრობის ფორმირება გამომდინარეობს პარლამენტში პოლიტიკურ ძალ-
თა განლაგებიდან, ხოლო მისი ნება ყოველთვის დამოკიდებულია პარლამენტის
უმრავლესობის პოზიციაზე. სწორედ ამიტომ მთავრობა პასუხისმგებელია პარ-
ლამენტის და არა პრეზიდენტის წინაშე.

პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილებების სრული განხორციელება პარლა-
მენტში პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობაზეა დამოკიდებული. ერთ შემთხვევა-
ში, როცა მას მხარს უჭერს საპარლამენტო უმრავლესობა — ქვეყანა სრულბა-
ლოვანი პრეზიდენტის მიერ იმართება, როგორც საპრეზიდენტო რესპუბლიკა.
მეორე შემთხვევაში იგი გარკვეულად ბლოკირებულია მოპირდაპირე პოლიტი-
კური უმრავლესობით პარლამენტში და ქვეყანა საპარლამენტო მმართველობის
სახეს ღებულობს, ვინაიდან წინა პლანზე წარმმართველი ფიგურის სახით გა-
მოდის საპარლამენტო უმრავლესობის კანდიდატი-აღმასრულებელი ხელისუფ-
ლების მთავრობის მეთაურის სახით.

ამ მოდელის ღირსება, როგორც პროფ. ო. მელქაძე აღნიშნავს, გამოიხა-
ტება იმაში, რომ პრეზიდენტს ბევრი რეალური სახელისუფლო უფლებამოსი-
ლებანი გააჩნია, პრემიერი და კაბინეტი ხელმძღვანელობენ აღმასრულებელ
ხელისუფლებას და ამავდროულად, პასუხისმგებელი არიან პარლამენტის წი-
ნაშე. თუმცა, აქ არ არის გამორიცხული კონფლიქტი სახელმწიფოს მეთა-
ურსა და მთავრობის მეთაურს შორის.

6. „რესპუბლიკა: საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო“, თბ., 1996, გვ. 137.

7 იქვე, გვ. 192.

სამართლის თეორია

ლავა-გიორგი კუტალია

უოქვედოვის თეორიული დასაბუთების მეთოდოლოგიური თვალსაზრისი*

ნაკლებად მნიშვნელოვანი არ არის ვ. ზაუერის მიდგომა ნორმისა და მოვალე-
ობის ურთიერთობისადმი. სისხლისსამართლებრივი ნორმისა და სისხლისსამართლებ-
რივი მოვალეობის სხვაობის დასტურია თუნდაც ის, რომ ნორმის მიხედვით სუბი-
ექტს შეიძლება ევალებოდეს გარკვეული მოქმედების ჩადენა, მაგრამ გამამართლე-

* დასასრული. დასაწყისი იხ. ჟურნ. „სამართალი“, № 1, 1999.



ბელ გარემოებათა არსებობით ეს მოვალეობა ქარწყლდება. ამგვარად, ვ. ზაუერი მოვალეობას არ განიხილავს როგორც ინტრანორმატულ კატეგორიას, რაც არ უნდა აღვიქვათ ისე, თითქოს მოვალეობა, ამავე დროს, კატეგორიალურად ზენორმატიული ცნებაა. მოვალეობის ინტრანორმატულობის უარყოფა რომ მის ზენორმატულობას არ ამკვიდრებს, გამომდინარეა გამამართლებელ გარემოებათა რაგვარობიდან. ისინი არსებობენ არა თავისთავად, არა ნორმათა სისტემის მიღმა, არამედ წარმოსდგებიან სათანადო ნორმისადმი სხვა დაპირისპირებული ნორმის ანუ კონტრნორმის შინაარსიდან. სუბიექტს მხოლოდ ნორმათა ოპერირებით შეუძლია დაადგინოს, რომ კონკრეტულ ვითარებაში მას მოქმედების ვალდებულება არ ეკისრება.

„ობიექტური შეუძლებლობისას“, — წერს ე. შმიდტი, — „ნების შესაბამისი ქმედება (das willkürliche Verhalten) გამოირიცხება და ამიტომ არ არსებობს უმოქმედობაც: ისიც იძულებისაგან თავისუფალი, წარმოდგენებით განსაზღვრული ქმედებაა“.¹⁵ პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, ჩვენ მთლიანად ვემხრობით ვ. შმიდტის თვალთახედვას და მიგვაჩნია, რომ უმოქმედობა, თუ ის ნების თავისუფლებასთან ერთად წარმოსახვითი განსაზღვრულობითაც არ ხასიათდება, არ შეიძლება იყოს დასჯადი ქმედება. როდესაც სუბიექტი სრულყოფილად იცნობს ნორმის შინაარსს, მაგრამ გარე სამყაროში მიმდინარე პროცესს ნორმაში აღწერილი ვითარების შესატყვისად არ წარმოიდგენს, მისი უმოქმედობა ბრალეული არ არის. ის შესაძლოა ხედავდეს, მაგრამ იმავდროულად არ წარმოიდგენდეს, რომ სხვა პირი სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაშია და რომ მისი ჩარევის გარეშე ვერ გადარჩება. თვითმხილველობა და წარმოდგენა ასეთ შემთხვევაში გაშუალებულია ბრალის გამომრიცხველი გარემოებით, რომელსაც სისხლის სამართალში ფაქტობრივი შეცდომა ეწოდება.

უმოქმედობის ნებელობით მხარეს თავისებურად გადმოგვცემს კ. ენგიში: „უმოქმედობა, მოქმედების მსგავსად, ნების შესაბამისობას მოითხოვს, რომელშიც სხვაგვარად მოქმედების ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობა იგულისხმება. რკინიგზის შებოჭილი მეთრე დასჯადად არ უმოქმედობს, რადგანაც მას ეს ქმედების თავისუფლება არ მოეპოვება.“¹⁶ ჩვენი აზრით, კ. ენგიში უსაფუძვლოდ აიგივებს ქმედების თავისუფლებასა და ნების შესაბამისობას ანუ ნების თავისუფლებას. ქმედებაში ნების გამოხატულებით ეს უკანასკნელი იქცევა ამ პირველის მხოლოდ კომპონენტად. ამიტომ ნება მოიცავს მარტოოდენ ნაწილს იმისა, რისი მომცველიც ქმედების შინაარსია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნება ფსიქიკური, ხოლო ქმედება ფსიქო-ფიზიკური კატეგორიაა. რკინიგზის შებოჭილი მეთრე ფსიქიკურად თავისუფალია, ე. ი. მას გააჩნია ნების თავისუფლება, მაგრამ ფიზიკური იძულების გამო ის მოკლებულია ქმედების თავისუფლებას როგორც ფსიქო-ფიზიკურ შესაძლებლობას.

3. მეიერი ასერიგად განმარტავს უმოქმედობას: „უმოქმედობა ზუსტად ისევე, როგორც მოქმედება, ნების განხორციელებაა. უმოქმედობის დროსაც დამნაშავის ქმედება უნდა იყოს ნებით დაუფლებული ან დაუფლებადი აქტი (vom Willen beherrscht oder beherrschbar). განუცხადებლობა არ არის ქმედება და, მაშასადამე, არც უმოქმედობაა, თუ სუბიექტმა უკიდურესი დაბნეულობის გამო დრო ვერ იხელთა შეთქმულთა წრიდან გასაღწევად“.¹⁷ შემოციტირებულ ავტორებთან შედარებით 3. მეიერის მოსაზრებაში არაფერია ახლებური, მაგრამ მისი მოტანით ცხადად იკ-

15 E. Schmidt, Lehrbuch des deutschen Strafrechts, Allg. Teil, 26. Aufl, Berlin und Leipzig 1932, S. 170.

16 K. Engisch, Die Kausalität als Merkmal strafrechtlicher Tatbestände, Tübingen 1931, S. 31.

17 H. Mayer, Strafrecht, Allg. Teil, Stuttgart und Köln 1953, S. 112.



ეთება შემდეგი ტენდენცია: როდესაც პირი მოქმედებს იძულებით, ვაშობთ, რომ ის მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ, მაგრამ არაბრალეულად; ხოლო როდესაც სუბიექტი იძულებით უმოქმედობს, ვაცხადებთ, რომ სისხლისსამართლებრივად ის არ უმოქმედობს საერთოდ. არის თუ არა ეს ლოგიკურად სწორი? დანაშაულის სისხლისსამართლებრივი ანალიზი მიმდინარეობს არა სუბიექტური ქმედებიდან დანაშაულის ფაქტამდე, არამედ პირიქით, დანაშაულის ფაქტიდან სუბიექტურ ქმედებამდე. თუ ამ შებრუნებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გარე სამყაროში მომხდარი მავნე ცვლილება განსაზღვრულ კავშირშია სუბიექტის ქმედებასთან (არა უცილობლად კაუზალურ კავშირში), მაშინ მოცემული ქმედება, მიუხედავად იმისა, მოქმედებაშია ის გამოსატული თუ უმოქმედობაში, დაუყოვნებლივ იქმნება კვლევის მორიგ საგნად, მაგრამ უკვე არა როგორც ზოგადი ცნება, არამედ ცალკეული შემადგენელი ელემენტის სახით. ვერც მოქმედებისა და ვერც უმოქმედობისას გაირკვევა, რომ სუბიექტური აქტი იძულების შედეგია, თუ გამოძიებით დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისობისა და მართლსაწინააღმდეგობის ეტაპები განვლილი არ არის. ამ მხრივ, უმოქმედობისათვის განსხვავებული პროცედურის დაწესება აბსოლუტური უსაგნობა იქნებოდა, რადგან საამისოდ არავითარი არგუმენტი არ მოგვეპოვება. ამასთანავე, იმ მიზეზით, რომ დანაშაულის შემადგენლობისა თუ მართლსაწინააღმდეგობის სფეროები სისხლის სამართლის სფეროებია, ფაქტობრივი უმოქმედობა ამ სივრცეებში შეღწევით სისხლისსამართლებრივ რეალობას უერთდება და მექანიკურად იქცევა სისხლისსამართლებრივ უმოქმედობად. ამიტომ სიმართლეს არ შეესაბამება ყველა იმ ავტორის მტკიცება, ვინც იძულებით უმოქმედობას სისხლისსამართლებრივ უმოქმედობად არ განიხილავს.

მათ რიცხვშია ე. მეცგერიც. ის წერს: „როგორც აქტიური მოქმედების დროს ნებელობა ქმედების ცნებას განეკუთვნება, ისევე უნდა მოვითხოვოთ ეს მომენტი უმოქმედობის დროსაც. მაშასადამე, სისხლისსამართლებრივად სუბიექტი არ უმოქმედობს, თუ ნორმატიული მოვალეობის შესრულებისათვის საჭირო დროს ის ცნობამისხდილად იმყოფებოდა“.¹⁸ ე. მეცგერის მიერ დაშვებულ უზუსტობას ლოგიკის მეცნიერების ენაზე ნაჩქარევი გენერალიზაცია ეწოდება. ნებელობა ჭაშმარიტად არის დანაშაულებრივი ქმედების ცნების ნიშანი, მაგრამ დანაშაულებრივი ქმედება სისხლისსამართლებრივი ქმედების ერთადერთი სახე არაა. სისხლისსამართლებრივი ქმედება შეიძლება იყოს: დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ანუ დანაშაულებრივი. ვინაიდან პირველ ორ საფეხურზე ნებელობის საკითხი არ ირკვევა, ე. მეცგერის შეხედულება გვაიძულებს ვაღიაროთ, რომ დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი და მართლსაწინააღმდეგო ქმედება სისხლისსამართლებრივ ხასიათს არ ატარებს, რისი შეუძლებლობაც ჩვენ ზემოთ ნათელვყავით. ამის კვალობაზე და ე. მეცგერის პოზიციის საპირისპიროდ, უგონო მდგომარეობაში მყოფი პირიც სისხლისსამართლებრივად უმოქმედობს, თუმცადა ეს მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო და არა ბრალეული ანუ დანაშაულებრივი უმოქმედობაა.

დასახული მიმართულებით თითქმის გადაულახავ სირთულეებს ქმნის ქმედების ფინალური მოძღვრება. ფინალისტი რ. ჰონიგი აღნიშნავს: „ფაქტობრივ უმოქმედობას არ გააჩნია სისხლისსამართლებრივი უმოქმედობის მნიშვნელობა, თუ ის ჩადენილია სულიერი ავადმყოფობის ან ფიზიკური იძულების შედეგად; ან თუ სხვა სუბიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო მოქმედების შესაძლებლობა არ არსებობდა. შედეგის დადგომასთან მიმართებაში ჩვენ მხოლოდ მაშინ ვსაუბრობთ სისხლის-

18 E. Mezger, Strafrecht. Ein Lehrbuch, 3. Aufl., Berlin und München 1950, SS. 132-133.

სამართლებრივ უმოქმედობაზე (იმ შემთხვევათა გამოკლებით, როდესაც დამნაშავემ შედეგი განზრახ არ აიცილა), თუ სუბიექტს შეეძლო მისი გათვალისწინება და დაუფლება (მართვა), ე. ი. აცდენა და თუ შედეგის მიმართ უმოქმედოდ დარჩენა ფინალურად მოისაზრება“.¹⁹ სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ ფინალური მოძღვრების თანახმად ისეთი სუბიექტური მომენტი, როგორც განზრახვაა, ქმედების სისხლისსამართლებრივი კვლევის ჯერ კიდევ საწყის ეტაპზე პოვებს თავის ასახვას; ანუ განზრახვა ქმედებაში იმთავითვე არ მოიცემა, ქმედება ვერ იქნება ვერც მართლ-საწინააღმდეგო და ვერც ბრალეული. როგორც ამკარაა, ტრადიციული ანუ ბელინგისეული დანაშაულის შემადგენლობის ამგვარი „სუბიექტივიზირება“ ძირეულად უცვლის სახეს სისხლისსამართლებრივი ქმედების შინაარსს. მისი სამივე სახის ერთნაირად აუცილებელ ნიშანს ფინალურობა შეადგენს, სამივე სახის ქმედება ფინალური ქმედებაა. ამიტომაც აქ უკვე არ გვეთქმის, რომ ცნობამისდღიად ან სხვა მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირი სისხლისსამართლებრივად უმოქმედობს.

თ ფინალური მოძღვრების ერთ-ერთი წამყვანი წარმომადგენელი ჰ. ველცელი აცხადებს: „მხოლოდ სუბიექტური აქტის კონკრეტულად შესაძლო ან პოტენციური ფინალური დაუფლება გარდაქმნის უმოქმედობის ფაქტობრივ სახეს სისხლისსამართლებრივად... რადგან უმოქმედობის კონსტიტუციური ნიშანი ქმედების პოტენციური ფინალური დაუფლებაა, ის (უმოქმედობა) მოითხოვს არა აქტუალურ, არამედ მხოლოდ პიროვნებისათვის შესაძლო ნებელობით აქტს“.²⁰ იგივეს შენიშნავს რ. მაურახიც: „უმოქმედობის სისხლისსამართლებრივ შინაარსს აფუძნებს არა ფინალურად მოქმედების უნარი, არამედ მხოლოდ სისხლისსამართლებრივად სავალდებულო მოქმედების შესრულების შესაძლებლობა... სისხლისსამართლებრივ უმოქმედობაზე ვერ ვისაუბრებთ მართოდ მაშინ, როდესაც სუბიექტს არ მოეპოვებოდა მოქმედების ობიექტური შესაძლებლობა“.²¹ რ. მაურახის შეხედულება თავის თავშივე მოიცავს წინააღმდეგობას: სუბიექტს შეეძლება მოეპოვებოდეს მოქმედების ობიექტური შესაძლებლობა, მაგრამ არ გააჩნდეს ფინალურად მოქმედების უნარი, ურომლისოდაც, თვით ფინალისტების მტკიცებით, დაუშვებელია ქმედების სისხლისსამართლებრივად აღიარება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ რ. მაურახის მიერ ნახსენები „სისხლისსამართლებრივად სავალდებულო მოქმედების შესრულების შესაძლებლობა“ და ამ მოქმედების შესრულების ობიექტური შესაძლებლობა იდენტური ცნებები არ არის, ვინაიდან პირველი ამ უკანასკნელთან ერთად თავად ფინალური მოქმედების უნარსაც მოიცავს. ჰ. ველცელი, რომელიც შედარებით უფრო შორს მიდის თავის შეხედულებებში, გაცილებით უკეთ გამოხატავს თავის პოზიციას. მაგრამ ეს მით უფრო ცხადქმნის, თუ რაზომ რთულია ფინალური მოძღვრების პრინციპთა უმოქმედობისათვის მისადაგება. ჰ. ველცელის „პოტენციური ფინალურობა“ რომ განზრახვას არ უდრის, ეს თვით ველცელისთვისაც ეჭვს არ ბადებს. „პოტენციური ფინალურობა“ ანუ „პოტენციური განზრახვა“ აქ პირობითად გაგებული გაუფრთხილებელი ბრალისა. ამავე დროს, შეიძლება კი დაფუძვით გაუფრთხილებლობის გამოვლინება, რა სახითაც უნდა იყოს იგი, რა უამსაც ვამტკიცებთ, რომ უმოქმედობის ინტელექტუალური მხარისათვის ცოდნის შესაძლებლობა საკმარისი არ არის: ცხადია, მსგავსი ურთიერთგამომრიცხავი ასპექტებით უმოქმედობისას ბრალის სრულყოფილად გრადირება, მისი შინაარსობრივ-სტრუქტურულად ზუსტი გადმოცემა ვერ მიიღწევა.

19 R. Honig, Kausalität und objektive Zurechnung in Festgabe für R. v. Frank, Tübingen 1930, I Bd., S. 191.
20 H. Welzel, Das deutsche Strafrecht, 9. Aufl., Berlin 1965, S. 174.
21 R. Maurach, Deutsches Strafrecht, Allg. Teil. Ein Lehrbuch, Karlsruhe 1954, S. 167.

შვეიცარიელი კრიმინალისტები უმოქმედობის განმსაზღვრელ ორიენტირად სისხლისსამართლებრივი მოვალეობის გამოყოფას მეცადინეობენ. ე. ჰაფტერი²² ნიშნავს: „უმოქმედობის სისხლისსამართლებრივი შეფასება უნდა დაემყაროს იმას, რომ დამდგარი საზიანო შედეგის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო სუბიექტის მართლზომიერი, მოვალეობის შესაბამისი მოქმედების მეოხებით“.²² ო. გერმანის თანახმადაც, უმოქმედობა მხოლოდ მაშინ გაუტოლდება აქტიურ მოქმედებას, თუ სუბიექტს მოვალეობის შესაბამისი მოქმედებით შეეძლო მავნე შედეგის აცდენა.²³ მართალია, შვეიცარიელი კრიმინალისტები ამტკიცებენ, რომ ისინი ამგვარად ვალდებულების მომენტს უსვამენ ხაზს, მაგრამ სინამდვილეში, რის აქცენტირებასაც ისინი ახდენენ, არის არა სისხლისსამართლებრივი მოვალეობა, არამედ სწორედ შედეგი. თუ უმოქმედობასთან მიმართებაში ვალდებულებას განვმარტავთ როგორც პრიორიტეტულ ფაქტორს, მისი დარღვევა უნდა იყოს ბრალეული იმისდა მიუხედავად, შეეძლო თუ არა სუბიექტს მართლზომიერი, მოვალეობის შესაბამისი მოქმედებით საზიანო შედეგის თავიდან აცილება. უფრო მეტიც, ე. ჰაფტერისა და ო. გერმანის დებულებებს ე. წ. ჰიპოთეზური შედეგიანი დელიქტის ყოველმხრივ დეკრიმინალიზაციამდეც მივყავართ (ყოველმხრივობაში ნაგულისხმებია განზრახი და გაუფრთხილებელი ბრალის ოთხივე ქვესახე). როგორც ცნობილია, ჰიპოთეზურ შედეგიან დელიქტად სისხლის სამართალში მიიჩნევა ისეთი დანაშაულებრივი ქმედება, რომლის დროსაც მართლზომიერი ქმედებით გამოწვეული საზიანო შედეგი დადგებოდა სუბიექტის მართლზომიერი ქმედების შემთხვევაშიც. ე. ჰაფტერისა და ო. გერმანის მიხედვით, მოცემული დელიქტი ვერ იქნება დასჯადი სწორედ იმის გამო, რომ მოვალეობის შესაბამისი მოქმედებით ან უმოქმედობით საზიანო შედეგის აცდენა არ მოხერხდებოდა, რითაც ვალდებულების დარღვევა, როგორც ასეთი, პასუხისმგებლობის მიმართ ჰკარგავს დამოუკიდებელ მნიშვნელობას. და ყოველივე ეს მაშინ, როდესაც ხაზი გაესმის სისხლისსამართლებრივი მოვალეობის პრიმატულობას!

ავსტრიელი კრიმინალისტი ფ. ნოვაკოვსკი მიუთითებს: „უმოქმედობა არ არის წმინდად ნეგატიური ცნება, მის შინაარსს თვით შეუსრულებელი მოქმედება ავსებს... ნების შესაბამისობა უმოქმედობისას (ასევე, როგორც მოქმედებისას) ბრალეულობის წინაპირობას არ უნდა წარმოადგენდეს“.²⁴ ფ. ნოვაკოვსკის მიერ მოტანილი „ნების შესაბამისობა“ უცილობლად სურვილის შესაბამისობის მცდარი ეკვივალენტია, სხვაგვარად სრულიად გაუგებარი იქნებოდა, თუ რა აზრის გადმოცემა სურს ავტორს. როგორც წესი, უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულისას სუბიექტს მართლაც არ სურს მავნე შედეგი, რადგან ჩვეულებრივ ის არის არა ამ შედეგის მიზეზთა შექმნის, მისი დაგეგმვის უშუალო ინიციატორი, არამედ მხოლოდ მისგან დამოუკიდებლად მიმდინარე პროცესების შემთხვევითი თვითმხილველი. როგორც მარტივად მისახვედრია, უმეტეს შემთხვევაში იმავე მიზეზთა გამო ვერც ქმედება შეიძლება შეადგენდეს მისი სურვილის ობიექტს. ამიტომ არის, რომ ავტორთა უმეტესობა „უმოქმედობის განზრახვას“ წარმოუდგენელ ცნებად მიიჩნევს.

ყურადღების ღირსია ფონ ვებერის შეხედულებები, რომელიც ერთგან აღნიშნავს: „მოქმედების შესაძლებლობა უმოქმედობის ცნების ნიშანი არ არის... უმოქმედობით ჩადენილი დელიქტების დროსაც ფიზიკური შეუძლებლობა მხოლოდ ბრა-

22 E. Hafter, Lehrbuch des Schweizerischen Strafrechts, Allg. Teil, 2. Aufl., Bern 1946, S. 76.

23 ob. O. A. Germann, Über den Grund der Strafbarkeit des Versuchs, Zürich, Aargau 1914.

24 F. Nowakowski, Das Österreichische Strafrecht in seinen Grundzügen, Graz, Wien, Köln 1955, S. 43.



ლის გამომრიცხველი გარემოებაა“.²⁵ ხოლო სხვაგან ის ასე განმარტავს მოცემული დებულების პრინციპს: „...უნდა ვაგვიჩვენოთ ერთმანეთისაგან ჯერარსობისა და შესაძლებლობის კატეგორიები. შესაძლებლობა ბრალის თავიდათავი პრინციპია. ბრალეულად მოქმედებს ის, ვინც მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ, მიუხედავად იმისა, რომ მას შეეძლო სხვაგვარად ემოქმედა... სისხლისსამართლებრივად სავალდებულო მოქმედების განხორციელების შესაძლებლობაც ამსახი ბრალის პრინციპის ქვეშემთხვევაა და ამიტომ მას მხოლოდ ბრალის საფუძვურზე ვითვალისწინებთ“.²⁶ თვალნათლივ ჩანს, რომ ფონ ვებერის დებულება პრინციპულად ესატყვისება ჩვენს ძიერ შემოწარმოდგენილ პოზიციას. ბრალი უცილოდ შესაძლებლობის კატეგორიას განეკუთვნება და არა ჯერარსობისას. მაგრამ ხერხები, რომლებითაც ფონ ვებერი ამის დასაბუთებას ესწრაფვის, ჩვენთვის მიუღებელია. ის ცდება, როდესაც ბრალს უკავშირებს სისხლისსამართლებრივი მოვალეობის არა ყოველგვარ დარღვევას, არამედ მხოლოდ ისეთს, რომლის დროსაც სუბიექტს „შეეძლო სხვაგვარად ემოქმედა“. **ნორმის ადრესატს ევალუა არა მართლსაწინააღმდეგო, არამედ ბრალეული ქმედების ჩაუდენლობა.** მართლსაწინააღმდეგოა შეურაცხადის მიერ ჩადენილი მკვლელობა, სუბიექტური შეცდომის პირობებში მყოფი შერაცხადი პირის მიერ ჩადენილი სხეულის განზრახ დაზიანება და ა. შ. მსგავს შემთხვევაში ინდივიდს არ შეიძლება დაევალოს სხვაგვარად მოქმედება, რადგან მას არ შესწევს ამის უნარი. მაგრამ თუ პირველ მაგალითში შეურაცხად პირს შევცვლით შერაცხადით, ხოლო მეორეში — გამოვრიცხავთ სუბიექტურ შეცდომას, მივიღებთ ნაცვლად მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა ბრალეულ ქმედებას, სადაც სუბიექტს სავსებით შეიძლება დაევალოს და ევალუა კიდევაც სხვაგვარად მოქმედება, ე. ი. სისხლისსამართლებრივი მოვალეობა სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობას თავის თავშივე შეიცავს. ამრიგად, პირი არღვევს მოვალეობას არა მაშინ, როდესაც მას არ გააჩნია სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობა, არამედ მხოლოდ მაშინ, თუ ის ამ შესაძლებლობას ფლობს. აქედან გამომდინარე, ფონ ვებერს ბრალი უნდა განესაზღვრა როგორც სისხლისსამართლებრივი მოვალეობის ყოველგვარი და არა სპეციალური დარღვევა. მაგრამ ხომ არ ნიშნავს ეს შესაძლებლობის სფეროდან ჯერარსობის სფეროში გადანაცვლებას? რასაკვირველია, არა, ვინაიდან შესაძლებლობა კვლავაც გადამწყვეტ პრინციპად რჩება, თუმც უკვე არა როგორც ვალდებულების მიღმა, არამედ მის ფარგლებში მდებარე ამოსავალი მომენტი.

დასასრულ, შევეხებით ჰ. ველცელის თვალთახედვას, რომელიც ჩვენ მალა გაკვრითლა ვახსენეთ. ის უმოქმედობისთვის დანაშაულის შემადგენლობის შემდეგ ფორმულას გვთავაზობს:

- 1) დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა:
 - ა) განსაზღვრული ვითარების მოცემულობა: დანაშაულის გეგმის არსებობა, უბედური შემთხვევისას თვითმხილველობა და სხვ.;
 - ბ) განსაზღვრული მოქმედების შეუსრულებლობა: დანაშაულის განუცხადებლობა, დახმარების ამოუჩენლობა და სხვ.;
 - გ) დამნაშავის მიერ მოქმედების შესრულების შესაძლებლობა.
- 2) დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობა: დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი სიტუაციის ცოდნა (ცოდნის შესაძლებლობა საკმარისი არ არის. — უმოქმედობა შეიძლება მივიღოთ როგორც შეცნობილად, ისე შეუცნობლადაც).²⁷ ჩვენ,

25 H. v. Weber, Grundriß des deutschen Strafrechts, 2. Aufl., Bonn 1948, SS. 53, 122.
 26 H. v. Weber, Zum Aufbau des Strafrechtssystems, Jena 1935, SS. 17-18.
 27 ჰ. ველცელის დასახ. ნაშრომი, გვ. 446.

ბუნებრივია, არ ვეთანხმებით ჰ. ველცელის მიერ წარმოდგენილ დანაშაულის შეზღვევების სქემას, რამეთუ დანაშაულის შემადგენლობის შინაარსი არ უნდა იყოს ისეოდენ ვრცელი, რომ მან სუბიექტური ელემენტებიც მოიცვას. მაგრამ უშუალოდ ინტელექტუალური მომენტის სისწორეს ეს არ შეეხება. ჰ. ველცელს უცდომლად ესმის, რომ მოქმედებისა და უმოქმედობის გაიგივება ამ მხრივ დაუშვებელია. მაგალითად, განუცხადებლობის დროს დამნაშავეს უნდა სცოდნოდა არსებული დანაშაულებრივი გეგმის შესახებ და არა მხოლოდ ჰქონოდა ასეთი ცოდნის შესაძლებლობა. ამის მიზეზს შეადგენს ის, რომ ცოდნის შესაძლებლობასთან სისხლისსამართლებრივად პირდაპირ არის ასოცირებული წინდახედულობის ვალდებულება. მოქმედებისას სუბიექტი განმსაზღვრელად ზემოქმედებს გარე სამყაროზე, მოძრაობაში მოჰყავს გარეგან პროცესთა მთელი რიგი და ამიტომ მკაცრად უნდა წარმოიდგენდეს თავისი ქმედების, მის ძირითად თუ თანამდევ შედეგთა მართვადობის ხარისხს, ე. ი. ყოველი მოქმედების დროს მას სავსებით საფუძვლიანად ევალება წინდახედულობა. მაგრამ რის მომასწავებელია წინდახედულობის ვალდებულება ყოველი უმოქმედობის დროს? პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ ხიდზე მიმავალი გამვლელი იმდენგზის უნდა გადაეშვას მდინარეში, რამდენ მოზანავესაც თვალს მოჰკრავს, რათა მყარად დარწმუნდეს ამ უკანასკნელთა უსაფრთხოებაში ან სახლის მეპატრონემ ქარის ყოველ ამოვარდნაზე საშურად უნდა შეამოწმოს სახურავის მდგომარეობა, რათა შეუცდომლად გაარკვიოს, რომ გამვლელს არაფერი ემუქრება, ე. ი. სუბიექტი წინდახედულად უნდა იმყოფებოდეს ყოველ წამს და ყველა ვითარებაში, რასაც სისხლის სამართალი მას ვერ მოსთხოვს.

როდესაც ჰ. ველცელი უმოქმედობის როგორც შეცნობილად, ისე შეუცნობლად ჩადენის შესაძლებლობაზე მიგვანიშნებს, ეს უნდა გავიგოთ იმგვარად, რომ მისთვის მართლწინააღმდეგობის შეგნება უმოქმედობის დასჯადობის პირობათაგანი არაა. ეს უდავოდ ასეც უნდა იყოს, რადგან აღნიშნულ რაკურსში მოქმედებასა და უმოქმედობას შორის არავითარი განსხვავება არ მოგვეპოვება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მართლწინააღმდეგობის შეგნების პასუხისმგებლობის წინაპირობად აღიარება უმოქმედობის დროსაც იგივე ძნელად დასაძლევ დაბრკოლებებს ჰქმნის, როგორც ამას მოქმედების დროს ვხვდებით. ამიტომაც დანაშაულებრივი უმოქმედობის სპეციფიცირება აქ ვერაფრით იქნება ნაკარნახევი.



სამოქალაქო და სისხლის სამართალი

თეა ბრეგვაძე

„საქორწინო სელუპაკრულება“ – ეპულლეთა ქონებრივი ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირების საფუძველი

ოჯახურ ურთიერთობათა მტკიცე კავშირს დამაჯერებლად გვიჩვენებს ის, რომ ყოველ ხალხს აქვს ქორწინებისა და ოჯახის შესახებ კანონთა საკუთარი კოდექსი. კოდექსი შეიძლება ჩაწერილი იყოს პაპირუსზე, ან ამოკვეთილი ქვაზე, ანდა შესაძლოა განსახიერებული იყოს რიტუალურ-თეატრალურ მოქმედებაში. ის შეიძლება დადგენილი იყოს დიქტატორის ერთპიროვნული ნებით: „დაე, ასე იყოს!“ ან ტომის საერთო გადაწყვეტილებით და ხალხის კენჭისყრით. მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს ამ კოდექსის შემუშავების გზა, ის ყოველთვის

მოითხოვს საზოგადოების წევრებისგან განუხრელ დაქვემდებარებას. აუცილებელი წესების, დებულების გარეშე პირადი დამოკიდებულებანი გადაიქცეოდა ქაოსად. ქაოსი კი საზოგადოებისათვის ყველაზე საშინელი დამანგრეველი ძალაა. ამიტომ ურჩობა ყოველთვის ასე თუ ისე იკიცხება და ისჯება. ამ დანაშაულისათვის დასჯის ღონისძიებანიც ყოველ ხალხს თავისი აქვს.

ოჯახი მეტად რთული, მრავალწახნაგოვანი სოციალური მოვლენაა. ოჯახის შექმნის ძირითადი საფუძველია ქორწინება.

ქორწინება საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების გარკვეულ საფეხურზე კანონით ან ჩვეულებით ნებადართული კავშირია ქალსა და მამაკაცს შორის, რომელიც აწესრიგებს მათ ურთიერთობას, შვილებისადმი დამოკიდებულებას და განსაზღვრავს თითოეული მათგანის ადგილს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქორწინების წარმოშობა-განვითარების შესახებ მრავალი შეხედულება არსებობს.

ქართული ქორწინებისათვის დამახასიათებელია რთული და ხანგრძლივი პროცესი (წყვილთა დაახლოება, მათი გვარ-ჩამომავლობის გარკვევა, საქორწინო ასაკი, გარიგება, დანიშვნა, ქორწილი). საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ ქორწინებაში არსებითი ცვლილებები მოხდა: მრავალი შეხედულება და რიტუალი მოიშალა, ზოგი ტრადიციული ჩვეულება გარდაიქმნა, ხოლო ზოგიც ახალი წესი დამკვიდრდა.

თანამედროვე ქართულ ოჯახს, სიყვარულის ნიადაგზე ქორწინება და ოჯახის წევრთა თანასწორობა უდევს საფუძვლად, რომლის გარანტიასაც ქართული ოჯახის სიმტკიცე წარმოადგენს, რაც თავისთავად შედეგია ისტორიულად ჩამოყალიბებული ზოგადსაკაცობრიო კულტურის ისეთი ელემენტების სიძლიერით ქართულ ოჯახში, როგორცაა სერიოზული დამოკიდებულება ოჯახის შექმნის საკითხისადმი, მშობლებისა და შვილების, ოჯახის მჭიდრო და მრავალმხრივი კავშირი, ნათესაური გრძნობის სიძლიერე, განსაკუთრებული ზრუნვა ახალგაზრდა თაობის აღსაზრდელად. საოჯახო ურთიერთობა ძალიან რთულია. „ოჯახის წევრთა შორის არსებული ურთიერთობები არ არის უბრალოდ ერთად მცხოვრებ ადამიანთა დამოკიდებულება. მისი წევრები არა მხოლოდ ყოფითი პრობლემებითა და საკითხებით არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, არამედ ეს ურთიერთობები თითოეული მათგანისათვის წარმოშობს გარკვეულ იურიდიულ შედეგებს, რაც თავისთავად მოითხოვს მათ სამართლებრივ მოწესრიგებას“.¹

ოჯახური ცხოვრების იურიდიული ნორმები მოცემულია ოჯახისა და ქორწინების შესახებ კანონთა კოდექსში, რომელიც უფრო დეტალურად განსაზღვრავს ოჯახის წევრების ურთიერთდამოკიდებულების ხასიათს და მათ მოვალეობებს ერთმანეთის მიმართ. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციამ, ეყრდნობა რა ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, ქორწინება დააფუძნა მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობის პრინციპზე. აღნიშნულმა უფლებებმა განსაკუთრებული ასახვა პოვა საქართველოს 1997 წლის 26 ივნისს მიღებულ სამოქალაქო კოდექსში, საოჯახო ურთიერთობებს ამ კოდექსში ეთმობა ერთი წიგნი საოჯახო სამართლის სახით. სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციების ეს ბუნებრივი ნაწილი საბჭოთა სამართალში ამოღებულ იქნა სამოქალაქო კოდექსებიდან და ცალკე კანონით მოწესრიგდა. ამგვარ გადაწყვეტას მხოლოდ იდეოლოგიური მოტივები დაედო საფუძვლად. პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველო პირველი ქვეყანაა,

¹ შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, 1998, გვ. 6.

რომელმაც კვლავ აღადგინა კლასიკური სამოქალაქო კოდექსების ტრადიცია და საოჯახო სამართალს სამოქალაქო კოდექსში მიუჩინა ადგილი.

საოჯახო კანონმდებლობის განახლება დაკავშირებულია ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში მომხდარ ძირეულ ცვლილებებთან. ეს უშუალოდ ეხება საზოგადოების ისეთ სოციალურ ინსტიტუტებს, როგორცაა ქორწინება და ოჯახი. ახალ სამოქალაქო კოდექსში საოჯახო სამართლისათვის ადგილის დათმობა განპირობებულია იმ სიახლეებით, რომლებიც ახალია თვით საოჯახო სამართლისათვისაც. ასეთ არსებით სიახლეს განეკუთვნება საქორწინო ხელშეკრულება (კონტრაქტი).

კერძო საკუთრებითი ურთიერთობების ახალი წესით ჩამოყალიბებამ წარმოშვა მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების ახლებურად გააზრების აუცილებლობა.

სოციალისტურ სამეურნეო ურთიერთობებს სავსებით შეესაბამებოდა მეუღლეთა საკუთრების სამომხმარებლო ხასიათი, რაც სახელმწიფო საკუთრების შინაარსთან თანაფარდობაში მეორეხარისხოვანი იყო. ყოველ მოქალაქეს და მათ შორის მეუღლეებსაც შეიძლებოდა ჰქონოდათ მხოლოდ შრომითი შემოსავალი და ისიც სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმების მიხედვით. არაშრომითი შემოსავალი კონფისკაციას ექვემდებარებოდა და მის მფლობელს ხშირად პასუხისმგებაც ეკისრებოდა. მეუღლეთა ქონება, როგორც საერთოდ ფიზიკურ პირთა ქონება, საყოფაცხოვრებო ხასიათის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალება იყო მხოლოდ. საბაზრო ურთიერთობები კი განსხვავებულ პრინციპებზეა აგებული, რამაც განაპირობა მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეგულირების სახელშეკრულებო წესის შემოღება. კანონის მიხედვით მეუღლეებს შეუძლიათ დადონ საქორწინო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მათ შორის ქონებრივი ურთიერთობების წარმოშობის, შეცვლისა და შეწყვეტის საფუძვლები.

საქორწინო ხელშეკრულებას სოციალისტური სამართალი ამორალურად და „საბჭოთა ოჯახისათვის“ შეუფერებლად მიიჩნევდა მაშინ, როდესაც საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში ეს სავსებით ჩვეულებრივი და ნორმალური მოვლენაა. მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქორწინო ხელშეკრულების დადებას მიმართავენ დასაქორწინებელი და უკვე ქორწინებაში მყოფი პირებიც.

„სამოქალაქო კოდექსი“ ადგენს იგივე წესს, რასაც 1964 წლის „სამოქალაქო სამართლის კოდექსი“ ითვალისწინებს: ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან მეუღლეთა მიერ შეძინილი ქონება შეადგენს მათ თანასაკუთრებას (საერთო საკუთრებას) და თითოეულ მათგანს ამ ქონებაზე თანაბარი უფლებები აქვს. სიახლეს შეადგენს ის, რომ „სამოქალაქო კოდექსი“ მეუღლეებს აძლევს უფლებას დადონ საქორწინო ხელშეკრულება და შეთანხმდნენ, მაგალითად, ერთ მეუღლეს ერგოს ამ ქონების 60%, მეორეს — 40%, ამასთან განსაზღვრონ თითოეული მათგანის მონაწილეობა ოჯახის შემოსავლებსა და ხარჯებში, ე. ი. საქორწინო ხელშეკრულებით მეუღლეები განსაზღვრავენ თავიანთ ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას.

საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე, ისე რეგისტრაციის შემდეგ ნებისმიერ დროს (ქორწინების რეგისტრაცია ხდება მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში დასაქორწინებელ პირთა მიერ არჩეული ადგილის მიხედვით). თუ საქორწინო ხელშეკრულება დადებულია ქორწინების რეგისტრაციამდე, იგი ძალაში შედის

ქორწინების რეგისტრაციიდან. თუ საქორწინო ხელშეკრულება დაიდო წინასწარ, მაგრამ ქორწინება არ შედგა, იგი იურიდიულ ძალას ვერ შეიძენს და არც ერთ მხარეს არ ექნება უფლება მოითხოვოს მისი შესრულება.

კანონის მიხედვით საქორწინო ხელშეკრულების დადება სავალდებულო არ არის, იგი მეუღლეთა ან დასაქორწინებელ პირთა სურვილზეა დამოკიდებული, მაგრამ თუ ხელშეკრულება დაიდება, იგი მეუღლეთა შორის ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების განაწილების სამართლებრივი საფუძველის ხასიათს იძენს და უნდა პასუხობდეს ნებისმიერი ხელშეკრულებისათვის კანონით წაყენებულ ზოგად მოთხოვნებს.

მიმაჩნია, რომ საქორწინო ხელშეკრულების დადება უნდა იყოს სავალდებულო, რომ ხელშეკრულების დადება მოქალაქეთა მოვალეობა გახდეს და არა უფლება. საქორწინო ხელშეკრულება სრულიად ხელსაყრელი და საკმარისი პირობაა მეუღლეთა შორის წარმოშობილი უსიამოვნებებისა და კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად. საქორწინო კონტრაქტი იქნება მეუღლეთა განქორწინების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი საფუძველი.

საქორწინო ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით და დადასტურდეს სანოტარო წესით. მას უნდა გააჩნდეს ნებისმიერი ხელშეკრულებისათვის აუცილებელი რეკვიზიტები — ხელშეკრულების დადების ადგილი და თარიღი, იმ პირთა ვინაობა და საცხოვრებელი ადგილი, რომელთა შორისაც იდება ხელშეკრულება, ხელშეკრულების შინაარსი და ხელშეკრულების მხარეთა ხელმოწერები. საქორწინო ხელშეკრულება, ხელმოწერის შემდეგ, უნდა დადასტურდეს სანოტარო ბიუროს მიერ. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი რჩება სანოტარო ბიუროში, ხოლო თითო-თითო კი მიეცემათ ხელშეკრულების მონაწილე მეუღლებს.

საქორწინო ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, სხვა პირობებთან ერთად, აუცილებელია, რომ მისი მონაწილენი სამართალსუბიექტურნი იყვნენ. „სრული ქმედუნარიანობა იწყება 18 წლის ასაკიდან, დაქორწინება შესაძლებელია 16 წლიდან მშობელთა თანხმობით ან სასამართლოს ნებართვით. ამიტომ ასეთ შემთხვევაში ქორწინების რეგისტრაციამდე საქორწინო ხელშეკრულების დასადასტურებელია არასრულწლოვანი პირის მზრუნველის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ კი თანხმობა საჭირო არ არის, რადგან მექორწინე სრული ქმედუნარიანი ხდება. როცა მშობლები არასრულწლოვანი შვილის დაქორწინების წინააღმდეგი არიან და სასამართლო რთავს დაქორწინების ნებას, ეს არ ნიშნავს, იმას, რომ არასრულწლოვან პირს ამით ქორწინების რეგისტრაციამდე ეძლევა საქორწინო ხელშეკრულების დადების უფლება. ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში სპეციალურად მიუთითებს ამის თაობაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც საქორწინო ხელშეკრულებას დებს სრულწლოვანი შეზღუდულქმედუნარიანი პირი, ქორწინების რეგისტრაციამდე აუცილებელია კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. დაქორწინება შეიძლება საფუძველად დაედოს მისი შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების გაუქმებას“.²

„ქორწინების პერიოდში მეუღლეებმა შეიძლება სხვადასხვა დროს შეიძინონ ესა თუ ის ქონება. მათ უფლება აქვთ არაერთგვაროვანი სტატუსი განუსაზღვრონ თითოეულ მათგანს. ამიტომ, სავსებით შესაძლებელია მეუღლეთა შორის დაიდოს რამდენიმე ხელშეკრულება როგორც უკვე არსებულ, ისე მომავალში შექმნილ ქონებაზე. ამასთან, მათ უფლება აქვთ მხედველობაში არ მი-

2 6. შენგელია, მეუღლეთა პირადი და ქონებრივი უფლება-მოვალეობანი, 1998.



იღონ კანონის მიერ საერთო საკუთრებისათვის დადგენილი რეჟიმი და საკითხი გადაწყვიტონ თავიანთი შეხედულებისამებრ“.³

საქორწინო ხელშეკრულების საფუძველზე მეუღლეებს შეუძლიათ გააერთიანონ მთელი თავიანთი ქონება. ასეთ ქონებაში ჩაირიცხება არა მარტო ინდივიდუალური საკუთრების ობიექტები, არამედ თანაზიარი საკუთრებაც. შესაძლებელია არა მთელი ქონების, არამედ ინდივიდუალური და თანაზიარი ქონების მხოლოდ ნაწილის გაერთიანება. დანარჩენი ნაწილი კვლავ შეინარჩუნებს კანონით მათთვის დადგენილ სამართლებრივ რეჟიმს. რაც შეეხება გაერთიანებულ ქონებას, იგი მეუღლეთა შეთანხმების საფუძველზე, შეიძლება იყოს მათი საერთო საკუთრება როგორც თანაზიარი, ისე წილობრივი ფორმით. თუ საერთოდ უარს იტყვიან მთელი ქონების ან მისი ნაწილის გაერთიანებაზე, მეუღლეებს შესაძლებლობა ეძლევათ ერთად ცხოვრების პერიოდში შექმნილი ქონების ნიმართ დააწესონ წილობრივი ან განცალკევებული ქონების სამართლებრივი რეჟიმი.

საოჯახო კანონმდებლობით მეუღლეთა საკუთრება იყოფა ორ ნაწილად: ინდივიდუალური ანუ განცალკევებული და საერთო თანაზიარ საკუთრებად. მეუღლეთა საერთო თანაზიარი საკუთრებაა მათ მიერ ქორწინების პერიოდში შექმნილი ქონება. ასეთ ქონებაზე მეუღლეების თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი. სხვა საპატიო მიზეზად ჩაითვლება: განათლების მიღება, პროფესიის დაუფლება, ავადმყოფობა და სხვა. საერთო ქონებაზე მეუღლეებს თანაზიარი უფლებები აქვთ და მისი მფლობელობა, სარგებლობა, განკარგვა ურთიერთშეთანხმებით ხორციელდება.

საქორწინო ხელშეკრულების მეშვეობით მეუღლეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ იმ ქონების განკარგვაზეც, რომელიც მათ თანასაკუთრებაში შედის. თუ ერთ-ერთი მათგანი დადებს გარიგებას ქონების განკარგვასთან დაკავშირებით, ჩაგალითად, გაყიდის, გაცვლის, გააჩუქებს ან სხვაგვარად გადაწყვეტს ქონების აურიდიულ ბედს, სასამართლოს მიერ გარიგება შეიძლება გაბათილდეს მეორე მეუღლის მოთხოვნით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქონების განმკარგავ მეუღლეს არ ჰქონდა ამის უფლებამოსილება და დამტკიცებული იქნება, რომ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა ასეთი უფლების არ ქონის შესახებ.

კანონის მიხედვით, თანაზიარი საკუთრება მეუღლეებს ეკუთვნით თანაბრად, წილთა განუსაზღვრელად და გამოიყენება საერთო ინტერესებიდან გამომდინარე. არც ერთს არა აქვს უფლება განკარგოს საერთო ქონება მეორე მეუღლის ნების საწინააღმდეგოდ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ეწინააღმდეგება განკარგვის უფლების ზოგად ცნებას. განკარგვის უფლება გულისხმობს ნივთის, ქონების იურიდიული და ფაქტობრივი ბედის განსაზღვრას მესაკუთრის შეხედულებისამებრ (ნივთის განსხვავებას, გაყიდვას, გაჩუქებას — ნივთის გადაცემას სხვა პირის მფლობელობასა და სარგებლობაში, მის მოსპობას ან არსებითად შეცვლას და სხვა). მაგრამ სამოქალაქო კანონმდებლობის თანახმად, ამ უფლებით სარგებლობენ მეუღლეები, მხოლოდ მას შემდეგ, როცა მოხდება მათი საერთო ქონების გაყოფა. ე. ი. თუ მეუღლეთა საერთო ქონება არ გაიყო, მაშინ წილის განკარგვა (გაყიდვა, გაჩუქება) შეუძლებელი იქნება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმების გარეშე.

3 იქვე.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

შინაურული ანუ საკუთარი ხელით დაწერილი ანდერძი

მოანდერძეს შეუძლია თავისი ხელით დაწეროს ანდერძი და ხელი მოაწეროს. ასეთი წესით შედგენილ ანდერძს შინაურული ანდერძი, ანუ საკუთარი ხელით დაწერილი ანდერძი ეწოდება. ანდერძის ასეთი ფორმით შედგენა განმტკიცებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1364-ე მუხლში, რომლის თანახმად მოანდერძეს შეუძლია შეადგინოს ანდერძი სხვა პირების დაუხმარებლად, მისთვის საამისოდ მოხერხებულ ადგილას და სასურველ დროს. ასეთი წესით შედგენილი ანდერძი, რასაკვირველია, არავითარ ხარჯთან არ არის დაკავშირებული. უფრო მეტიც, ასეთი ფორმით შედგენილი ანდერძისათვის არ არის გათვალისწინებული მისი ოფიციალური დეკონირება. მოანდერძეს არ სჭირდება შინაურული ანდერძის შედგენისას იზრუნოს ანდერძებისათვის დადგენილ ზოგიერთ ფორმალობაზე, რადგან კანონი მოითხოვს მხოლოდ საკუთარი ხელით დაწერილ და ხელმოწერილ ახსნა-განმარტებას. ნების ასეთი გამოხატვა შეიძლება მოცემული იყოს წერილში, უბრალო საწერ ქაღალდზე, ანდა ყველა ზომისა და ფორმის საფოსტო ქაღალდზე. აქ, უმთავრესია, რომ ის შედგეს მთლიან ქაღალდზე და არა ქაღალდის ნაგლეჯზე.

შინაურული ანდერძი დაწერილი უნდა იყოს თვით მოანდერძის მიერ შესწორებების, გასწორებების (გადაშლის) ან სტრიქონებს შორის მინაწერების გარეშე. ამ წესის დაცვა თავიდან აგვაშორებს იმის საშიშროებას, რომ სადაც ასეთი მინაწერი ან სხვა სახის დარღვევები აღმოჩნდება, ანდერძის შესაბამისი განკარგულება ბათილად არ იქნეს მიჩნეული, ე. ი. არ გამოიწვიოს ანდერძის შინაარსის ნაწილობრივი ძალის დაკარგვა. თუმცა ამის გამო, ანდერძი, როგორც მთლიანი საანდერძო განკარგულება, არ შეიძლება ბათილად იქნეს მიჩნეული.

თუ მოანდერძის მიერ საკუთარი ხელით დაწერილი ანდერძი რამდენიმე ფურცლისაგან შედგება, მაშინ თითოეული ფურცელი უნდა მიემარგოს ერთმანეთს რიგითობის მიხედვით, ფურცლობრივ. თუ ანდერძი ბევრი ნახევრად ცარიელი ფურცლისაგან შედგება, მაშინ არ არის აუცილებელი, რომ მოანდერძემ ცალკეულ ფურცელს მოაწეროს ხელი. ანდერძის ტექსტში ჩამატებების თავიდან ასაცილებლად, მიგვაჩნია, რომ უნდა დადგინდეს ფურცელთა შემჭიდროებულობა. მოანდერძემ ანდერძის ტექსტის ბოლოში უნდა მოაწეროს ხელი, ანდა დაწერილი ტექსტი მოათავსოს დახურულ კონვერტში და გარედან დააწეროს საკუთარი გვარი და სახელი.

შინაურული ანდერძის დაწერა შეუძლია ყველა ქმედუნარიან პირს, (თანახმად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლისა), რომელთაც შესწევთ უნარი თვითონ დაწერონ და ხელი მოაწერონ საანდერძო განკარგულების ტექსტს. შესაძლოა, რომ პირი ქმედუნარიანი იყოს, მაგრამ რაიმე ნაკლის გამო (მაგ; სიბრმავე, წერა-კითხვის უცოდინარობა) არ შეეძლოს დაწერილის წაკითხვა ან, საერთოდ, საუბრობდეს, მაგრამ არ შეეძლოს წერა. ვფიქრობთ, ასეთი პირი ვერ შეადგენს ანდერძს და ვერ დააკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც საკუთარი ხელით დაწერილ ანდერძს წაეყენება. თუ პირი გადახატავს დაწერილს, ის ვერ აღიქვამს გადახატულს, რადგან არ იცის წერა. ხოლო ბრძამ შე-



იძლება დაწეროს, მაგრამ ვერ წაიკითხოს დაწერილი. მაგრამ თუ ის ფლობს ბრმათა შრიფტს, მაშინ მას შეუძლია დაწერილის წაკითხვა.

საკუთარი ხელით დაწერილ ანდერძს მოანდერძე ხელს უნდა აწერდეს ტექსტის ბოლოში. ასეთია კანონის მოთხოვნა და ეს მოთხოვნა საერთოა ყველა ქვეყნის კანონმდებლობისათვის, სადაც შინაურული ანდერძი ანდერძის ერთ-ერთ ფორმად არის მიჩნეული. აღნიშნული გვეხმარება იმის გარკვევაში, რომ პირველ რიგში, დადგინდეს მოანდერძის იდენტურობა და მეორე მხრივ, უნდა გამოირკვეს, რომ ლაპარაკია დასრულებულ ანდერძზე და არა ხუმრობაზე ან ანდერძის შედგენის გეგმაზე.

ანდერძის ტექსტზე მოანდერძის ხელმოწერა გვეხმარება თვით მოანდერძის პიროვნების დადგენაში. თავისუფალი ნიშნუში და ხელმოწერა, ბუნებრივია, ერთი და იმავე კალიგრაფიით იქნება შესრულებული და გამოირიცხება სიყალბე ანდერძის ტექსტში. ამავე დროს დგინდება ისიც, თუ რამდენად შეესაბამება მოანდერძის ნაწერი სხვისი დახმარებით შედგენილი ანდერძის ფორმათა მოთხოვნილებებს. მხოლოდ ქაღალდის დაჭერა ან მხოლოდ ხელის მოკიდებაა დასაშვები მოანდერძისათვის დახმარების მიზნით.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, მოანდერძემ, საკუთარი ხელით დაწერილი ანდერძის ნამდვილობის უზრუნველსაყოფად, ანდერძს თვითონ უნდა მოაწეროს ხელი. ამით არა მარტო ისაა მიღწეული, რომ მოანდერძემ თავისი ნება გამოხატა (ამის გაკეთება მას შეეძლო ტექნიკური საშუალებების გამოყენებით), არამედ მან შექმნა ანდერძის ნამდვილობისათვის სარწმუნო წყარო, რომ შემცირდეს ანდერძის გაყალბების საშიშროება. მხოლოდ ინდივიდუალური წერის პროცესით დგინდება ავტორის იდენტურობა. იგივე აზრია განმტკიცებული გერმანიის 1938 წლის კანონში ანდერძების შესახებ, რომ მოანდერძემ ანდერძზე ხელი უნდა მოაწეროს თვითონ.

დაუშვებელია მოანდერძის მიერ ტექსტის მექანიკური საშუალებებით შესრულება (მაგ; ბეჭდვა), რადგან ის არ გვიჩვენებს იმ საჭირო და აუცილებელ ინდივიდუალურ ნიშნებს ნაწერისა და ხელმოწერის შეჯერებისას, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებენ ანდერძის ნამდვილობის დადგენაში.

კონტინენტური ევროპის ქვეყნების კანონმდებლობა გამოირიცხავს ანდერძის ტექსტის მექანიკურ შედგენას. იგივე წყაროზე დაყრდნობით, ირკვევა, რომ მანქანაზე შესრულებული ტექსტი არ დაიშვება.¹

ბრმათა ანბანი (შრიფტი) მხოლოდ მაშინ შეესაბამება ანდერძის ფორმის დაცვის მოთხოვნებს, როცა იგი ბრმათა საბეჭდო მანქანაზე, ე. ი. მექანიკური საშუალებების გამოყენებითაა წარმოდგენილი. ხოლო, ბრმათა მიერ დასმული, საკუთარი სახელისა და გვარის აღმნიშვნელი ხელოვნურად დამზადებული შტამპი სრულებითაც არ ნიშნავს ბრმის ხელისმოწერას ანდერძზე.

თუ სწორი ფორმით შედგენილ შინაურულ ანდერძში სხვა პირის მიერ, ე. ი. არა საკუთარი ხელით, ან საბეჭდო მანქანის გამოყენებით, რაიმე გარიგებაა მითითებული, მაშინ ასეთი ანდერძი ბათილია, რადგანაც უგულებელყოფილია კანონის მოთხოვნა, რაც საკუთარი ხელით დაწერილ ანდერძის შექმნის წესს წაყენება.

მოანდერძეს შეუძლია ანდერძი შეადგინოს მისთვის გასაგებ ენაზე, რომელსაც ფლობს და ხელი მოაწეროს მას. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით,

¹ «Гражданское и торговое право капиталистических государств», М., 1983, стр. 536.

ასეთი ფორმით ანდერძი უნდა შედგეს ქართულ ენაზე და მიგვაჩნია, რომ იგი შედგეს ასევე რუსულ ენაზეც.

გერმანიის კანონმდებლობა ამ მხრივ უფრო შორს მიდის — მოანდერძეს შეუძლია ანდერძი შეადგინოს ნებისმიერ ენაზე, რომელსაც ფლობს. კერძოდ, „ეგზოტიკურ“ ანდა მკვდარ ენაზეც შეადგინოს ანდერძი. მთავარა, რომ მოანდერძეს დაწერილის აზრი ესმოდეს და აზრი შემდგომ (აუცილებლობის შემთხვევაში) ექსპერტის (სპეციალისტის) ქმშვეობით განიმარტოს².

როდესაც ხელმოწერაზე ვსაუბრობ, გასარკვევია საკითხი: ხელმოწერა უნდა გამოიხატებოდეს გვარის და სახელის აღნიშვნაში სრულად (შემოკლების გარეშე) თუ ხელმოწერაში (ფაქსიმილე), თუ სახელისა და გვარის საწყისი ასოების აღნიშვნით?

რადგან ხელმოწერამ უნდა გვიჩვენოს, რომ მოანდერძის ნების გამოხატვა დასრულებულია და ის არის მისი უკანასკნელი სურვილი, ანდერძის დასაწყისში საკუთარი სახელისა და გვარის აღნიშვნა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ანდერძის ბოლოში მოანდერძემ სახელი და გვარი არ დაწეროს, ე. ი. ხელი არ მოაწეროს. თუ ანდერძის დასაწყისში წერია მოანდერძის გვარი და სახელი, მაგრამ არ არის ანდერძის ბოლოში მისი ხელმოწერა, მაშინ ასეთი ანდერძი ბათილია. ჩვეულებრივ, ხელმოწერა ტექსტის ბოლოში უნდა იყოს. არა აქვს მნიშვნელობა ტექსტის დამთავრებიდან რომელ ხაზზე იქნება ხელმოწერა მოთავსებული ან ნაწერის უკიდურესად მარცხნივ იქნება თუ მარჯვნივ შესრულებული.

რასაკვირველია, ასეთ მომენტებს არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭება ანდერძის ნამდვილობის დადგენისას და ბუნებრივია, ანდერძი ძალას არ კარგავს. ამ შემთხვევაში ანდერძის ტექსტი მთლიანობაში სივრცობრივად აღიქმება. თუ ანდერძის ტექსტის ბოლოში არ არის მოანდერძის ხელმოწერა და ამავე დროს ის არის მოთავსებული დახურულ კონვერტში, და ამ კონვერტზე მოანდერძეს საკუთარი ხელით დაწერილი აქვს სახელი და გვარი, ანდერძი ნამდვილია და არავითარი ეჭვის საფუძველი არ არსებობს, რომ ანდერძი ბათილად იქნეს მიჩნეული. იგულისხმება, რომ კონვერტში მოთავსებული ანდერძი ამავე დროს არის მისი ნაწილი და გაგრძელება, საიდანაც ჩანს, რომ მოანდერძეს უზრუნია ანდერძის გარეგნულ ფორმაზე. რაც შეეხება ხელისმოწერას, ის შეიძლება შესრულებული იყოს თავისუფალი ნიმუშის სახით, ხელმოწერით (ფაქსიმილე), ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვებისა და სახელისა და გვარის პირველი საწყისი ასოების აღნიშვნით. მთავარია, რომ ის მართლაც მოანდერძის ხელით იყოს შესრულებული.

დაუხურავ კონვერტზე ხელისმოწერა არ არის საკმარისი, რადგან არ გამოირიცხება იმის საშიშროება, რომ ანდერძის შინაარსი აირიოს. (მოხდეს აკინძული ანდერძის დაშლა ან შესაძლოა ტექსტის რომელიმე ნაწილის გაყალბება). დასაადგენია, ასევე, თუ ანდერძის ტექსტში ხდება მოანდერძის მიერ რაიმე ცვლილების, დამატების შეტანა, ხომ არ სჯობს ასეთ დამატებას ცალკე მოეწეროს ხელი?

ასეთი რამ საჭირო არ არის ნაწერის გადამლისას, რადგან ამ დროს სახეზეა ჩასწორება და ჩანს, რომ ანდერძის შედგენის პროცესი უწყვეტია. როდესაც ანდერძის მთლიანი ტექსტის შეცვლა ხდება მოანდერძის მიერ გარკვეული მოსაზრებით, მაშინ აუცილებელია ანდერძი თავიდან შედგეს. თუ ანდერძს

2 Hans Brox „Erbrecht“ 17., neubearbeitete Auflage, 1998, გვ. 64.

მომავალში რაიმე სახის შინაარსის მქონე ფრაზა დაემატება, მაშინ მშდმ-ტებას ცალკე უნდა მოეწეროს ხელი.

საკუთარი ხელით შედგენილი ანდერძის ნამდვილობის დადგენის მიზნით, აუცილებლად მიგვაჩნია აღნიშნული იყოს მისი შედგენის ადგილი და დრო. თუ ამ დასახელებულ რეკვიზიტებიდან ანდერძს რომელიმე მათგანი აკლია, ანდერძი ძალას არ კარგავს. მაგრამ როდესაც მოანდერძის ქმედუნარიანობის საკითხია დასადგენი, მაშინ ყველა შესაძლო მტკიცების მოშველიებით უნდა მოხდეს ანდერძის შედგენის ადგილისა და დროის დადგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში ანდერძი ძალას კარგავს. იგივე შედეგი გვექნება, როდესაც არსებობს ერთმანეთის საწინააღმდეგო შინაარსის მქონე რამდენიმე ანდერძი და ვერ ხერხდება დროის განსაზღვრა.

შინაურული ანუ საკუთარი ხელით შედგენილი ანდერძი საშუალებას იძლევა გაცილებით იოლად შედგეს იგი და დაცული იყოს მისი საიდუმლოება. იგი, ჩვეულებრივ, ინახება მოანდერძესთან, მისთვის საამისო მოსახერხებელ ადგილას. მიუხედავად ასეთი წესით დაწერილი ანდერძის დადებითი მხარეებისა, მას ამავე დროს გააჩნია ნაკლოვანებებიც. რაც შეიძლება გამოიხატოს ანდერძის დაკარგვაში, განადგურებაში, ასევე მესამე პირის ისეთ მოქმედებაში, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მოანდერძის ნებაზე. ამ მიზნით, მოანდერძემ შინაურული ანდერძი შეიძლება ჩააბაროს ადგილობრივ, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სანოტარო ბიუროს (ნოტარიუსს). ამ შემთხვევაში ანდერძი თავისი ბუნებით იქნება არა საჯარო, არამედ კერძო.

შინაურული ანდერძის ანუ საკუთარი ხელით დაწერილი ანდერძის გათანაბრება ნოტარიალურად დადასტურებულ ანდერძთან, შეუძლებელია, რადგან, ანდერძი, რომლის შედგენაც ხდება ნოტარიუსის (ან სხვა თანამდებობის პირის) მონაწილეობის გარეშე, უფრო ნაკლებ ნდობას იმსახურებს, ამიტომ კანონი ასეთ ანდერძს მკაცრ ფორმალურ მოთხოვნებს უყენებს.

შეუძლებელია არ დაეთანხმო ბ. ნ. ახვლედიანს ამ მოსაზრების გამო. ასევე იმის გამო, რომ მოქალაქემ შესაძლებელია, შეადგინოს რამდენიმე სახის ანდერძი, რომელიც დათარიღებულია ერთი და იმავე რიცხვით, რომელთაგან ერთი სანოტარო ფორმით იყოს შედგენილი, მეორე კი — არა. ასეთ შემთხვევაში უპირატესობა სანოტარო ფორმას უნდა მიეცეს. სანოტარო ანდერძი არ შეიძლება მოიშალოს სხვა სახის ანდერძით.⁴ მაგრამ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ ავტორს იმის გამო, რომ მოანდერძემ შინაურული ანდერძის ტექსტი შეიძლება გადმოსცეს საერთოდ მიღებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, აღონდ ხელმოწერილი უნდა იყოს მოანდერძის მიერ და, რომ ტექნიკური საშუალებების გამოყენებისას ანდერძის შედგენა და მოანდერძის მიერ ხელმოწერა უნდა მოხდეს ორი მოწმის თანდასწრებით.⁵ მიგვაჩნია, რომ შინაურული ანდერძის შედგენისას მოანდერძემ თვითონ დაწეროს იგი საკუთარი ხელით და მოაწეროს მას კიდევ ხელი, რადგან მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ უზრუნველყოფილი იქნეს ავტორის ინდენტურობა ისე, როგორც ეს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §2247 I-ის მიხედვითაა დადგენილი, სადაც გარკვევითაა ჩამოყალიბებული კანონმდებლობის ნება, რომ მოანდერძემ თვითონ მოაწეროს ხელი ანდერძს და ტექსტიც თვითონ დაწეროს, რაც საშუალებას იძლევა მოანდერძემ საკუთარი ნება გამოხატოს, დადგინდეს ავტორის იდენტურობა და შემტირდეს ანდერძის გაყალბების საშიშროება.

3 ზ. ახვლედიანი, მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 1997, გვ. 32.

4 „სამართლის რეფორმა საქართველოში“, თბ., 1994, გვ. 266.

5 ზ. ახვლედიანის დასახ. ნაშრომი, გვ. 32.



კონტინენტური ევროპის ქვეყნების კანონმდებლობა და კერძოდ, გერმანიის 1938 წლის კანონი ანდერძების შესახებ, სავსებით გამორიცხავს ანდერძის ტექსტის შესრულებას ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 969-ე მუხლი ანდერძის შედგენის იმ დასაშვები ფორმებიდან, რომლებიც კანონმდებლის მიერაა დადგენილი, ერთ-ერთ ფორმად ითვალისწინებს საკუთარი ხელით დაწერილი ანდერძის ფორმას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შინაურული ანდერძი შედგეს წერილობითი ფორმით თვით მოანდერძის მიერ, საკუთარი ხელით, რაშიც, გარკვეულწილად, დაგვეხმარება აღნიშნული ქვეყნების მდიდარი გამოცდილება.



თავარ იასუვილი

სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე მასალების წინასწარი შემოწმება

სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის შესახებ მიღებული ცნობების წინასწარ შემოწმებას. ამ შემოწმების მიზანი დანაშაულის სრული გახსნა კი არ არის, არამედ იმ ფაქტობრივი მონაცემების გამორკვევა, რომლებიც მიუთითებენ დანაშაულის ნიშნების არსებობის ან არ არსებობის შესახებ.

რასაკვირველია, თუ დანაშაულის შესახებ მიღებული პირველადი ცნობები შეიცავს საკმაო მონაცემებს, რომლებიც მიუთითებენ დანაშაულის ნიშნების არსებობაზე, ე. ი. უკვე ამ პირველადი ცნობებიდან შემოწმების გარეშეც ნათლად ჩანს დანაშაულის ნიშნების არსებობა, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრა. ასევე, თუ პირველადი ცნობებიდან ნათლად ჩანს, რომ არ არსებობს საქმის აღძვრის საფუძველი ან მოიპოვება რაიმე ისეთი გარემოება, რაც, კანონის თანახმად, გამორიცხავს სისხლის სამართლის საქმის წარმოებას, წინასწარი შემოწმების გარეშეც უარი უნდა ეთქვას სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე. არ მიგვაჩნია სწორად აზრი იმის შესახებ, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მოხდეს დანაშაულის შესახებ მიღებული პირველადი ცნობების წინასწარი შემოწმება.¹ ამასთან, წინასწარ შემოწმებაში ჩვენ ვგულისხმობთ შემოწმებას იმ პროცესუალური საშუალებებით, რასაც კანონი ითვალისწინებს, დასაშვებად მიაჩნია საქმის აღძვრის საკითხის გადასაწყვეტად.

რასაკვირველია, თუ წინასწარ შემოწმებად მივიჩნევთ იმას, რომ საქმის აღძვრაზე კომპეტენტური პირი მიღებულ ცნობებს ეცნობა, სწავლობს, აფასებს, ზაშინ ამ მომენტების გარეშე საერთოდ არავითარი გადაწყვეტილების მიღება არ ჩდება, ყოველ შემთხვევაში, არ შეიძლება მოხდეს. მაგრამ წინასწარი შემოწმების არსისა და შინაარსის ასეთი პრიმიტიული გაგება არ იქნება სწორი.

1. См. Н. В. Жогин, Ф. Н. Фаукуллин, Предварительное следствие, М., 1965, стр. 15.

წინასწარი შემოწმება ნიშნავს, რომ კანონით დადგენილ ვადაში და წესით ხდება მიღებული ცნობების შემოწმება, ხდება დამატებითი გარემოებების გამოკვეთა, რადგანაც პირველად ცნობებში არსებული ფაქტობრივი მონაცემები არ იძლევიან ნათელ წარმოდგენას მოიპოვება თუ არა საქმის აღძვრისათვის საკმარისი საფუძველი. ნათქვამის საილუსტრაციოდ განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი. საგამოძიებო განყოფილებაში შემოვიდა აქტი, შედგენილი სააქციო საზოგადოების ღვინის ქარხნის საწყობის გატეხვის ფაქტის შესახებ. აქტის შედგენაში მონაწილეობდა საწყობის გამგე, ქარხნის დირექტორი და სააქციო საზოგადოების გამგეობის წარმომადგენელი. აქტს დართული აქვს საფინანსო შეწოდებების მასალა, საიდანაც ჩანს, რომ საწყობს აკლია ორი ათასი ლარის ღვინო-მასალები. ამ შემთხვევაში საკმარისია თუ არა მიღებული ცნობა საქმის აღძვრისათვის? ვფიქრობთ, რომ საკმარისია. რასაკვირველია, საქმის შემდგომი ძიების პროცესში შეიძლება დადასტურდეს საწყობის გატეხვის ფაქტი, შეიძლება გამოვლინდეს, რომ საწყობს ჰქონდა დანაკლისი და გატეხვა ინსცენირებულია მისი დაფარვის მიზნით და ა. შ., მაგრამ რა გარემოებებიც უნდა დადგინდეს, პირველადი ცნობები შეიცავს საკმარის მონაცემებს, რომლებიც მიუთითებენ დანაშაულის ნიშნების არსებობაზე. ამიტომ ამ შემთხვევაში საქმის აღძვრის საკითხის გადადებას, მიღებული ცნობების წინასწარ შემოწმებას, დანაშაულის გახსნის ინტერესებისათვის მხოლოდ ზიანის მოტანა თუ შეუძლია.

მაგრამ ავიღოთ მეორე მაგალითი. საგამოძიებო განყოფილებამ მიიღო კერძო მაღაზიის ინვენტარიზაციის აქტი, საიდანაც ჩანს, რომ გამოვლენილია ათასი ლარის დანაკლისი. აქტს ერთვის მაღაზიის გამყიდველის ახსნა-განმარტება, სადაც იგი უარყოფს დანაკლისის არსებობას, მიუთითებს, რომ ინვენტარიზაციის აქტში უსაფუძვლოდ არ მოხვდა მთელი რიგი ფასეულობანი, ხოლო მისი თხოვნა დამატებითი გადამოწმების შესახებ, მაღაზიის მენეჯერს არ მიიღო.

გასაგებია, რომ მოცემულ შემთხვევაში დამატებითი შემოწმების გარეშე შეუძლებელია როგორც საქმის აღძვრის საკითხის გადაწყვეტა, ისევე საქმის აღძვრაზე უარის თქმა. შემოწმების შედეგად შეიძლება გამოირკვეს გამყიდველის ახსნა-განმარტების უსაფუძვლობა, დადგინდეს დანაკლისი თანხის მითვისების, ან გაფლანგვის ფაქტი, ანდა დანაკლისი გამოწვეული იყოს დაუდევრობით. შესაძლებელია აგრეთვე დადგინდეს გამყიდველის განცხადების საფუძვლიანობა, დადგინდეს, რომ ინვენტარიზაცია არასწორად ჩატარდა და სინამდვილეში მაღაზიას დანაკლისი არ გააჩნია. მხოლოდ ამ გარემოებების გარკვევის შემდეგ გახდება ნათელი საქმის აღძვრის თუ არაღძვრის საკითხის გადაწყვეტის საფუძვლიანობა, მაგრამ პირველადი ცნობები თავისთავად, წინასწარი შემოწმების გარეშე, არ იძლევა საფუძველს კატეგორიულად ვამტკიცოთ დანაშაულის ნიშნების არსებობა ან არარსებობა.

მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ როდესაც დანაშაულის შესახებ მიღებული პირველადი ცნობები არ შეიცავს საკმარის მონაცემებს საქმის აღძვრის ან არაღძვრის საკითხის გადასაწყვეტად, უნდა მოხდეს ამ ცნობების შემოწმება.

დანაშაულის შესახებ შემოსული ცნობების წინასწარ შემოწმებას აქვს ერთი მიზანი: გამოარკვიოს საქმის აღძვრის ან არაღძვრის საფუძველი.

წინასწარ ჩატარებული შემოწმების შედეგად შეიძლება აღმოჩნდეს, რომ: შეტყობინებულ ფაქტს სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია; ფაქტს ადგილი ჰქონდა სინამდვილეში, მაგრამ იგი არ არის დანაშაულებრივი ფაქტი; ფაქტს ჰქონდა ადგილი სინამდვილეში, იგი მართლსაწინააღმდეგოა, მაგრამ არსებობს კანონით გათვალისწინებული გარემოება, რაც გამორიცხავს საქმის წარმოებას.

ყველა აღნიშნულ შემთხვევებში წინასწარი შემოწმება მთავრდება საქმის აღძვრაზე უარის თქმით.

წინასწარი შემოწმების შედეგად შეიძლება დადგინდეს დანაშაულის ნიშნების ნამდვილად არსებობა. როგორც კი გამოვლინდება, რომ ნამდვილად არსებობს დანაშაულის ნიშნები და არ მოიპოვება გარემოებები, რომლებიც გამორიცხავენ საქმის წარმოებას, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრა.

პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც დანაშაულის შესახებ მიღებული ცნობებიდან, აგრეთვე ჩატარებული წინასწარი შემოწმების შედეგად მოპოვებული მონაცემებიდან აშკარად ჩანს დანაშაულის ნიშნების არსებობა, მაგრამ საქმის აღძვრას ხელოვნურად აჭიანურებენ, ცდილობენ წინასწარი შემოწმების პროცესშივე გახსნან დანაშაულის ყველა ელემენტი, დაიზღვიონ თავი აღძრული საქმის მოსალოდნელი შეწყვეტისაგან. ამ შემთხვევაში, ფაქტობრივად, ტარდება წინასწარი გამოკვლევა და არა საქმის აღძვრის საფუძვლის გამოვლენა.

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა მიღებულ ცნობებში აშკარად ჩანს დანაშაულის ნიშნები, მაგრამ არ იღებენ გადაწყვეტილებას საქმის აღძვრის შესახებ და ყოველგვარი შემოწმების გარეშე ახდენენ მის ჩამოწერას. 1998 წლის 5 მაისს აბაშის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში მიღებულ იქნა მოქ. ნ.-ის განცხადება იმის შესახებ, რომ მისი არყოფნის დროს მის ბინაში ფანჯრიდან შევიდა მოქ. კ. ამ ფაქტის შემდეგ მან აღმოაჩინა, რომ დაკარგულია 3 ძვირფასი ბეჭედი. აღნიშნული განცხადება შესამოწმებლად დაუწერა უბნის ინსპექტორს, რომელმაც ისე ჩამოწერა განცხადება, რომ არც საქმე აღუძრავს და არც რაიმე შემოწმება ჩაუტარებია.

პრაქტიკაში ძალიან ხშირად ირღვევა დანაშაულის შესახებ მიღებული ცნობების შემოწმებისა და სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა თუ არაღძვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადები. მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 110-ე მუხლის თანახმად, ეს ვადა 10 დღეს არ უნდა აღემატებოდეს. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 265-ე მუხლის თანახმად, საქმის აღძვრის საკითხის გადასაწყვეტად ჩატარებული შემოწმება 7 დღეზე მეტ ხანს არ შეიძლება გაგრძელდეს. ჩვენს მიერ შესწავლილი 45 საქმიდან საქმის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში მიღებული იყო მხოლოდ 12 შემთხვევაში. 18 შემთხვევაში ეს ვადა დაირღვა ისე, რომ არავითარი წინასწარი შემოწმება არ ჩატარებულა.

როგორც აღვნიშნეთ, მთელ რიგ შემთხვევებში საქმის აღძვრის საკითხის გადასაწყვეტად აუცილებელია შემოსული მასალის წინასწარი შემოწმება, როგორ არის ეს საკითხი გადაწყვეტილი კანონმდებლობით? საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 110-ე მუხლის თანახმად, დანაშაულის შესახებ შემოსული განცხადების ან ცნობის გამო შეიძლება გამოთხოვილ იქნეს საჭირო მასალები და მიღებული ახსნა-განმარტება, მაგრამ კოდექსით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედებათა წარმოების გარეშე.

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 265-ე მუხლში მითითებულია, რომ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას შეიძლება წინ უძღოდეს მიღებული ცნობების შემოწმება, რომელიც ხდება არასაპროცესო წესით (ახსნა-განმარტებების მიღების, დოკუმენტების გამოთხოვის გზით).

პირველადი ცნობების შემოწმებისას დასაშვებია მხოლოდ იმ მონაცემების მიღება, რომელთა გარეშე შეუძლებელია სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ან არაღძვრის საკითხის გადაწყვეტა. მოპოვებული უნდა იქნეს უმეტესად



ისეთი ცნობები, რომლებიც ადგენენ უარყოფენ ან აზუსტებენ დანაშაულის ნიშნების არსებობას.

წინასწარი შემოწმებისას კანონს დასაშვებად მიაჩნია მასალების გამოთხოვა და ახსნა-განმარტების მიღება. მიუთითებს რა პირველადი ცნობების შემოწმების პროცესულურ ფორმებზე, კანონი არ გამორიცხავს ამ შემოწმების კონკრეტული მეთოდების მრავალფეროვნებას.

წინასწარ შემოწმებისას პრაქტიკაში ყველაზე უფრო გავრცელებულია მასალების გამოთხოვა. ძალიან ხშირად მიმართავენ დოკუმენტებისა და სხვადასხვა ცნობების გამოთხოვას, მაგალითად, დოკუმენტის ასლის ნაცვლად შეიძლება მოითხოვონ მისი დედანი, აგრეთვე, ავადმყოფობის ისტორია, დახასიათება, ხელფასის ცნობა და ა. შ.

წინასწარი შემოწმებისას ზოგჯერ აუცილებელია ისეთი დოკუმენტების მიღება, რომელთა შედგენა მოითხოვს დამატებითი შემოწმების ან რევიზიის ჩატარებას. მაგალითად, პროკურატურამ მიიღო სიგნალი, რომ სამშენებლო ობიექტზე ადგილი აქვს საფინანსო წესების დარღვევას, ყალბი უწყისების შედგენის შედეგად ხდება სახელმწიფო თანხების მითვისება, ბუნებრივია, რომ მიღებული შეტყობინების საფუძველზე საქმის აღძვრის საკითხის გადაწყვეტამდე უნდა მოხდეს აღნიშნული უწყისების გამოთხოვა და შემოწმება.

წინასწარი ამა თუ იმ დოკუმენტის გამოთხოვა შეიძლება არც იყოს აუცილებელი და საკმარისი აღმოჩნდეს მისი ადგილზე დათვალიერება.

წინასწარი შემოწმების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ზეპირი ან წერილობითი ახსნა-განმარტების მიღებას იმ პირებისაგან, რომელთაც შეუძლიათ საქმის აღძვრის ან არაღძვრის საკითხის გადასაწყვეტად საჭირო დამატებითი ცნობების მოწოდება. მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ახსნა-განმარტებების მიღება ყოველთვის როდია სასარგებლო საქმის შემდგომი ძიების ინტერესებისათვის. რიგ შემთხვევებში ახსნა-განმარტებების მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს შესამოწმებელი ფაქტის გახმაურება, ხელი შეუშალოს დანაშაულის სრულ გახსნასა და დამნაშავეთა მხილებას.

დანაშაულის შესახებ შემოსული პირველადი მონაცემების შემოწმებისას ცალკეულ პირთა დაბარება მიზანშეწონილია მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, მაშინ, როდესაც ამ პირთა ახსნა-განმარტების გარეშე შეუძლებელია სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ან არაღძვრის საკითხის გადაწყვეტა. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ცრუ ახსნა-განმარტების მიცემისა და, ახსნა-განმარტების მიცემაზე უარის თქმისათვის დაწესებული არ არის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

ახალმა საპროცესო კანონმდებლობამ ამ საკითხშიც მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა. როგორც ამჟამად მოქმედი, ისე ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილია, რომ ისეთი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარება, რომელიც ზღუდავს ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს, სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე ტარდება მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით, მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევაში, როცა დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება, ან როცა შეუძლებელია მოსამართლის ბრძანების მიღება მისი ადგილზე არყოფნის გამო, აღნიშნული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების გარეშეც, რის თაობაზეც მოკვლევის ორგანოს უფროსს პროკურორის სანქციით გამოაქვს მოტივირებული დადგენილება. ამასთან, პროკურორი ვალდებულია 24 საათის განმავლობაში აცნობოს ამის შესახებ და მასალები წარედგინოს შესაბამის

მის მოსამართლეს, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას ამ ღონისძიების კანონიერად თუ უკანონოდ ცნობის შესახებ.

უფრო მნიშვნელოვანი სიახლეები კი ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითაა დადგენილი. კერძოდ, ამ კოდექსის 265-ე მუხლში ნათქვამია, რომ წინასწარი შემოწმების საფუძველზე აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიება არ შეიძლება დაევალოს შემმოწმებელს. გაუგებარია, რას ემსახურება ასეთი აკრძალვა? რატომ არ შეიძლება, რომ გამოძიებელმა ან პროკურორმა, რომელმაც ჩაატარა დანაშაულის შესახებ მიღებული ცნობების წინასწარი შემოწმება და აღძრა სისხლის სამართლის საქმე, თვითონვე ჩაატაროს წინასწარი გამოძიება? აღნიშნული დებულების ამოქმედება პრაქტიკაში გამოიწვევს იმას, რომ გამოძიებელი თუ პროკურორი დანაშაულის შესახებ ცნობების მიღებისას თავს შეიკავებს მათი წინასწარი შემოწმებისაგან, რაც უდავოდ გაზრდის სისხლის სამართლის საქმეთა უსაფუძვლოდ აღძვრის შემთხვევებს. ამან კი შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს კანონიერების დაცვის ინტერესებს, გამოიწვიოს ადამიანის უფლებათა უსაფუძვლოდ შეზღუდვა, საგამოძიებო და პროკურატურის ორგანოების შრომისა და ენერჯის უნაყოფოდ ხარჯვა.

საპროცესო კოდექსის აღნიშნული მუხლით სხვა უფრო მნიშვნელოვანი დებულებაცაა დადგენილი. კერძოდ, იქ ნათქვამია, რომ წინასწარი შემოწმებისას მიღებული მასალები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მტკიცებულებად, თუ მათი დამაგრება და გამოკვლევა ამ კოდექსით გათვალისწინებული წესებით არ მომხდარაო. ეს ნიშნავს, რომ თუ სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე წინასწარი შემოწმება მოხდა საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებით, მიღებული მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნას მტკიცებულებად, ხოლო არასაპროცესო მეთოდებით მოპოვებულ მონაცემებს მტკიცებულების პრეტენზია ვერ ექნებათ. ამასთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანია საქმის აღძვრამდე საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების საკითხი. ეს მეტად რთული და სადავო საკითხია და დამოუკიდებელ განხილვას მოითხოვს.



კოლიკარკა (თეზურ) მონიავა

პატივისა და ღირსების შელახვისათვის

სისხლისსამართლებრივი და სამოქალაქო

სამართლებრივი კანონმდებლობის ნორმების

კანონმდებლობის სხვადასხვა დარგის მრავალი სამართლებრივი ნორმა ითვალისწინებს პატივისა და ღირსების დაცვას. წარმოდგენებმა პიროვნების ღირსების შესახებ სამართლებრივი ასახვა პოვეს აღმინისტრაციულ, სამოქალაქო, სისხლის სამართლის ნორმებსა და საქართველოს კანონმდებლობის არაერთ სხვა დარგში.

კანონმდებლობის თითოეული დარგის ნორმებს გააჩნია გამოყენების საკუთარი სფერო და სამართალდარღვევათაგან (მათ შორის, პიროვნების პატივისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართულ სამართალდარღვევათაგან) დაცვის სპეციფიკური ხერხები: შრომის კანონმდებლობა მიმართულია შრომითი პატივის დაცვისაკენ.

სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმების ძალით, გარანტირებულია ნაწა-



რმოების, აღმოჩენების, გამოგონებების ავტორთა პატივისა და ღირსების სამართლებრივი დაცვა. ამასთან, საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, მოქალაქეს აქვს უფლება მოითხოვოს, მისი პატივისა და ღირსების, ასევე საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების სასამართლო გზით უარყოფა, თუ ამგვარ ცნობათა გამავრცელებელი ვერ დაამტკიცებს სინამდვილესთან მათ შესაბამისობას, ადმინისტრაციული კანონმდებლობის ნორმები ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას წვრილმანი ხულიგნობისათვის ანუ მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდებისა და სხვა მსგავსი ქმედებისათვის, რომლებიც არღვევენ მოქალაქეთა სიმშვიდეს, საზოგადოებრივ წესრიგს. კანონი ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ქმედების მკაცრ რეგლამენტირებას. ადმინისტრაციული ზომები კი მოწოდებულნი არიან დაიცვან დაზარალებულთა პატივი და ღირსება.

ანალოგიურად, პიროვნების პატივისა და ღირსების პატივისცემის უზრუნველყოფას ემსახურება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ნორმებიც, რადგანაც პატივისა და ღირსების დამცირება შეიძლება იყოს უხეშობის ან სხვა აკრძალულ ქმედებათა შედეგი მოქალაქეთა დაკითხვის ან მათთვის სხვა პროცესუალური მოქმედებების ჩატარების დროს.

პიროვნების პატივისა და ღირსების დარღვევის ადმინისტრაციულ, სისხლის ან სამოქალაქო სამართალდარღვევად მიჩნევა საზოგადოებრივი საშიშროების მეტნაკლებობიდან გამომდინარე, იწვევს ამ დარღვევის შესაბამისი ნორმებით პასუხისმგებლობას. სამართლებრივ ნორმებში ხსენებული სამართალდარღვევებისათვის სანქციების არსებობას ორგვარი ფუნქცია ეკისრება: სანქციები წარმოადგენენ დამნაშავეთა დასჯის და ამავედროულად ადამიანებში სხვათა პატივისა და ღირსებისადმი პატივისცემის ჩანერგვის საშუალებას. ეს საერთო პრინციპული დებულება, რომელიც შეეხება სამართლის დამსჯელ და აღმზრდელობით როლს, ნათლად გამოიხატა ადმინისტრაციულ, სისხლისა და სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობებში, რომელთა თანახმად, სასჯელი (სანქცია) არა მხოლოდ ჩადენილი დანაშაულის საზღაურია, იგი მიზნად ისახავს სამართალდარღვევათა და მსჯავრდადებულთა გამოსწორებას, ხელახალ აღზრდას, ამასთანავე, სასამართლოს მიერ სამართალდამრღვევისათვის ან მსჯავრდებულისათვის არჩეული სასჯელი არ ამცირებს სამართალდამრღვევის ადამიანურ ღირსებას. სასამართლოს მიერ გათვლისწინებული პასუხისმგებლობის ზომები მიმართულია იქითკენ, რომ გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდის შემდგომ სამართალდამრღვევი პატიოსნად მოეკიდოს შრომას, ზუსტად შეასრულოს კანონები, პატივი სცეს საზოგადოებრივი თანაცხოვრების წესებს, აღარ ჩაიდინოს სამართალდარღვევა. აკისრებს რა პასუხისმგებლობას სამართალდამრღვევს, კანონი აფრთხილებს სხვა ადამიანებსაც, რათა მათ არ ჩაიდინონ მსგავსი ქმედებები, რაშიც ვლინდება კანონის აღმზრდელობითი როლი.

კანონი უნერგავს მოქალაქეებს პატივისა და ღირსების გრძნობას და ამავედროულად იცავს მათ. სხვადასხვა იურიდიული ძალის მქონე საკანონმდებლო აქტები მტკიცედ ატარებენ მოქალაქეთა პირადი ინტერესების, მათ შორის პატივისა და ღირსების, დაცვის ერთიან ხაზს. ისინი თანამიმდევრულად ახორციელებენ კონსტიტუციაში განმტკიცებულ პრინციპებს მოქალაქეთა პირად უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ერთიანი საბჭოური სახელმწიფოს არსებობის გარკვეულ ეტაპზე ადამიანის, როგორც უმთავრესი სოციალური ღირებულების — პატივისა და ღირსების დაცვა ხდებოდა მხოლოდ სისხლის სამართლებრივი ნორმებით.

საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების კვალდაკვალ დაცვის მა-



რტოოდენ ეს ხერხები არაეფექტიანი აღმოჩნდა, რადგანაც სისხლის სამართლის კანონით შესაძლებელი იყო მხოლოდ დამნაშავეის დასჯა, დაზარალებულის რეპუტაციისა და პატიოსანი სახელის აღდგენა კი — არა. ეს უკანასკნელი შესაძლებელი გახდა იმ სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმების შემოღებით, რომლებიც ითვალისწინებენ პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების უარყოფას სასამართლო გზით იმ შემთხვევაში, თუ მსგავს ცნობათა გამავრცელებელი ვერ დაამტკიცებს მათს შესაბამისობას სინამდვილესთან.

პატივისა და ღირსების სასამართლო გზით დაცვის უფლების რეალიზება სადღეისოდ ორი ხერხით ხორციელდება — სამოქალაქო სამართალწარმოებისათვის სარჩელის წარდგენით და ცილისწამების და შეურაცხყოფისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების გზით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე და 138-ე მუხლების შესაბამისად. სამწუხაროდ, მოქმედი კანონმდებლობა არ წყვეტს საკითხს, თუ რა შემთხვევაში შეიძლება პიროვნებამ სასამართლოში შეიტანოს განცხადება დამნაშავეისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე, ან მიმართოს მას სარჩელით, პატივისა და ღირსების სამოქალაქო სამართალწარმოების წესით დაცვის შესახებ. აქედან გამომდინარე, მეტად წინააღმდეგობრივი ხასიათისაა თვით სასამართლო პრაქტიკაც, რაც ხშირ შემთხვევაში ხანგრძლივი დისკუსიებისა და კამათის მიზეზი ხდება.

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. ქალაქ თბილისის სასამართლოს პატივისა და ღირსების დაცვის თაობაზე მიმართა მოქალაქე დ-მ. სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის საფუძველზე ო-სთვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ, მაგრამ სასამართლომ გამოიტანა განჩინება ამ უკანასკნელის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

განსხვავებულ პოზიციაზე დადგა ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლო. მოქალაქე ც-მ მოითხოვა პატივისა და ღირსების დაცვა სისხლის სამართლის წესით. განაცხადა რა უარი საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლით საქმის აღძვრაზე, სასამართლომ მიუთითა მოქალაქე ო-ს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის მიზანშეუწონლობაზე და შესთავაზა ც-ს სამოქალაქო წესით დაეცვა შელახული პატივი და ღირსება.

ისმის კითხვა, რა იყო მიზეზი იმისა, რომ ერთ შემთხვევაში სასამართლომ აღძრა სისხლის სამართლის საქმე ცილისწამებისათვის, მეორეში კი მოქალაქეს სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის გზა შესთავაზა მაშინ, როდესაც განმცხადებელი და მოსარჩელე საწინააღმდეგოს ითხოვდნენ მისგან?

პროკურატურის ორგანოებში მუშაობის პრაქტიკამ და ამ კატეგორიის საქმეთა ანალიზმა შესაძლებლობა მომცა გარკვეული აზრი გამოვთქვა აღნიშნულის თაობაზე.

უპირველეს ყოვლისა, ცალსახად უნდა ითქვას, რომ ცილისწამებისა და შეურაცხყოფის ფაქტების გამო, სისხლის სამართლის საქმეთა აღძვრაზე უარის თქმა, როგორც წესი, ძირითადად, განპირობებულია სამართალდამცავი ორგანოების და სასამართლოების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთმანეთისაგან გამიჯვნის შეცდომის დაშვების შიშით.

სასამართლო პრაქტიკის გაანალიზება და იურიდიულ ლიტერატურასთან მათი შეჯერება იძლევა შესაძლებლობას ხელყოფილა პატივისა და ღირსების სამოქალაქო და სისხლის სამართლებრივი დარღვევების ერთმანეთისაგან გასამიჯნად შევიმუშაოთ შემდეგი რეკომენდაციები:

ცილისწამებისა და შეურაცხყოფის ფაქტების გამო, განცხადება პატივისა

და ღირსების დაცვის თაობაზე სისხლის სამართლებრივი სამართალწარმოების წესით შეტანილი უნდა იქნეს იმ შემთხვევაში, თუ პირის ქმედებაში ადგილი აქვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე და 138-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას, რადგან დაცვის სისხლის სამართლებრივი მეთოდი, პირველ რიგში, ითვალისწინებს დამნაშავის დასჯას სახელმწიფოს სახელით.

სულ სხვა პრინციპებზეა აგებული სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ მოპასუხის მოვალეობას — უარყოს მის მიმართ გავრცელებული ღირსების შემლახავი ინფორმაცია. ფაქტობრივად, აქ საუბარია მოქალაქის დარღვეული უფლებების აღდგენაზე.

სისხლის სამართლის კანონი იცავს პირის პატივსა და ღირსებას, იმ დროს, როდესაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი პატივისა და ღირსების შემლახავი ინფორმაციის უარყოფის სასამართლო გზით მოთხოვნის უფლებას, ფიზიკურ პირებთან ერთად, ანიჭებს იურიდიულ პირებსაც. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის რეპუტაცია შეიძლება დაცული იქნეს მხოლოდ სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმების მეშვეობით, რადგანაც ფიზიკური პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა, იურიდიული პირის რეპუტაციის შელახვის გამო, გამორიცხულია.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა კანონის თანახმად, ეკისრება მხოლოდ ფიზიკურ პირს. სამოქალაქო კანონმდებლობა კი აფართოებს იმ პირთა წრეს, ვინც ვალდებულია უარყოს გავრცელებული ღირსების შემლახავი ინფორმაცია. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, მოპასუხებია პატივისა და ღირსების დაცვის მიზნით, აღძრულ საქმეებში შეიძლება გახდნენ ფიზიკური და იურიდიული პირები. მაგალითად, ჟურნალ-გაზეთების რედაქციები და ა. შ., რომლებიც ადამიანის პატივისა და ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შემლახავ ცნობებს ავრცელებენ. კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, ამგვარ საქმეებთან დაკავშირებით შეტანილი სარჩელები ექვემდებარებიან დაკმაყოფილებას.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა გამორიცხავს ფულად ჯარიმას, როგორც პასუხისმგებლობის ფორმას და ეს მაშინ, როდესაც სამოქალაქო კოდექსში პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის, ასევე, როგორც პირადი ცხოვრების საიდუმლოების და პირადი ხელშეუხებლობის ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში, გათვალისწინებულია მორალური ზიანისა და მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესაძლებლობა.

სისხლის სამართლის კანონს, რომელიც იცავს მოქალაქის პატივსა და ღირსებას, საქმე აქვს დანაშაულთან და მის ნიშანთვისებათა გამოსავლენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება დამნაშავის განზრახვას. ე. ი. განსხვავებას პატივისა და ღირსების ხელყოფის სამოქალაქო და სისხლის სამართლებრივ დარღვევებს შორის დანაშაულის სუბიექტური მხარე, ცილისწამება და შეურაცხყოფა განზრახ ჩადენილი დანაშაულებია. ცილისწამებისა და შეურაცხყოფის შესახებ დანაშაულთა შემადგენლობა ითვლისწინებს პირდაპირი განზრახვის არსებობას მეორე პირის სახელის გამტეხი მონაჭორის გავრცელების დროს (საქ. სსკ. 137-ე მუხ.) ან პიროვნების პატივისა და ღირსების შელახვის უწესო ფორმით გამონატვის შემთხვევაში (საქ. სსკ. 138-ე მუხ.).

მსგავსი ქმედებები ბრალისაგან დამოუკიდებლად კი შეიძლება მიჩნეულ იქნეს სამოქალაქო სამართალდარღვევად და პატივისა და ღირსების ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში, დაზარალებულმა სასამართლოს უნდა მიმართოს სამოქალაქო სამართლებრივი უფლების დასაცავად.



ასეთივე წესი ვრცელდება იმ შემთხვევაზეც, თუ პატივისა და ღირსების შემლახავი, სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობების გამავრცელებელი პირი კეთილსინდისიერად ცდებოდა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის შესაბამისად, მას არ შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ცილისწამებისათვის, ქმედებებში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო, საქმე კი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

სამოქალაქო კანონმდებლობა, სისხლის სამართლისაგან განსხვავებით, პატივისა და ღირსების შემლახავი ინფორმაციის უარყოფას ავალდებულებს პიროვნებას, როგორც წინასწარი განზრახვის არსებობის დროს, ასევე კეთილსინდისიერი შეცდომის შემთხვევაშიც, რაც ხელს უწყობს მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ეფექტიან დაცვას.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ სისხლის სამართლებრივი წესით დაცული, პიროვნების სახელის გამტეხი შეგნებული მონაჭორის გავრცელებას (ცილისწამებას) და უწესო ფორმით გამოხატულ დამცირებას (შეურაცხყოფას), პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობებისაგან ანუ სამოქალაქო სამართალდარღვევებისაგან, ზემოთ უკვე მითითებულ მომენტებთან ერთად, უწინარესად, განასხვავებს მათი სოციალური საშიშროების მაღალი ხარისხი. აღნიშნულს ადასტურებს შემდეგი:

სკოლის დირექტორმა ნ-მ წერილი გაუგზავნა განათლების მინისტრს იმის თაობაზე, რომ ფიზიკის მასწავლებელი კ. არ შეეფერებოდა დაკავებულ თანამდებობას, ხშირად არაფხიზელ მდგომარეობაში ცხადდებოდა სკოლაში და გაკვეთილებს ატარებდა დაბალ პროფესიულ დონეზე.

კ-მ მიმართა სარჩელით სასამართლოს და მოითხოვა ნ-ს წერილში მოყვანილი ცნობების უარყოფა, რომლებიც ლახავდა მის პატივსა და ღირსებას, ვინაიდან სკოლის დირექტორმა წერილში გავრცელებული ცნობების სინამდვილესთან შესაბამობა ვერ დაამტკიცა, სასამართლომ მას დააკისრა კ-ს პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების უარყოფა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნ-მ განათლების სამინისტროში გაგზავნა მეორე წერილი, რომელშიც ავტორი იტყობინებოდა, რომ წინა წერილში მოტანილი ფაქტები კ-ს მიმართ, სინამდვილეს არ შეესაბამებოდა.

მიუხედავად ამისა, სკოლის დირექტორმა ვერ შესძლო შესაბამისი დასკვნების გაკეთება. ახლა უკვე პროკურორის სახელზე გაგზავნილ წერილში მან სახელის გამტეხი შეგნებული მონაჭორით ჩირქი მოსცხო მასწავლებელს. დირექტორი წერდა, რომ ფიზიკის მასწავლებელი კ. ნარკომანია, რომელიც ფულს სძალავს მოსწავლეების მშობლებს და სქესობრივ კავშირზე დაიყოლია მოსწავლე გოგონა.

თუ პირველ შემთხვევაში კ-ს უფლება ჰქონდა სარჩელით მიემართა სასამართლოსთვის შელახული უფლების დასაცავად, პროკურორისათვის ნ-ს მიერ გაგზავნილ წერილში მოყვანილ ფაქტთა დაუმტკიცებლობის გამო, დღის წესრიგში დადგა სკოლის დირექტორის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის საკითხი ცილისწამების ბრალდებით.

აღნიშნულმა მაგალითებმა გვიჩვენა, რომ პროკურორის სახელზე სკოლის დირექტორის წერილში მოყვანილმა ცნობებმა შეგნებულად სახელის გამტეხი მონაჭორის სახე მიიღო და აქედან გამომდინარე, სოციალური საშიშროების მაღალი ხარისხი შეიძინა, რაც პატივისა და ღირსების წინააღმდეგ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულის — ცილისწამების შემადგენლობის არსებობის დადასტურებაა. ამრიგად, სახელის გამტეხი მონაჭორიცა და პატივისა და

ღირსების უწყსო ფორმით გამოხატული დამცირებაც, ისევე, როგორც პატივის და ღირსების შელახვა ადამიანის რეპუტაციას ხელყოფს, მაგრამ პირველ შემთხვევაში იგი სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველია, მეორეში კი — სასამართლოში სარჩელის შეტანისა.

პიროვნების პატივისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული სისხლისა და სამოქალაქო სამართალდარღვევათა სახეების გამიჯვნის საშუალებას იძლევა ასევე ის, რომ სისხლის სამართლებრივისაგან განსხვავებით, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით პატივისა და ღირსების დაცვის შესახებ სარჩელით მიმართვა შესაძლებელია ცილისწამებისა და შეურაცხყოფისათვის სისხლის სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგაც, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ამნისტიის აქტის ამოქმედებისას (ამნისტია, წესისამებრ, ყოველთვის ვრცელდება ცილისწამების და შეურაცხყოფის გამო აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებზე), მართებულია სასამართლოსთვის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მიმართვა. ამნისტიის აქტის გავრცელება გარკვეული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებზე არ ახდენს ზემოქმედებას პატივისა და ღირსების დაცვის შესახებ შეტანილი სასარჩელო განცხადებების განხილვის წესზე, რადგანაც სამოქალაქო საქმეებზე ამნისტიის აქტი არ ვრცელდება.

პატივისა და ღირსების დაცვის ხერხს, თვით დაზარალებული ირჩევს. ზემოთ მოყვანილ მაგალითებში, ქ. თბილისის სასამართლომ მოქალაქე დ.სა და ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლომ მოქ. ც-ს შემთხვევებში თავისი შეხედულებისამებრ შეცვალა ისინი. აქედან გამომდინარე, ლოგიკურად იბადება კითხვა, აქვს თუ არა სასამართლოს ამის უფლება? რა თქმა უნდა, აქვს. თუ სასარჩელო განცხადებაში აღწერილ მოპასუხის ქმედებებში თავს იჩენს საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები, სასამართლო ატყობინებს ამის შესახებ პროკურორს ან თავად აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს. სხვა შემთხვევაში ანუ სისხლის სამართლებრივი დანაშაულის ნიშნების არარსებობისას კი სასამართლო განუმარტავს დაზარალებულს სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნით სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლების შესახებ.

დაბოლოს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავება სისხლისა და სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას შორის პატივისა და ღირსების დაცვის საკითხში არ წარმოშობს მათ შორის დაპირისპირებას, პირიქით, სამოქალაქო კანონმდებლობაში პატივისა და ღირსების დაცვის შესახებ ნორმის შეტანამ მნიშვნელოვანწილად გააფართოვა პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის სამართლებრივი შესაძლებლობები. ეს განსაკუთრებით იგრძნობა საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლთან მიმართებაში. ამ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმე თუ რაიმე მოტივით შეწყდება ან გამოტანილი იქნება გამამართლებელი განაჩენი, აღნიშნული გარემოება არ უქმნის დაბრკოლებას დაზარალებულს მიმართოს სარჩელით სასამართლოს და აღიდგინოს შელახული პატივი და ღირსება.



ამირან კობახიძე

**საზღვარ ნავსადგომთა საღებრობში (პორტებში)
სასელფიზო და საზოგადო ქონების დატაცების
გამოკიდების მეთოდების საკითხები***

ზშირად დატაცებაში ექვემდებარებილი საზღვარ პორტის თანამშრომლები (მატერიალურ-პასუხისმგებელი პირები) აცხადებენ, რომ ტვირთის დატვირთვის და გაგზავნის პროცესი იმდენად სასწრაფოდ ხდებოდა, რომ დრო არ ჰქონდათ ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმებისათვის ყველა იმ პირობების დაცვით, რასაც კონოსამენტის შედგენა ითვალისწინებს. საყურადღებოა, რომ საზღვარ კოდექსის 120-ე მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულია, რომ ტვირთის გადამზიდავს შეუძლია კონოსამენტის ან საზღვარ ზედნადების ნაცვლად გამგზავნის მისცეს სხვა საბუთი, რომელიც დაადასტურებს გადასაზიდავი ტვირთის მიღებას, მის სახეს და წონას. ყველა შემთხვევაში საზღვარ კანონმდებლობა (საზღვარ წესდება თუ დებულებანი) ავალდებულებენ გამგზავნის, ე. ი. ბათუმის თუ ფოთის პორტების მატერიალურ პასუხისმგებელ პირებს შეადგინონ კონოსამენტი. სწორედ გამგზავნი არის ვალდებული აღნიშნული დოკუმენტის შედგენისა, მაგრამ თუ კონოსამენტში შეტანილი იქნება არასწორი, არაზუსტი ან არასრული მონაცემები, ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება გამგზავნის და არა გადამზიდავს. როგორც პრაქტიკამ ცხადყო, ტვირთის გამგზავნის თავეს არიღებენ კონოსამენტის შედგენას იმის გამო, რომ მასში დეტალურად არის აღწერილი ყოველივე, რაც დაკავშირებულია ტვირთის გაგზავნის ოპერაციასთან². გარდა ზემო აღნიშნული პირობებისა და წესებისა, რაც დაცული უნდა იქნეს პროდუქტის მიღების თუ გაგზავნის დროს, გამომძიებლისათვის აუცილებელია გარკვევა და დადგენა იმისა, თუ როგორი წესების დაცვით ხდება კონოსამენტის გადაცემა.

2. კონოსამენტში აღნიშნული უნდა იყოს: ა) ტვირთის მახასიათებლები, ტვირთის იდენტიფიკაციისათვის აუცილებელი ძირითადი მარკები, ტვირთის სახიფათო ან განსაკუთრებული თვისებების პირდაპირი მითითება, ადგილებისა ან საგნების დატვირთვის წონა ან რაოდენობა, ამასთან ყველა მონაცემები მითითებული უნდა იყოს ტვირთის გამგზავნის მიერ წარმოდგენილი სახით; ბ) ტვირთის გარეგნული სახე; გ) ტვირთის გადამზიდავის დასახელება და მისი ძირითადი საწარმოო მისამართი; დ) ტვირთის გამგზავნის დასახელება; ე) ტვირთის მიმღების დასახელება (სახელობითი კონოსამენტი), ტვირთის გაცემა დასახელებული პირის ბრძანებით (საერთაშორისო კონოსამენტი) ან ტვირთის გაცემა კონოსამენტის წარდგენაზე (კონოსამენტი წარმოდგენაზე); ვ) დატვირთვის ნავსადგური ტვირთის საზღვარ გადაზიდვის ხელშეკრულების თანახმად და გადამზიდავის მიერ ტვირთის გემზე მიღების თარიღი; ზ) გადმოტვირთვის ნავსადგური ტვირთის საზღვარ გადაზიდვის ხელშეკრულების თანახმად; თ) კონოსამენტის დედნების რაოდენობა, თუ ის ერთზე მეტია; ი) მითითება იმის შესახებ, გადაზიდვა რეგულირდება „კონოსამენტის ზოგიერთი წესის უნიფიკაციის შესახებ“ 1924 წლის საერთაშორისო კონვენციით, თუ „ვაეროს“ 1978 წლის კონვენციით („ჰამბურგის წესები“); კ) ფრახტის ის ოდენობა, რომელიც უნდა გადაიხადოს ტვირთის მიმღების ან მის მიერ ფრახტის გადახდასთან დაკავშირებით სხვა მითითება, ასევე მითითებულ უნდა იქნეს კონოსამენტის გაცემის ადგილი და თარიღი. დაბოლოს, კონოსამენტში აღინიშნება ტვირთის გადამზიდავის ან მისი სახელით მოქმედი პირის ხელმოწერა.

* დასასრული. დასაწყისი იხ. ჟურნ. „სამართალი“, № 1, 1999.



მიღებულია, რომ სახელობითი კონოსამენტი შეიძლება გადაეცეს მხოლოდ სახელობითი გადასაცემი წარწერით ან სხვა რომელიმე ფორმით, რომელიც შეესაბამება გადაცემისათვის დადგენილ წესს, ხოლო საორდერო კონოსამენტი შეიძლება გადაეცეს სახელობითი ან საბლანკო გადასაცემი წარწერით.

სასამართლო და საგამომიებო პრაქტიკის განზოგადოებამ დაადასტურა, რომ დატყვევებები ხშირად შეგნებულად არღვევენ ამ წესს, რითაც შესაძლებელი ხდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში დანაშაულებრივი ქმედების დაფარვა. მაგალითად, 1997 წლის 18 ივლისს ფოთის ნავსადგურის საწყობის თანამშრომელთა მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე დიდი ოდენობით ხორბლის დატყვევის თაობაზე, როგორც დადგინდა, აღნიშნულ დანაშაულებრივ ქმედებას ადგილი ჰქონდა 1996 წლიდან, საწყობის მატერიალურ პასუხისმგებელ პირთა მხრივ, მაგრამ ფაქტი დატყვევისა გამოვლინდა რამდენიმე წლის შემდგომ, რადგან ჩატარებულმა კვარტალურმა რევიზიებმა და შემოწმებებმა დანაკლისი ან ზედმეტობა ვერ აღმოაჩინეს. მიზეზი კი, როგორც შემდგომ წინასწარმა გამოძიებამ დაადგინა, იყო ის, რომ პროდუქციის მიღება და გადმოტვირთვა ხდებოდა არა წესების დაცვით და სათანადო დოკუმენტაციის გაფორმებით, არამედ დარღვევებით, თვით საწყობის პასუხისმგებელი პირების თვითნებურად შემოღებული აღრიცხვით, ერთი სიტყვით, უგულებელყოფილი იყო ელემენტარული აღრიცხვა-ანგარიშგების წესი. მაგალითად, გადმოტვირთულ ხორბალზე, რომელიც უნდა გაგზავნილიყო თბილისში, არ იყო შედგენილი არც სახელობითი კონოსამენტი და არც საორდერო. ამის შედეგად შეუძლებელი იყო იმის გაკონტროლება, თუ რეალურად რა რაოდენობის ხორბალი გადმოიტვირთა და გაიგზავნა პორტიდან დანიშნულებისამებრ, ვინ იყო პასუხისმგებელი მის მიღება-გადაზიდვაზე, რა რაოდენობის ავტო თუ სარკინიგზო ვაგონი იყო დაკავებული მისი ტრანსპორტირებისათვის. ეს მონაცემები უმოკლეს დროში დადგინდებოდა, ფოთის პორტში პროდუქციის მიმღებს რომ შეედგინა კონოსამენტი. როგორც შემდგომ წინასწარმა გამოძიებამ დაადგინა, კონოსამენტი ხორბლის გადმოზიდვაში გადასცა პროდუქციის მიმღებს ფოთში, მაგრამ ამ უკანასკნელმა იგი შეგნებულად გაანადგურა დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით. საქართველოს საზღვაო კოდექსის 127-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ ტვირთის გამგზავნი ვალდებულია დროულად გადასცეს გადამზიდავს ტვირთთან დაკავშირებული ყველა საბუთი ნავსადგურის საბაჟოს და სხვა ადმინისტრაციული წესების მოთხოვნათა შესაბამისად. ამასთან, კანონმდებელმა დააწესა პასუხისმგებლობა გადამზიდვის წინაშე საბუთების დაგვიანებით გადაცემისათვის, არასწორად ან არასრულად შედგენისათვის.

ბათუმის საზღვაო სადგურში 1998 წლის მთელი ნოემბრის განმავლობაში საქართველოს გემებზე იტვირთებოდა უცხო სახელმწიფოსათვის გასაგზავნი ციტრუსი. შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. ბათუმის სამმართველოში შემოსული სიგნალების საფუძველზე შემოწმდა გაგზავნის წესების დაცვის და სახელმწიფო ბაჟის გადახდის სისწორე. გაირკვა, რომ არც ერთ შემთხვევაში გამგზავნების მიერ არ იყო დაცული ტვირთის დადგენილი წესით გაფორმება და მათი უსაფრთხოდ ჩატანა დანიშნულებისამებრ, რის გამოც დაფიქსირდა ისეთი შემთხვევები, როდესაც გასაგზავნად გამზადებული ტვირთი, გემებიდან უკანვე იქნა დაბრუნებული. გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს საზღვაო კოდექსის 124-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებია ნავსადგურიდან გემის გასვლამდე ტვირთის უკან დაბრუნება და მისი შემოწმება. ასეთი საშუალებით, გამოძიებას უხდება დადგენა იმ მონაცემების შესაბამისობისა (წონა, ზომა, ხარისხი და ა. შ.) მონაცემებთან, რომლებიც გასაგზავნი ტვირთის კონოსამენტში ან ტვირთის ზედ-



დებულში არის მითითებული. ამდგვარი ღონისძიების გატარება გამოძიებას მოუხდება იმ შემთხვევაში, როდესაც საზღვაო ხანაოსნო სადგურიდან ტვირთის გაიგზავნება ნაკლები ოდენობის ან შეუსაბამო ხარისხის. რა თქმა უნდა, ასეთი ოპერაციის ჩატარება სირთულეებთან არის დაკავშირებული, მაგრამ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, ეს აუცილებელია.

გამომძიებელი, რომელიც დაკავებულია საზღვაო ნავსადგომის მუშაკების მიერ ქონების დატაცების საქმეთა გამოძიებით, აუცილებლად უნდა ერკვეოდეს ყველა იმ წესებსა და პირობებში, რაც დაკავშირებულია არა მარტო მიღებული ან შენახული ტვირთის აღრიცხვასა და ანგარიშგების თავისებურებაში, არამედ მათთან დაკავშირებულ მომიჯნავე ოპერაციებშიც, კერძოდ პირდაპირ ან არა-პირდაპირ შეიძლება აისახოს გამოძიებისათვის საინტერესო მონაცემები. 1998 წლის ივლისში აჭარის შინაგან საქმეთა ქ. ბათუმის სამმართველომ შეიტყო, რომ საზღვაო სადგურიდან გასულ გემზე, რომელიც დატვირთული იყო ნავთობით, არ იყო იმ რაოდენობის საწვავი გადაცლილი, რაც აღინიშნებოდა ბათუმის საზღვაო სადგურის მატერიალურ პასუხისმგებელი პირის კონოსამენტიით. ვინაიდან გემი გასული იყო ნავსადგომიდან, ცხადია, ეს გამოძიების წარმართვის დამბრკოლებელ გარემოებად იქნა მიჩნეული და ამ შეტყობინებას რეაგირება არ იქცა. აღნიშნული კაზუსი, ცხადია, აყენებს კითხვას: როგორ უნდა მოიქცეს გამომძიებელი ასეთ შემთხვევებში?. არის თუ არა გამოსავალი და როგორი?. როდესაც საზღვაო სადგურიდან გემი ყველა დოკუმენტაციით გასულია, რთულია ადგილზე რაიმე რეალურ შემოწმებაზეც იფიქრო და შედეგს მიაღწიო, თუ არ მოხდა თვით გემის შემობრუნება, ანდა დახვედრა ტვირთის გადაზიდვის ადგილზე და არ შედარება ყველა მონაცემებისა, რეალურად გადაგზავნილ და მიღებულ პროდუქციასთან. ასეთი შემთხვევები კი, იშვიათობაა, მიუხედავად ამისა, ერთი გარემოება, რომელიც აუცილებელ გარკვევას და დადგენას ექვემდებარება, ეს არის დანაკლისის რაოდენობა. გამოძიების მხრივ აღნიშნული მონაცემების დადგენა უნდა მოხდეს, არა მარტო გასაგზავნ ნავსადგურში დოკუმენტების მონაცემებში ფიქსირებული რაოდენობის აღნიშვნით, არამედ ტვირთის საბოლოო გადმოტვირთვის ადგილზე რეალურად მიღებული ოდენობის განსაზღვრით. თუ პროდუქცია გადაზიდვის დროს თვით გემზე გაფუჭდა, ან დაიღვარა, რასაც ხშირად აქვს ადგილი ტრანსპორტირების დროს, მაშინ პასუხისმგებლობა ეკისრება გადამზიდავს. აღნიშნული ვალდებულება გადამზიდავს ეკისრება თანახმად საზღვაო კოდექსის 156-ე მუხლის შესაბამისად, სადაც მითითებულია, რომ: „გადამზიდავი პასუხს აგებს გემზე მიღებული ტვირთის დანაკლისისათვის ან დაზიანებისათვის, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ დაკარგვა, დანაკლისი ან დაზიანება გამოწვეულია მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით“.

კანონის ეს მოთხოვნა გამომძიებელს საშუალებას აძლევს მოსთხოვოს გადამზიდავს პასუხი, ცხადია, თუ აღმოჩნდა დანაკლისი. ასეთი მოთხოვნის კატეგორიულობა ხშირ შემთხვევაში კარგ შედეგს იძლევა, იმდენად, რამდენადაც გადამზიდავი თავისი ჩვენებით ამხელს პროდუქციის დამტაცებელ სხვა პირებსაც.





გივი ყვარელაშვილი

**დანაშაულის განუცხადებლობის შესახებ კანონის
სრულყოფის ზომიერითი საკითხი**

დანაშაულის განუცხადებლობა სისხლის სამართლის კანონმდებლობის მნიშვნელოვანი ინსტიტუტია. მისი სახით, სახელმწიფო ახორციელებს სპეციალური პრევენციის ღონისძიებებს. აქ მიზნად ისახება მოსალოდნელი დანაშაულის თავიდან აცილება და იმ პირებზე პასუხისმგებლობის გავრცელება, რომლებმაც პასიურობით ხელი შეუწყვეს დანაშაულის რეალიზაციას.

უნდა ითქვას, რომ დანაშაულის განუცხადებლობის ინსტიტუტის კრიმინალიზაცია ან დეკრიმინალიზაცია არსებით შემოქმედებას ახდენს ოპერატიულ სამძებრო საქმიანობაზე. თუ კანონი არ განსაზღვრავს იმ დანაშაულთა ნუსხას, რომელთა განუცხადებლობა იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, მაშინ ფართოვდება იმ პირთა წრე, ვისაც შეუძლია არ განაცხადოს დანაშაულის შესახებ და ამიტომ არ აგოს პასუხი. ასევე სერიოზულ სირთულეებს ქმნის განუცხადებლობის ინსტიტუტის ქარბი კრიმინალიზაცია, რადგან ხელი ეხსნება უსაფუძვლო რეპრესიებს.

ყოველივე აღნიშნულიდან ჩანს, რომ დანაშაულის განუცხადებლობის დასჯადობის საკითხი გულდასმით შესწავლას მოითხოვს.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დანაშაულის განუცხადებლობა ვრცელდება დანაშაულთა გარკვეულ წრეზე, კერძოდ სისხლის სამართლის კოდექსის 206-ე მუხლის თანახმად, განუცხადებლობად ითვლება ისეთი მოქმედება, როდესაც ცნობილია, რომ ჩადენილია (ან ჩადენის სტადიაშია): განზრახ მკვლელობა, გაუპატიურება დამამძიმებელ გარემოებებში, ადამიანის მოტაცება ან თავისუფლების სხვაგვარად უკანონოდ აღკვეთა, მძევლად ხელში ჩაგდება, ქურდობა დამამძიმებელ გარემოებებში, გაძარცვა დამამძიმებელ გარემოებებში, ყაჩაღობა, სხვისი ქონების გატაცება მითვისებით, გაფლანგვით ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით დამამძიმებელ გარემოებებში, თაღლითობა დამამძიმებელ გარემოებებში, სხვისი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცება, ქრთამის აღება, მიცემა და მექრთამეობაში შუამავლობა დამამძიმებელ გარემოებებში, კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება, პოლიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა; ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცება, რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის, საჰაერო, საზღვაო ან სამდინარო ხომალდის გატაცება, სატრანსპორტო დაწესებულების თუ ტვირთის ხელში ჩაგდება, რადიოაპტიური მასალების უკანონო შექმნა, შენახვა, გამოყენება ან დაშლა, რადიოაპტიური მასალების გატაცება, ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა გასაღების მიზნით, აგრეთვე უკანონო გასაღება დამამძიმებელ გარემოებებში, ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცება, ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ან ყაჩაღური თავდასხმით, ან დიდი ოდენობით.

პენიტენციალური პრაქტიკის თვალსაზრისიდან, აღნიშნული ნორმა არაა სრულყოფილი, რადგან არ ითვალისწინებს პატიმრობიდან ან თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილიდან გაქცევის ფაქტის განუცხადებლობას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 203-ე მუხლი დანაშაულად მიიჩნევს პირის გაქცევას პატიმრობიდან ან თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილიდან.

განუცხადებლობისათვის ამ დანაშაულის პასუხისმგებლობის არარსებობა, წარმოშობს სერიოზულ სირთულეებს, რის გამოც პრაქტიკაში გამოძიების მიერ ვერ ხერხდება იმ პირთა (მსჯავრდებულთა) პასუხისგებაში მიცემა, ვინც არ განაცხადა მოსალოდნელი დანაშაულის შესახებ (მიწისქვეშა გვირაბების გათხრა, დაცვის სამსახურზე თავდასხმის მომზადება და სხვა).

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 206-ე მუხლით უნდა დაწესდეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა არსებული კოდექსის 203-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა განუცხადებლობისათვის.



ლელა ჯანაშვილი

მსპანეთის რეგიონალიზმის ტენდენციები*

2. ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილებანი საკონსტიტუციო კანონმდებლობაში, რომელიც ხორციელდება ავტონომიურ ერთეულთან ერთად, რაც მოიცავს მეურნეობის საერთო დაგეგმვის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, საჯარო მმართველობის სამართლებრივი ორგანიზაციის, პრესისა და რადიომაუწყებლობის, განათლების საკითხებს;

3. მესამე ჯგუფის თანახმად ცენტრალური ხელისუფლება ინარჩუნებს კანონმდებლობას იმ სფეროში, რომელიც აღსასრულებელია ავტონომიური ერთეულის მიერ. ეს შეეხება შემდეგ სფეროებს: შრომის სამართალი, საპროცესო სამართალი, საავტორო სამართალი და სამეურნეო სამართლებრივი დაცვა, ზღვაზე თევზჭერა, სახელმწიფო უშიშროება.⁸

ბოლო ნორმა, რომლის ადგილიც ძნელი განსასაზღვრია, მოცემულია 149-ე მუხლის მე-2 აბზაცში. იგი ეხება უფლებამოსილებას კულტურის სფეროში — „სახელმწიფოს მიაჩნია კულტურისადმი სამსახური მოვალეობად. იგი აადვილებს კულტურულ ურთიერთობებს ავტონომიურ ერთეულებს შორის და მათი თანხმობით იმ კომპეტენციების სრულყოფის გარეშე, რომელთა საკუთარ თავზე ადებს შეუძლიათ ავტონომიურ ერთეულებს“. ამდენად, კულტურა არ შეიძლება ცალსახად მიეწეროს ამ თუ იმ ინსტანციას და კანონმდებლის სურვილით იგი ღიაა ნებისმიერი ინსტანციისათვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უფლებამოსილებათა განაწილების მეორე საფეხურია ავტონომიურ ერთეულთა კომპეტენციები, რომლებიც კონსტიტუციის 148-ე მუხლით არის გადმოცემული. საინტერესოა ამ მუხლის 1-ლი პუნქტი, რომლის თანახმად „ავტონომიურ ერთეულებს შეუძლიათ იკისრონ შემდეგი კომპეტენციები“, ე. ი. ერთი მხრივ, ერთეულები არ არიან ვალდებული, იკისრონ ისინი, მეორე მხრივ, მათ არა აქვთ უფლება, გადაამეტონ მათ ჩარჩოებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ავტონომიურ ერთეულებს აქვთ უფლება, იკისრონ უფლებამოსილებანი, მაგრამ არ უნდა გასცდნენ 148-ე მუხლით გათვალისწინებულ ნორმებს.⁹ ეს კომპეტენციებია: ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტთა ორგანიზაცია; იმ მუნიციპალიტეტის საზღვრების შეცვლა, რომლებიც მათ ტერიტორიაზე მდებარეობს, აგრეთვე ყველა ფუნქცია მუნიციპალიტეტთან მიმართებაში, რომელიც ეხება სახელმწიფო გამგებლობას და რომელიც მოიცავს ადგილობრივი მართვის დაცვის მართვას; წყლების, ტყეების გამოყენება, ნადირობა და სამდინარო თევზრეწვა; სოფლის მეურნეობის, ურბანიზაციისა და საბინაო მეურნეობის რეგულირების საკითხები; ავტონომიურ ერთიანებათა ეკონომიკური მოღვაწეობის განვითარება, კულტურის, ტურიზმის,

* დასასრული. დასაწყისი იხ. ჟურნ. „სამართალი“, № 1, 1999.

8 Regionen und Regionalpolitik. Änderungen und Wandel im EG-Mitgliedstaat Spanien, s. 119.

9 Regionen und Regionalpolitik. Änderungen und Wandel im EG-Mitgliedstaat Spanien, 1991, s. 120.



1. პორტის განვითარება, სოციალური უზრუნველყოფა, ჯანდაცვა და ჰიგიენა, ორგანული კანონის შესაბამისად ადგილობრივი პოლიციის მოღვაწეობისა და სხვა ფუნქციათა კოორდინაცია.

მიუხედავად იმ აღიარებული კონსტიტუციური პრინციპისა, რომლითაც განსხვავება სხვადასხვა ავტონომიურ ერთეულთა უფლებამოსილებებში არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს პრივილეგიებს ეკონომიკურ ან სოციალურ სფეროში — ესპანეთში ავტონომიურ გაერთიანებებს გააჩნიათ სხვადასხვა კომპეტენციები. ესენია: შეზღუდული, სრული და სპეციალური.¹⁰

ყველაზე გავრცელებული ფორმაა შეზღუდული ავტონომია, რომელიც, ძირითადად, სარგებლობს 148-ე მუხლში მითითებული კომპეტენციებით. სრული ავტონომია, შეზღუდულისაგან განსხვავებით, აერთიანებს იმ უფლებამოსილებათა ფართო სპექტრს, რომლებიც კონსტიტუციით სპეციალურად არ არის განმტკიცებული ცენტრალური ხელისუფლებისათვის. სრული ავტონომიის მისაღებად საჭიროა სპეციალური, უფრო რთული პროცედურა, რაც გათვალისწინებულია 151-ე მუხლში. ამჟამად ესპანეთში სრულ ავტონომიას ფლობენ კატალონია, ბასკეთი, გალისია და ანდალუსია.

გენერალური კორტესის გადაწყვეტილებით შეიძლება ჩამოყალიბდეს სპეციალური ავტონომიები. ორგანული კანონების გამოცემის გზით ავტონომიურ გაერთიანებებს გადაეცემათ სახელმწიფოს რამდენიმე უფლებამოსილება, სპეციალური ავტონომიებით სარგებლობენ ბასკეთი, ნავარა, კანარის კუნძულები და ქალაქები: სეუტა და მელილია. თავიანთ ისტორიულ თავისებურებათა გათვალისწინებით მათ გადაცემული აქვთ განსაზღვრული უფლებები.¹¹

ესპანეთში ავტონომიურ გაერთიანებათა არსებობა და სახელმწიფოს მიერ მისი აღიარება არ ნიშნავს ქვეყნის დანაწილებას, დაქუცმაცებას, სოლიდარულ ურთიერთობათა დარღვევას, რომელი პრინციპიც განმტკიცებულია კონსტიტუციის მე-2 მუხლით.

მიუხედავად სტატუტისა, ყველა ავტონომიური გაერთიანებისათვის 1978 წლის კონსტიტუციით დადგენილია საერთო წესები, რომლებიც მათ უნდა დაიცვან. თითოეულ ავტონომიურ გაერთიანებას აქვს თავისი საკანონმდებლო კრება, რომელიც არჩევითი ორგანოა. მისი წევრები ირჩევიან საყოველთაო კენჭისყრით, მასში მონაწილე პოლიტიკურ პარტიათა პროპორციული წარმომადგენლობით. საკანონმდებლო კრებას სხვადასხვა გაერთიანებაში სხვადასხვა სახელი აქვს. მაგალითად, კატალონიაში, გალისიაში, ანდალუსიაში, კანარისა და ბალეარის კუნძულებზე მას ეწოდება პარლამენტი, ასტურიაში — გენერალური ხუნტა, კანტაბრიში — რეგიონალური კრება, ვალენსიაში, არგონში — კორტესი და სხვა. კატალონიის სტატუტის მიხედვით საკანონმდებლო კრება — პარლამენტი ირჩევა ოთხი წლით საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით ამ კრების მიერ მიღებული საარჩევნო კანონის შესაბამისად. გამოყენებული საარჩევნო სისტემა — პროპორციულია და იგი უზრუნველყოფს კატალონიის ყველა ტერიტორიული ზონის სათანადო წარმომადგენლობას (კატალონიის სტატუტის 31-ე მუხლი). ბასკეთის პარლამენტი შედგება თითოეული ისტორიული ტერიტორიის თანაბარი წარმომადგენლობისაგან, რომელიც ირჩევა საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით (ბასკეთის სტატუტის 26-ე მუხლი).

10 Маклаков, Конституционное право Испании и политические институты, Москва, 1997, стр. 97.

11 Lazaró, L. (1988) Transición y cambio en la política regional española, B. I. C. E., Nr. 2122.



საკანონმდებლო კრება უფლებამოსილია განხორციელოს კონტროლი აღმასრულებელი ხელისუფლების მოღვაწეობაზე, რომელსაც ახორციელებს სამთავრობო საბჭო და მისი თავმჯდომარე. ეს ორგანოები ირჩევიან საკანონმდებლო კრებისა და ინიშნებიან მეფის მიერ. თავმჯდომარის ფუნქციებში შედის მთავრობის მოღვაწეობის ხელმძღვანელობა, რომელიც პასუხისმგებელია საკანონმდებლო კრების წინაშე.

გაერთიანებებში დამყარებულია მართვის საპარლამენტო ფორმა. ავტონომიური გაერთიანებები სარგებლობენ ფინანსური ავტონომიითა და მათ აქვთ შემოსავლის საკუთარი წყაროები.

ესპანეთის კანონმდებლობით სახელმწიფოს მინიჭებული აქვს უფლება, ჩაერთოს ავტონომიურ გაერთიანებათა საქმიანობაში. ასეთი ჩარევა შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით.

უპირველეს ყოვლისა, თვით სახელმწიფო წყვეტს ქონების სამართლებრივი რეგულირების საკითხს. გაერთიანებას არ შეუძლია შეზღუდოს ქვეყნის ექსპლაცეთა სამართლებრივი მდგომარეობა, რადგანაც კონსტიტუციით ყველა ესპანელს აქვს ერთიდაიგივე უფლება და ერთიდაიგივე მოვალეობა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

ხელისუფლების არც ერთ ორგანოს არ შეუძლია მიიღოს ღონისძიებანი, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ხელს შეუშლის ხალხის თავისუფალ გადაადგილებასა და დასახლებას, მატერიალურ ფასეულობათა თავისუფალ გადაადგილებას ესპანეთის მთელ ტერიტორიაზე.¹²

კონსტიტუციის 153-ე მუხლი ითვალისწინებს ავტონომიურ გაერთიანებათა მოღვაწეობის კონტროლს, კერძოდ, იგი ხორციელდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, თუ საკითხი ეხება კანონის მქონე ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხს; მთავრობის მიერ — რაც ეხება დელეგირებულ უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოების მიერ — თუ საკითხი ეხება ავტონომიურ მართვას და მის მარეგლამენტირებელ ნორმებს.

სახელმწიფოს აქვს უფლება, ჩაერთოს ავტონომიურ გაერთიანებათა საქმიანობაში, თუ იგი არ ასრულებს კონსტიტუციითა და კანონით ნაკისრ ვალდებულებას, ან იგი მოქმედებს ქვეყნის საერთო ინტერესების საზიანოდ. ასეთ შემთხვევაში, ესპანეთის მთავრობას, ავტონომიური გაერთიანების თავმჯდომარისადმი წინასწარი მოთხოვნისა და მას შემდეგ, თუ იგი უშედეგო აღმოჩნდა, შეუძლია სენატში ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით მიიღოს ზომები, რათა აღიქვას გაერთიანება მოვალეობათა შესრულებისა და საერთო-სახელმწიფო-ებრივი ინტერესების დაცვის მიზნით.

150-ე მუხლის მეხამე პუნქტის თანახმად, კანონმდებელს სურს ავტონომიური ერთეულების მიერ კონსტიტუციის საფუძველზე ნაკისრი უფლებამოსილებები ისეთ შემთხვევაში შეზღუდოს, „როცა ილახება საყოველთაო ინტერესები“. ეს დებულება შეესაბამება 1931 წლის კონსტიტუციის მე-19 მუხლს, რომლის თანახმადაც: „სახელმწიფოს შეუძლია გამოსცეს კანონები, რომლებიც ადგენენ ავტონომიური ერთეულების ნორმატიული დებულებების ჰარმონიზირების ძირითად პრინციპებს ისეთ საქმეებშიც კი, რომლებიც მათი უფლებამოსილების ზღვროს განეკუთვნება და როცა ამას მოითხოვს საყოველთაო ინტერესები“.

სახელმწიფოს აქვს დიდი შესაძლებლობა, რათა ჩაერთოს ავტონომიურ

12 Маклаков, Конституционное право Испании и политические институты, Москва, 1997, стр. 103.

გაერთიანებათა ეკონომიკურ მოღვაწეობაში. იგი აკონტროლებს ესპანეთის რიტორიის სხვადასხვა ნაწილების ეკონომიკურ წონასწორობას.

ამასთან უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ავტონომიური გაერთიანება სარგებლობს ფართო ფინანსური ავტონომიით, რომლის მიზანია მისი განვითარება სახელმწიფოსთან კოორდინირების პრინციპის შესაბამისად.

მაგრამ სახელმწიფო დახმარებას უწევს გაერთიანებებს სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნაციების ჩართვის სახით, რაც აუცილებელია ესპანეთის მთელ ტერიტორიაზე მოქმედი სახელმწიფო სამსახურთა უზრუნველსაყოფად.

მძაფრმა ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელიც არსებობდა ესპანეთში ფაქტურად რეგიონის არსებობის გაუქმების შემდეგ, გარკვეულწილად შეაფერხა ქვეყნის რეგიონალური განვითარება. ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდში გამოიკვეთა რეგიონთა 3 ჯგუფი: 1. დამუხრუჭებული, ჩამორჩენილი ინდუსტრიული არეალები; 2. მზარდი; 3. განვითარებადი რეგიონები. ისმება კითხვა: რა გაკეთდა ესპანეთში და რა კეთდება იმისათვის, რომ დაძლეული იქნას რეგიონალური სიძნელეები?¹³

დემოკრატიის აღორძინების შემდეგ გამძაფრებული ეკონომიკური კრიზისის პირობებში აშკარა გახდა აუცილებლობა იმისა, რათა გათანაბრებულიყო ესპანეთის სახალხო მეურნეობის ფუნდამენტური უთანაბრობები. რეგიონალური ეკონომიკის გეგმის ხელახალმა შემუშავებამ და დახვეწამ, ინტერტერიტორიული კომპენსაციების ფონდის შესახებ კანონმა, თვითმმართველობის რეგიონალური კოლეგიის დანიშვნამ, დაბოლოს, ესპანეთის მიღებამ ევროკავშირში — დიდი გავლენა იქონია კრიზისის გადალახვაში. თუ დღეს არსებულ ვითარებას შევადარებთ იმ უიმედო სურათს, რომელიც ესპანეთის რეგიონალური პოლიტიკის სფეროში შემოგვთავაზა ეკონომიკური კრიზისის დადგომიდან ევროკავშირში გაერთიანებამდე არსებულ პერიოდში, უნდა ვაღიაროთ, რომ არსებობს ყველა საფუძველი სათანადო რწმენისათვის.¹⁴

13 Amparo Lluch Baixauli, Spaniens Comunidades Autonomas, 1991, s. 103.

14 Regionen und Regionalpolitik. Änderungen und Wandel im EG-Mitgliedstaat Spanien, 1991, 125.

სამართლის ისტორია

აკოლონ კალანდია

სასამართლო პროცესი ლაზიკაში

(აბათია სქოლასტიკოსის ცნობების მიხედვით)

ახალი წელთაღრიცხვის V-VI საუკუნეების დასაწყისში კოლხეთ-ლაზიკა სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით საკმაოდ ძლიერი ქვეყანა იყო, მიუხედავად რომისა და ბიზანტიის იმპერიების არაერთი მცდელობისა მის საბოლოო დასამორჩილებლად.¹

1 „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. II, თბ., 1973, გვ. 259-260.



VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი გადმოგვცემს, რომ „ლაზები თავდაპირველად კოლხიდის ქვეყანაში მოსახლეობდნენ და რომაელთა ქვეშევრდომნი იყვნენ, ხოლო არც ხარკს იხდიდნენ და არც სხვა რამეში ეხმარებოდნენ მათ“.² ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ლაზებზე ბიზანტიელთა ბატონობა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

VI საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული საერთაშორისო მდგომარეობა ნაწილობრივ შეიცვალა. ამ დროს ბიზანტიის იმპერიის ტახტზე ადის იუსტინიანე (527—565), ხოლო ცოტა მოგვიანებით კი ირანის ტახტს იკავებს ხოსრო I ანუ შირვანი (531—579). მათ შორის პერიოდული შესვენებებით მიმდინარეობდა ხანგრძლივი ბრძოლები ლაზიკის დასაუფლებლად.

ლაზთა მეფე გუბაზ II კარგად ხედავდა არსებულ მდგომარეობას და ისე იქცეოდა, როგორც ამას პოლიტიკური სიტუაცია კარნახობდა: იგი ხან ირანელებს ემხრობოდა, ხან ბიზანტიელების მხარეზე გადადიოდა. ასე რომ, გუბაზი არც ერთი მხარისათვის საიმედო დასაყრდენი არ იყო. და ამიტომაც გადაწყვიტეს მისი თავიდან მოშორება. ეს განზრახვა სისრულეში მოიყვანეს ბიზანტიელმა სარდლებმა რუსტიკემ და იოანემ. მათ მეფე ხობის წყალთან შეიტყუეს და ვერაგულად მოკლეს. ეს შემზარავი ფაქტი მოხდა 554 წელს.³

ლაზებმა თავიანთი მეფის ცხედარი „თანახმად მათი წესისა დაკრძალეს“, ე. ი. ქრისტიანული წესით გააპატიოსნეს და მხოლოდ ამის შემდეგ გამართეს მსჯელობა, თუ როგორ მოქცეულიყვნენ შემდეგში.

ლაზი წარჩინებულნი ბიზანტიელთაგან ფარულად ერთ ხეობაში შეიკრიბნენ და სახალხო კრება მოაწყვეს. მათი მიზანი იყო გაერკვიათ: დარჩენილიყვნენ ბიზანტიელთა მხარეზე, თუ ირანელებს მიმხრობოდნენ. გამოითქვა საღი აზრი: მიზანშეუწონელი იქნებოდა ერთი ან ორი კაცის დანაშაულის გამო შევსწყრომიოდით საზოგადოებრივ კანონებს, ასე იოლად შეგვეცვალა ჩვენი სახელმწიფო წყობილება და ცხოვრება. ირანელთა მიმხრობით შეიბღალება მართლმორწმუნეობა. ჩანს, VI საუკუნის 50-იან წლებში საზოგადოების შეგნებაში საკმაოდ მყარად ჰქონია ფესვები გადგმული ქრისტიანულ სარწმუნოებას. გადაწყდა, რომ კვლავ ბიზანტიელთა მხარეზე დარჩენილიყვნენ. სახალხო კრებაზე ლაზი წარჩინებულების მიერ წარმოთქმული სიტყვები სამართლიანად არის მიჩნეული ლაზიკის ხელმძღვანელი წრეების დიდი სახელმწიფოებრივი გამოცდილებისა და მაღალი შეგნების მოწმობად.⁴

ბიზანტიური ორიენტაციის მომხრე ლაზმა წარჩინებულებმა კეისარ იუსტინიანეს მოსთხოვეს გუბაზის მკვლელების გასამართლება და მათი დასჯა. იუსტინიანემ საჩქაროდ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა და ლაზიკაში მოსამართლეები გამოგზავნა ათანასის მეთაურობით.

კეისარ იუსტინიანეს დროინდელი ბიზანტიის ისტორია აღწერილი აქვს VI საუკუნის ისტორიკოსს ავათია სქოლასტიკოსს (536—582). იგი სპეციალობით იურისტი ყოფილა. განათლება ალექსანდრიაში და კონსტანტინოპოლში მიუღია და შესდგომია ვექილობას. აქედანაა მისი სახელწოდება „სქოლასტიკოსი“.⁵ ალბათ მისმა პროფესიამ განაპირობა ის, რომ ავტორს სახელმწიფოსა და სამართალთან დაკავშირებული ყველა საკითხი პედანტური სიზუსტით აქვს აღწერილი.

2 „გეორგია“, ტ. II, თბ., 1965, გვ. 72.

3 „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. II, გვ. 262.

4 იქვე, გვ. 265.

5 „გეორგია“, ტ. III, თბ., 1936, გვ. 23-24.

სწორედ ამ აგათიას აქვს აღწერილი ის სასამართლო პროცესი, რომელიც ბიზანტიელმა მოსამართლეებმა მოაწყვეს ლაზიკაში და, სადაც ავტორისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ბიზანტიური კანონების მიხედვით“ გაასამართლეს გუბაზის მკვლელები. გიორგი გოზალიშვილი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „გუბაზის მკვლელთა გასამართლება ლაზიკის ისტორიის ერთი მეტად საინტერესო ეპიზოდია, მაგრამ იგი ლაზთა სახალხო კრებასთან ერთად ცალკე მონოგრაფიის ღირსია“.⁶

დღეს დაბეჯითებით არ შეიძლება იმის მტკიცება, ესწრებოდა თუ არა აღნიშნულ სასამართლოს აგათია, მაგრამ პროცესი მას ისე დეტალურად აქვს აღწერილი, რომ სავარაუდოა ისტორიკოსს ხელთ ჰქონოდა სასამართლოს ოქმები. მითუმეტეს, რომ აგათია აღნიშნავს, სასამართლოზე ყოფილან ისეთები, ვისაც შეეძლოთ სწრაფი წერა. ჩვენი აზრით, ამ უკანასკნელთა მიერ ჩაწერილი ოქმები შესაძლებელია ავტორს ჩავარდნოდა ხელში.

ბიზანტიაში, ეტყობა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სასამართლო პროცესის გარეგნულ მხარესაც. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ საკითხზე აგათია როდი გაამახვილებდა ყურადღებას. ისტორიკოსი წერს: „ათანასი თავისი ღირსების შეგნებით დაჯდა ერთ მაღალ სავარძელზე ქალამანდში გამოწყობილი, როგორც ეს სჩვევიათ ბრწყინვალე მთავრებს. ამასთანავე იყვნენ კაცნი, რომელთაც იცოდნენ სწრაფი წერა და დაწერილის წაკითხვა სხაპა-სხუპით, იყვნენ აგრეთვე სხვა მოსამართლეებიც: მკაცრნი და ამაყნი და სასამართლოს ხლართების საუკეთესო მცოდნენი, ბოხხმიანი მაუწყებელნი და გამმათრახებელნი. ესენი ყველა ბიზანტიონიდან (კონსტანტინოპოლიდან — ა. კ.) იყვნენ მთავრობის მიერ გამოგზავნილნი“.⁷ მოცემული ცნობიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბიზანტიაში, მსგავსად სხვა ცივილიზებული ქვეყნებისა, უმაღლესი სასამართლოს ფუნქციის მატარებელი ორგანო არსებულა, რომლის იურისდიქციაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეების გარჩევა შედიოდა. ლაზიკის მეფის მკვლელობის საქმე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნებოდა, რასაც თან ახლდა ზემოხსენებული პოლიტიკური დატვირთვა. ამიტომაც დასჭირდა იუსტინიანეს იმპერიის უმაღლესი სასამართლოს ტიპის ორგანოს წარმომადგენლის ათანასისა და სხვა მოსამართლეების გამოგზავნა ლაზიკაში.

მართალია, ფორმალურად, მაგრამ მაინც ბიზანტიის გავლენის ქვეშ მყოფ ლაზიკაში უსათუოდ იქნებოდნენ მოსამართლეები იმპერიის ცენტრიდან. ეტყობა, მათ ფუნქციებში შედიოდა წვრილმანი, სახელმწიფოსათვის ნაკლებად მნიშვნელოვანი საქმეების განხილვა. ამიტომაც, ცხადია, ვერ დაეკისრებოდათ მათ ლაზთა მეფის გუბაზის მკვლელობის საქმის გარჩევა.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ჭეშმარიტების დადგენაში კენისარიც იქნებოდა დაინტერესებული. მეფის მკვლელობის საქმის ცივილიზებული მეთოდებით განხილვა იუსტინიანეს სურდა: „არამართო იმიტომ, რომ იქ მყოფი ბარბაროსებისათვის კვებით ერვენებინა რომაული წესები და გაეკვირვებინა ისინი ამით, რათა ისინი უფრო მეტად შესჩვეოდნენ რომაელთა მმართველობას, არამედ იმიტომ, თუ დამტკიცდებოდა, რომ გუბაზი სამართლიანად იქნა მოკლული, როგორც სპარსელების მომხრე, კოლხებს თავი დაენებებინათ თავიანთი მწუხარებისათვის და აღარ ყოფილიყვნენ აღელვებულნი, თითქოს რა-

6 გ. გოზალიშვილი, ბიზანტიისა და ირანის ბრძოლა იბერია დაზიკისათვის VI საუკუნეში, თსუ შრომები, 1944, გვ. 149.
7 „ეგვიპტოლოგია“, ტ. III, გვ. 125.



დაც საშინელი უბედურება განიცადეს. ხოლო, თუ აღმოჩნდებოდა, რომ მკვლელებმა ყველაფერი ეს მოიგონეს და უსამართლოდ ჩაიდინეს მკვლელობა, გვარად, ისინი გამტყუნებულნი იქნებოდნენ, მათ შუა ჯარში ჩაატარებდნენ მარცხების თანხლებით, შემდეგ ყველას თანდასწრებით თავებს მოჰკვეთდნენ საიკვდილო მახვილით და მაშინ ბარბაროსებს საქმის დასასრულიც უფრო მნიშვნელოვნად მოეჩვენებოდათ და სასჯელიც გაორკეცებულად. მან (იუსტინიანემ, — ა. კ.) იცოდა, თუ საიდუმლოდ, ბარბაროსთა წესით, ბრძანებდა რუსტიკესა და იოანეს მოკვლას, კოლხები საკმარისად არ ჩათვლიდნენ ამას და, მათი აზრით, მათი შეურაცხყოფა არ იქნებოდა გამოსყიდული და მკვლელებსაც საკადრისი სასჯელი არ ექნებოდათ მიზღვეული, ხოლო თუ სასამართლო შესდგებოდა და ორცე მხარით კამათი გაიმართებოდა, რომლის დროსაც სასამართლოს მოსამსახურეები აქეთ-იქით ივლიდნენ და მოაწესრიგებდნენ, რათა თითოეულ მომჩივანთაგან წესრიგი დაეცვათ და ისე ელაპარაკათ, რომ სასამართლოს სიდიადეს დაანახვებდნენ კოლხებს და მჭევრმეტყველ სიტყვებს მოასმენინებდნენ, ამით უფრო შემზარავად მოაჩვენებდნენ ჩადენილ მკვლელობას, — აი, თუ ყველაფერი ასე იქნებოდა მოწყობილი, მდგომარეობა უფრო მნიშვნელოვნად და უფრო საგრძნობლად მოეჩვენებოდათ კოლხებს და ბრალდების წონაც უფრო გაზვიადებულიდ. ასეთ რამეს ბიზანტიონის მოქალაქეებიც მოჰყავთ განცვიფრებაში და თავზარს სცემს მათ, თუმცა იქ ხშირად ხდება ეს; მითუმეტეს განაცვიფრებდა ბარბაროსებს, რომელნიც ამას ჩვეულნი არ იყვნენ. აი, ამ მოსაზრებით იქნა მოწვეული, ჩემი აზრით, რომაული (ბიზანტიური, — ა. კ.), უკეთ რომ ვთქვათ, ანტიკური (ბერძნული, — ა. კ.) სასამართლო კავკასიონის ძირში“.⁸

ბიზანტიელი ისტორიკოსის ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ იმპერიის დედაქალაქიდან ლაზიკაში საგანგები მისიით ჩამოსულ მოსამართლეთა მართებულ საქმიანობას, მათ მიუკერძოებელ მოქმედებას ლაზებისათვის უდიდესი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა, რასაც შეეძლო მათთვის მორალური ზემოქმედების მოხდენა. საფიქრებელია, რომ იუსტინიანეს რაიმე ინფორმაცია გააჩნდა გუბაზის მკვლელობის გამო ერთ ხეობაში გამართული სახალხო კრების შესახებ. ამიტომაც, იმ მოსაზრებით, რომ ლაზიკა ხელიდან არ გამოცლოდა, მან ისეთ ხერხს მიმართა, რომელსაც ბიზანტიონელი ყოვლის მნახველი მოქალაქეებიც განცვიფრებაში მოჰყავდა.

„რუსტიკე და იოანე მოიყვანეს სატუსალოდან და დააყენეს მარცხნივ, როგორც ბრალდებულები, მეორე მხრივ ბრალდებულნი — დარბაისელი კოლხები, რომელთაც უკვე კარგა ხანია შეესწავლათ ელინური (ბერძნული, — ა. კ.) ენა“.⁹

აგათია სქოლასტიკოსი, ალბათ, როგორც იურისტი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდ ყურადღებას უთმობს სასამართლოს გარეგნული მხარის აღწერას. ეტყობა, ბიზანტიაში ტრადიციად ყოფილა დამკვიდრებული სხდომის მსვლელობისას მოსამართლისაგან რომელ მხარეზე უნდა განლაგებულიყვნენ დაზარალებულნი, დამნაშავეები, ბრალმდებელნი და ა. შ. ეტყობა ამ ფორმალური მხარის მოწესრიგების შემდეგ სასამართლო უფლებამოსილი ყოფილა პროცესს შესდგომოდა, შესაძლებელია, ანალოგიური წესი ყოფილიყო დამკვიდრებული ჩვეულებრივ სასამართლოებში. მაგრამ, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს უმაღლესი სასამართლოს ტიპის ორგანოსთან, ამიტომაც მის დასახასიათებლად ტექსტის ავტორი საგანგებოდ ჩერდება.

8 „გეორგიკა“, ტ. III. გვ. 126—127.
9 იქვე, გვ. 127.



აგათია სქოლასტიკოსს მოტანილი აქვს წარჩინებულ ლაზ წარმომადგენელთა საბრალდებო სიტყვები. მათი მსჯელობიდან ირკვევა, რომ ისინი საკმაოდ გაწვრთნილნი ყოფილან არა მარტო მჭევრმეტყველებაში, არამედ ღრმად ყოფილან განსწავლულნი იურისპრუდენციაში. ადვილი შესაძლებელია, ვიფიქროთ, რომ მათ სპეციალური იურიდიული განათლება ჰქონდათ მიღებული. თუ IV საუკუნის გამოჩენილი ფილოსოფოსი თემისტოიოსი ამყობდა, რომ პირადად მას და ძამამისს ევგენიოსს საფუძვლიანი განათლება მიუღიათ „პონტოს ოლოში. ყაზისის მახლობლად“, ¹⁰ რატომ არ შეიძლებოდა ადგილობრივი მოსახლეობაც აქვე ზიარებოდა ცოდნას.

სასამართლოზე ლაზ წარჩინებულთა გამოსვლა თამამად შეიძლება ორატორული ხელოვნების ნიმუშად ჩაითვალოს. მათ სიტყვებში არ შეიმჩნევა ბიზანტიის იმპერიის საკარისკაცო წრის, ხალხისა და თვით კეისარ იუსტინიანეს მისამართით თქმული არც ერთი სალანძღავი ფრაზა. ორატორები მხოლოდ ჩადენილი დანაშაულის გარშემო საუბრობდნენ: „თუ სახელმწიფო ყოველმხრივ არ არის გამაგრებული და ერთს რომელსამე ნაწილში მოდუნებულია, ვეღარ იარსებებს წესიერად. პირიქით, ის თავის სახელწოდებასაც ტყუილა ატარებს, ვინაიდან ის მოკლებულია თავისუფალი არსებობის საშუალებას“. ¹¹ თავიანთ გამოსვლებში ისინი მეფის მკვლელებს ბრალს დებენ ქვეყნის ღალატში, ვინაიდან გვირგვინოსნის სიცოცხლის ხელყოფა სახელმწიფოებრივ დანაშაულთა რანგში აღის: „თვითონ ამკარად ამბობენ, რომ მოკლეს კაცი და თანაც სტყუიან. ამით უდიდესი სარგებლობა მოუტანეს სახელმწიფო საქმეს... სარგებლობა და უკანონობა ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნებებს წარმოადგენენ, სიმხეცე და სამართლიანობა ერთიმეორეს დაშორებული იყვნენ და შეურეველნი. მათი ერთად არსებობა არასოდეს ყოფილა შესაძლებელი“. ¹² ბრალმდებელთა სიტყვებიდან ჩანს, რომ ისინი კარგად ყოფილან ჩახედულნი ბიზანტიურ კანონმდებლობაში. ლაზებს უზნებლად მიაჩნიათ მოკლულზე გადაიტანონ დანაშაულის მთელი სიმძიმე. მკვლელები ბრალს დებენ გუბაზს ბიზანტიელთა ღალატში. მათ შეეძლოთ, იუნდაც ხელფეხშეკრული ლაზთა მეფე იძულების წესით ჩაეყვანათ ბიზანტიონში. რუსტიკემ და იოანემ ეს შეგნებულად არ გააკეთეს, რადგან კარგად იცოდნენ, რომ გუბაზი მართალი იყო და ცოცხლად ბიზანტიის დედაქალაქში ჩასული სიმართლეს სტრატეგოსების საზიანოდ გაარკვევდა. ამიტომაც ვერაგულად მოჰკლეს.

ლაზების მხრივ ლინჩის წესით გასამართლების მცდელობას ადვილი არ ჰქონია, თორემ ეს ფაქტი აგათიას ნამდვილად არ გამორჩებოდა მხედველობიდან. როგორც ყველა ხალხისათვის, ლაზებისთვისაც შეურაცხმყოფელი იყო მეფის მოკვლა, მიუხედავად ამისა, მათ მაინც მოახერხეს წონასწორობის შენარჩუნება და ცივილიზებული მეთოდებით მიუღწენ საკითხს. მათ თხოვნით მიმართეს იუსტინიანე კეისარს გუბაზის მკვლელები დაუსჯელად არ დაეტოვებინა. ლაზებს კარგად ესმოდათ, რომ „თუ ყოველ მსურველს ასე ერთბაშად შეეძლება საკუთარი მტრის მოკვლა, ამგვარი საქციელის ზშირად ჩადენა მიგვიყვანდა უსაზღვრო თავხედობამდე... ამგვარი რამ არ უნდა გავბედოთ, თუ სახელმწიფო კანონების საფუძველზე ვაპირებთ ცხოვრებას“. ¹³

ნებისმიერი კანონსაწინააღმდეგო ქმედების შემდეგ გამოძიება სასამართლოს

10 იქვე, ტ. I, გვ. 50.

11 „გეორგია“, ტ. III, გვ. 131.

12 იქვე, გვ. 132.

13 იქვე, გვ. 134.

უნდა მიეცეს ჭეშმარიტების დადგენის საშუალება. თუ დაზარალებული მხარე შეგნებულად არ მოეკიდება საკითხს, მაშინ ვზა გაცხსნება თვითნებურ ქმედებას და „უაზროდ დაიხოცება მთელი მოდგმა, ... რომლებიც ყოველთვის სამაგიეროს გადახდას მიმართავენ“.¹⁴

ბრალდებულთა მხრიდან აღინიშნა, ვითომდა გუბაზს დაერღვიოს ბიზანტიასთან დადებული ხელშეკრულება. თუ ასე იყო, კეისრის წერილის საფუძველზე სტრატეგოსებს უნდა დაეყოლიებინათ მეფე ბიზანტიონში წასვლაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებითი წესით გაეგზავნათ იგი. გუბაზისათვის „რც კი უჩვენებიათ იუსტინიანეს წერილი. განა გუბაზი ის კაცი არ იყო, რომელიც ხშირად ჩავარდნილა ხიფათში მახლობლებისათვის, სპარსელთა დანაპირებ სიმდიდრეს განა გუბაზმა არ ამჯობინა ბიზანტიელებთან კეთილი განწყობილება! „სადა ხართ კანონებო, სად არის სამართალი“.¹⁵

ბრალმდებლებმა სასამართლოზე გამოხატეს ქვეყნის წარჩინებულთა საერთო აზრი. ისინი მოითხოვდნენ გუბაზის მკვლელების დასჯას. თუმცა დარწმუნებულნი იყვნენ კონსტანტინოპოლელი სამართალდამცავები არ უღალატებდნენ თავიანთ პროფესიას, ადგილი არ ექნებოდა მიკერძოებას და დამნაშავეებს საკადრის სასჯელს მიუზღავდნენ.

ლაზ წარჩინებულთა საბრალდებო სიტყვები ძველი ქართული იურიდიული აზროვნების მაღალ დონეზე მიუთითებს. მათ ნააზრევში გამოიხატა სახელმწიფოს სტრუქტურისა და სამართლის მოძღვრების ღრმა ცოდნა.

შემდეგ ათანასიმ სიტყვა მისცა ბრალდებულებს. რუსტიკემ და იოანემ სასამართლოზეც დაადასტურეს, რომ მკვლელობა ნამდვილად მათ ჩაიდინეს, მაგრამ თავი არ უცვნიათ დამნაშავეებად. ისინი ამტკიცებდნენ, რომ „მხოლოდ ჩვენი წყალობით მოხერხდა მოლაღატისა და ტირანის მოსპობა“.¹⁶ მკვლელები სასამართლოს არწმუნებდნენ, რომ ამ საქციელით: „კოლხების ბატონებად რომაელები დავტოვეთ და სხვას არ ჩავაგდებინეთ ის ხელში“.¹⁷ ლაზ ბრალმდებლებს, მეფე მოგვიკლეს და ამით უღირსი საქციელი ჩაიდინესო, მკვლელები ამჟყად პასუხობენ: „მეფის სახელწოდება აბზინდასა და ქლამანდს და საერთოდ, გარეგან სამკაულებს კი არ განეკუთვნება, არამედ მიეკუთვნება იმას, ვინც სამართლიანობას მისდევს, ზომას არ აჭარბებს თავის ქცევაში და მხოლოდ დადგენილ წესებს უფარდებს თავის გულის ნადებს“.¹⁸

რუსტიკე და იოანე თავის გასასამართლებლად უსუსურ არგუმენტებს იშველიებენ. ისინი ამბობენ, რომ ქალაქებში ხშირად შეხვედებით დასახიჩრებულ ადამიანებს, მაგრამ მათ დამზარალებლებს პასუხს არავინ არ აგებინებს. ეს მოსაზრება ზნეობრივი თვალსაზრისით გამართლებულია. ადამიანებს, მეფეა ის, თუ ჩვეულებრივი მოქალაქე, კანონი თანაბრად უნდა იცავდეს. მაგრამ რუსტიკე და იოანე ნამდვილად არ იყვნენ იმ მორალის ადამიანები, რომ ეს არგუმენტი ზნეობრივ სრულყოფილებაში ჩათვლოდათ.

ბრალმდებლები და ბრალდებულნი მხოლოდ ერთ რამეში შეთანხმდნენ: „მტრის სახელწოდება შეეფერება არა იმას, ვინც მოშორებით უცხოეთში ცხოვრობს, არამედ იმას, ვინც თუმცა თვისტომია, მაგრამ მტრისათვის სასიამოვნო საქმეებს აკეთებს“.¹⁹ აქედან გამომდინარე, მკვლელები ამტკიცებენ, რომ „გუბაზი

14 იქვე, გვ. 136.

15 იქვე, გვ. 138.

16 იქვე, გვ. 141.

17 იქვე, გვ. 141.

18 იქვე, გვ. 142.

19 იქვე, გვ. 142-143.

ჩვენი მტერი იყო“.²⁰ მკვლევების მხრივ თავის მართლება გადაიზარდა ლაზთა მოღვმის შეურაცხყოფაში. მათი გამოსვლა ეთიკურ მხარეს სცილდება და აშკარად თავხედობაში გადადის. ისინი შეურაცხმყოფელი სიტყვებით იხსენიებენ არა მარტო გუბაზს, არამედ, საერთოდ, ლაზ ხალხს: „ეს ბარბაროსული მოღვაწეა, თუმცა ის რომაელების ქვეშევრდომია, მაგრამ თავისი შეხედულებით ძალიან დაშორებულია მათ: რომაელთა კანონებს... ის (გუბაზი. — ა. კ.) ხომ წარმოშობით ბარბაროსი იყო და ამ მოღვმისათვის დამახასიათებელი მზაკვრობით იყო ქლასნეულებული“.²¹ სასჯელის მოლოდინში გაბოროტებული მკვლევები გესლიანი სიტყვებით იხსენიებენ ლაზთა ტომს. თავიანთ გამოსვლებში რუსტიკე და იოანე, ნაცვლად იმისა, რომ სასამართლოს თავი შეაცოდონ და ამით სასჯელი შეიმსუბუქონ, პირიქით, ბოღმას ანთხევენ და კაცთმოძულეობას ამჟღავნებენ. განა ლაზ წარჩინებულებს არ შეეძლოთ თავიანთ გამოსვლებში ანალოგიური აზრის გატარება. მათ დაუმსახურებლად ვინმეს მიმართ შეურაცხმყოფელი სიტყვები რომ წამოსცდნოდით, ეს ნამდვილად მხედველობიდან არ გამორჩებოდა ბიზანტიელ ისტორიკოსს.

აგათია სქოლასტიკოსი აღნიშნავს, რომ ბრალმდებლებსა და ბრალდებულებს შორის პაექრობა ორჯერ მოხდა: „ათანასი ორივე მხარეს გულდასმით უსმენდა, ბოლოს ყველაფერი გამოიკვლია, ასწონდასწონა, მას უკვე გუბაზის რიერ ჩადენილ საქციელში აღარაფერი მიაჩნდა მისი მოღალატეობისა და ტირანობის დასამტკიცებლად. პირიქით, მისი აზრით, მკვლელობა ჩადენილი იყო უსამართლოდ, კანონის საწინააღმდეგოდ“.²²

სასამართლოზე გაირკვა, რომ გუბაზმა ლაშქრობაში მონაწილეობაზე მედიზმის²³ გამო კი არ თქვა უარი, არამედ სტრატეგოსთა უგუნურობისა და დაუღვევრობის გამო. დამნაშავედ ცნობილი რუსტიკე და იოანე ჯორებზე შესვეს და ისე ჩაატარეს ქუჩებში. მათ ფეხდაფეხ მიყვებოდა გზირი, რომელიც საშინელი ხმით გაჰყვიროდა: „გეშინოდეთ კანონებისა, და თავი შეიკავეთ უსამართლო მკვლელობისაგან“.²⁴

განაჩენი მოყვანილ იქნა სისრულეში. მათ ყელეები გამოსჭრეს — ასე დამთავრდა სასამართლო პროცესი ლაზიკაში.

საფიქრებელია, რომ ბიზანტიონის საკარისკაცო წრე სასამართლოს გადაწყვეტილებით არ ყოფილიყო კმაყოფილი. მათთვის პოლიტიკურად უფრო მომგებიანი იქნებოდა გუბაზის დადნაშაულება, მაგრამ არსებული მდგომარეობა მოითხოვდა სიმართლის დადგენას, ამიტომაც ათანასიმ სასამართლოს სხდომა პროფესიონალური სინდისის კარნახით წარმართა და კანონმა მხოლოდ იმათ გამოუტანა გამამტყუნებელი განაჩენი, ვინც ამას იმსახურებდნენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი:

1. VI საუკუნის პირველ ნახევარში ლაზიკა, მართალია, ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. თავის მხრივ, ლაზიკა საკმაოდ ძლიერი სახელმწიფო ჩანს, ვინაიდან მისი რეალური გავლენა სხვა ქართველურ ტომებზე ვრცელდება;
2. აღნიშნული პერიოდი ფეოდალიზმის გენეზისის ხანას განეკუთვნება.

20 იქვე, გვ. 145.

21 იქვე, გვ. 145—146.

22 იქვე, გვ. 152.

23 მედიზმი ეწოდება სამშობლოს, „ბიზანტიის ლაღატს და სპარსელების მხარეზე გადასვლას“.

24 „გეორგიკა“, ტ. III, გვ. 153.

ლაზთა მეფის გუბაზის მკვლევლობის საქმე იმ დროს ცივილიზებული მეთოდით გაარჩიეს ბიზანტიელმა მოსამართლეებმა „ბიზანტიური“ კანონების მიხედვით;

3. ბიზანტიაში არსებობდა უმაღლესი სასამართლოს ტიპის ორგანო, რომლის იურისდიქციაში სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი საქმეების განხილვა შედიოდა;

4. სასამართლოზე ლაზ წარჩინებულთა საბრალდებო სიტყვები მათ მაღალ მორალურ შეგნებაზე, ბიზანტიური კანონების ღრმა ცოდნაზე და შესანიშნავ იურიდიულ განათლებაზე მეტყველებს;

5. VI საუკუნეში ლაზიკაში მტკიცედ ჰქონდა ფეხი მოკიდებული ქრისტიანულ სარწმუნოებას. ბიზანტიური ორიენტაციის მომხრე ლაზი წარჩინებულების ერთ-ერთი უმთავრესი არგუმენტი, რათა ქვეყანა კვლავ ბიზანტიის მხარეზე დარჩენილიყო და სპარსელთა მხარეზე არ გადასულიყო, იმაში მდგომარეობდა, რომ მტკიცედ დაეცვათ „მართლმორწმუნეობა“;

6. სასამართლოს მიერ საკადრისი განაჩენის გამოტანა, მისი სისრულეში ღოყვანა, კანონიერების დაცვის, კანონისადმი ერთგულებისა და ღრმა პატივისცემის ნათელი გამოხატულებაა.



ლალი ლოთიკაჟილი

განმწესრიგებელი სხდომის უფლებამოსილებათა კომპეტენციის ფარგლები საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით

ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს საბჭოთა პერიოდის სისხლის სამართლის პროცესის საკითხთა შორის, ბრალდებულის სამართალში მიცემაა, რა დროსაც უნდა განხორციელებულიყო საბრალდებო დასკვნის დამტკიცება და ბრალდებულის სამართალში მიცემა. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია ის, რომ სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაზე განიხილებოდა ყველა ის საქმე, რომელზედაც შედგენილი და დამტკიცებული იყო საბრალდებო დასკვნა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ეთანხმებოდა და ამტკიცებდა საქმეზე საბრალდებო დასკვნას, იგი შეიძლება სათანადო განჩინების საფუძველზე გაგზავნილიყო სასამართლო სხდომაზე არსებითად განსახილველად. საბრალდებო დასკვნის დამტკიცების შემდეგ, ბრალდებული განსასჯელად იწოდებოდა, მაგრამ ეს არ ნიშნავდა მისი დამნაშავეობის დამტკიცებას. განსასჯელის დამნაშავეობის ან უდანაშაულობის საკითხი წყდებოდა სასამართლოს მიერ სათათბირო ოთახში განაჩენის გამოტანით. განმწესრიგებელ სხდომაზე სასამართლო მხოლოდ ამოწმებდა, შეკრებილი იყო თუ არა საქმეზე წინასწარი გამოძიების მიერ მტკიცებულებანი, იყო თუ არა ბრალდებულის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობა, დანაშაულის ნიშნები, დაცული იყო თუ არა საქმეზე პროცესიული კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა და ა. შ. აქედან გამომდინარე, პირის დამნაშავეობის საკითხი წყდებოდა არა განმწესრიგებელ სხდომაზე, არამედ სასამართლო გამოძიების დროს. სასამართლო, განიხილავდა რა განმწესრიგებელ სხდომაზე საბრალდებო დასკვნას, ამით ამოწმებდა საქმეზე



წინასწარი გამოძიების ხარისხიანობას და რწმუნდებოდა წინასწარი გამოძიების სრულყოფაში, საბრალდებო დასკვნის დამტკიცება იყო შედეგი სასამართლოს მიერ საქმის მასალების დეტალური შესწავლისა.

განაჩენის გაუქმება ან საქმის შეწყვეტა შედეგი იყო სამართალში მიცემის შესახებ საკითხისადმი არასწორად მიდგომისა. უფრო ყურადღებიანი საქმის განხილვა განმწესრიგებელ სხდომაზე და სასამართლო გამოძიების დროს გამორიცხავდა სამართალში უკანონოდ მიცემის შემთხვევებს.

სასამართლო ვალდებული იყო დაემტკიცებინა საქმეზე საბრალდებო დასკვნა, თუ შეკრებილი იყო საკმარის მასალები ბრალდებულის სამართალში მიცემისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ამბობდა საბრალდებო დასკვნის დამტკიცებაზე, თუ ეს ხარვეზები არ შეიძლებოდა შევსებულიყო სასამართლო გამოძიების დროს. სასამართლო ვალდებული იყო აგრეთვე შეემოწმებინა, გამომძიებლის მიერ შესრულებული იყო თუ არა ყველა საჭირო საგამომძიებლო მოქმედება. თუ ერთი მაინც ამ მოთხოვნებს არ იცავდა, მაშინ სასამართლო უარს აცხადებდა საქმის მოსმენაზე და უბრუნებდა მას გამოძიების ორგანოებს. თუ საქმის ყველა გარემოება არ იყო დეტალურად გამოძიებული, სასამართლო არ იზილავდა ამ საქმეს. სასამართლო მოვალე იყო შეემოწმებინა ასევე იმ მოთხოვნათა შესრულება, რომლებიც ითვალისწინებდნენ შუამდგომლობათა განხილვას ან უარის თქმას გამომძიებლის მიერ.

არსებობდა შემთხვევები, როდესაც გამომძიებელი და პროკურატურა არღვევდნენ ისეთ მოთხოვნებს, რომლებიც ითვალისწინებენ გამოძიების ვადას. სასამართლო ვალდებული იყო ეცნობებინა ზემდგომი პროკურორისათვის საქმის გაჭიანურების მიზეზები. ბრალდებულის სამართალში მიცემის დროს გარკვეული უნდა ყოფილიყო საქმეთა შეერთების და გამოყოფის კანონიერების საკითხები. საკითხი გამომძიებლის აცილების შესახებ, თუ სასამართლო მივიდოდა იმ დასკვნამდე, რომ გამომძიებელი აცილებას ექვემდებარებოდა, მაშინ საქმე სასამართლოს მიერ უბრუნდება პროკურატურის ორგანოებს, რათა საქმის გამოძიება დავალებოდა სხვა გამომძიებელს. საბრალდებო დასკვნის დამტკიცების შემდეგ, სასამართლო ამოწმებდა ისეთი მოთხოვნის შესრულებას და დაცვას, როგორცაა მოწმის მიერ დაკითხვის ოქმის გაცნობა და მასში ცვლილებების და შენიშვნების შეტანა. საქმის მიღებისთანავე მოსამართლე ამოწმებდა და შედგენილი იყო თუ არა საბრალდებო დასკვნა კანონის შესაბამისად. საპროცესო კანონით გათვალისწინებული იყო, რომ თუ მოსამართლე მიიჩნევდა, საქმეზე შესადგენი იყო ახალი საბრალდებო დასკვნა, მას შეეძლო თვითონ შეედგინა იგი. ეს ხდებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც არ იყო საჭირო საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნება და სასამართლოს შეეძლო განმწესრიგებელ სხდომაზე თვითონ შეეტანა საჭირო ცვლილებები, მაგ., კვალიფიკაციის შეცვლა, საბრალდებო დასკვნის აღწერილობითი ნაწილის გადაკეთება და ა. შ.

როდესაც სასამართლო ეთანხმებოდა საბრალდებო დასკვნას და ბრალდებულს მისცემდა სამართალში, იგი დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ განსახილველად ნიშნავდა სწორად გამოძიებულ საქმეს, რომელზედაც შეკრებილი იყო საკმარის მტკიცებულებანი ბრალდებულის სამართალში მიცემისათვის.

ბრალდების შეცვლა და დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხი

საბჭოთა პერიოდის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით სასამართლო ვალდებულია მიაღწიოს დანაშაულის კვალიფიკაციის მაქსიმალურ სიზუსტეს, რათა დამნაშავე მიცემულ იქნას სისხლის სამართლის პასუხისმგებ-

ბაში იმ მუხლით, რომელიც ითვალისწინებს აღნიშნულ დანაშაულს. სასამართლო პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როდესაც ბრალდების კვალიფიკაცია იცვლებოდა სასამართლო სხდომებზე საქმეთა არსებითად განხილვის და აგრეთვე შემდგომ სასამართლოებში საკასაციო და საზედამხედველო საჩივრების განხილვისას.

ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც სასამართლოები თვითონ ასწორებდნენ პროკურატურის მიერ დაშვებულ შეცდომებს. ასევე უკიდურეს შემთხვევებში აბრუნებდნენ საქმეს დამატებით გამოძიებაში, რათა დაზუსტებულიყო ბრალდების კვალიფიკაცია.

საქმე ბრუნდებოდა დამატებით ძიებაში, როდესაც წინასწარი გამოძიების მიერ შეკრებილი არ იყო საკმარისი მასალები ბრალდებულის სამართალში მისაცემად, ხოლო არსებული მასალები ვერ შეივსებოდა სასამართლო გამოძიების დროს. მაგრამ ეს ფაქტი იმაზე კი არ მეტყველებს, რომ სასამართლო საქმიანობა არ იყო სათანადო დონეზე, არამედ, უბრალოდ, განმწესრიგებელი სხდომის დროს არ ხდებოდა მოწმეთა გამოძახება და დაკითხვა.

განმწესრიგებელი სხდომა ითვლებოდა მნიშვნელოვან ეტაპად პროცესში, რადგან აქ უფრო კვალიფიციურად იხილებოდა საქმეები და წინასწარი გამოძიების მასალებს კრიტიკულად უდგებოდნენ. სასამართლოს მიერ საქმის დამატებით ძიებაში დაბრუნების შესახებ გამოტანილ განჩინებებს გააჩნდათ სავალდებულო ძალა პროკურატურის და წინასწარი გამოძიების ორგანოებისათვის, მაგრამ სასამართლო პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როდესაც აღნიშნული ორგანოები არ ჩქარობდნენ შეესრულებინათ სასამართლო განჩინებებში გათვალისწინებული მოთხოვნები და არც თვითონ სასამართლოები არ ცდილობდნენ, რომ უზრუნველყოთ ამ მოთხოვნების შესრულება პროკურატურის და გამოძიების მიერ. შეიმჩნეოდა ასევე შემთხვევები, როდესაც სასამართლო, წარმოებაში ღებულობდა ისეთ საქმეებს, რომლებსაც აშკარად გააჩნდათ გარკვეული ნაკლოვანებანი წინასწარი გამოძიების სტადიაზე, სასამართლო კი განმწესრიგებელ სხდომაზე არ ცდილობდა მათ შესწორებას.

ყველაფერი ეს მეტყველებს იმაზე, რომ თუ სასამართლო სერიოზულად მიუდგებოდა საქმის განხილვას განმწესრიგებელ სხდომაზე, მაშინ იმ საქმეთა რაოდენობა, რომლებიც დამატებით ძიებაში ბრუნდებოდა, საკმაოდ გაიზარდებოდა, რასაც ერიდებოდნენ სასამართლოები. ჩვენი აზრით, ეს აიხსნებოდა იმით, რომ პროკურატურა ახორციელებდა ზედამხედველობას სასამართლოს საქმიანობაზე.

საბჭოთა საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებდა, რომ საქმე შეიძლებოდა შეწყვეტილიყო:

- ბრალდებულის სიკვდილის გამო;
- ბრალდებულის დაზარალებულთან შერიგების გამო, თუ საქმე აღიძვრებოდა მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმე აღძრული იყო კერძო ბრალდების საფუძველზე.
- დაზარალებულის საჩივრის არარსებობის გამო, თუ საქმე მხოლოდ ამ საფუძველით აღიძვრებოდა;
- ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო;
- თუ ქმედება არ შეიცავდა დანაშაულის შემადგენლობას;
- ამნისტიის გამო;
- თუ დანაშაულის ჩადენის მომენტში პირი შეურაცხად მდგომარეობაში იმყოფებოდა და თავის მოქმედებას კონტროლს ვერ უწევდა, ამ შემთხვევაში

ნის მიმართ გამოყენებულ უნდა ყოფილიყო სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებანი. ასეთივე ზომები გამოიყენებოდა იმ პირთა მიმართ, რომლებიც ქრონიკულად სულიერად დაავადდნენ ან რომლებიც შეურაცხადნი გახდნენ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის, მაგრამ დანაშაული ჩაიდინეს შერაცხად მდგომარეობაში. სასამართლო ყოველთვის წყვეტდა საქმეს წარმოებით განმწესრიგებელ სხდომაზე. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სასამართლო ადგენდა გამამართლებელ განაჩენსაც დამნაშავე პირის მიმართ, გარდა ამისა, საქმეები წყდებოდა აგრეთვე წარმოებით საკასაციო ინსტანციებშიც.

ბრალდებულის სამართალში მიცემის სტადიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო აღკვეთის ღონისძიების სწორად შერჩევა. თუ სასამართლო ჩათვლიდა, რომ წინასწარი გამოძიების სტადიაზე არასწორად იყო შერჩეული პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიება, მას შეეძლო შეეცვალა ასეთი.

მეტად საინტერესოდ გვესახება სამოქალაქო სარჩელის ანაზღაურების საკითხი. თუ წინასწარი გამოძიების ორგანოებმა არ ჩაატარეს ქონების აღწერა, არ დაადეს ყადაღა ბრალდებულის ქონებას და არ მიიღეს სხვა საჭირო ზომები სამოქალაქო სარჩელის ანაზღაურების მიზნით, მაშინ სასამართლო ვალდებული იყო გაესწორებინა ეს ნაკლოვანებანი განმწესრიგებელ სხდომაზე, რაც იშვიათად ხდებოდა.

განმწესრიგებელ სხდომაზე წყდებოდა ბრალდებულის, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის, მოწმეთა, ექსპერტთა, თარჯიმანთა და სხვა პირთა გამოძახების საკითხი. პროკურორი ვალდებული იყო საბრალდებო დასკვნისათვის დაერთო იმ პირთა სია, რომელთა გამოძახება სასამართლო სხდომაზე სავალდებულო იყო, ხოლო სასამართლოს კი ყურადღებით უნდა შეესწავლა ეს სია და გადაეწყვიტა ამა თუ იმ პირის გამოძახების აუცილებლობა. სასამართლო ასევე წყვეტდა საკითხს პროკურორის და დამცველის მონაწილეობის შესახებ საქმის განხილვის დროს. ამ გადაწყვეტილებასაც სასამართლო მიიღებდა არა წინასწარ, არამედ განმწესრიგებელ სხდომაზე. მაგრამ პროკურორს და დამცველს შეეძლოთ საქმეში მონაწილეობა მიეღოთ საკუთარი ინიციატივითაც. დამცველის მონაწილეობა სავალდებულო იყო იმ შემთხვევაში, როდესაც საქმეში მონაწილეობდა ბრალმდებელი და როდესაც ბრალდებულს, თავისი ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ნაკლის გამო არ შეეძლო სწორად აღექვა ესა თუ ის ფაქტი. ასევე დამცველის მონაწილეობა საჭირო იყო, თუ ბრალდებული არასრულწლოვანი პირი იყო.

განმწესრიგებელ სხდომაზე წყდებოდა აგრეთვე საკითხი საქმის განხილვის ადგილის და დროის შესახებ. რაც შეეხება საქმის განხილვის ვადებს, სასამართლო ვალდებული იყო დაეცვა ეს ვადები, რომლებიც გათვალისწინებული იყო ამა თუ იმ კატეგორიის საქმეთა განხილვისათვის.

განმწესრიგებელ სხდომაზე იხილებოდა ბრალდებულის ან მისი წარმომადგენლის შუამდგომლობანი. ეს შუამდგომლობანი შეეხებოდნენ ისეთ საკითხებს, როგორცაა: დამატებით მოწმეთა გამოძახება; რაიმე დოკუმენტების და ნივთმტკიცებულებათა გამოთხოვა; წინასწარი გამოძიების ორგანოთა უკანონო მოქმედებათა გასაჩივრება და ა. შ. სასამართლო ვალდებული იყო დაეკმაყოფილებინა შუამდგომლობანი, თუ მათ დაკმაყოფილებას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქმისათვის.

სამართალში მიცემის საბჭოური ინსტიტუტის ყოველმხრივი ანალიზი მეტყველებს იმაზე, რომ იგი საჭირო იყო დამნაშავეობასთან წარმატებული ბრძოლისათვის. ამდენად, მისი არსებობა გამართლებული იყო. რაც შეეხება იმ

ხარვეზებს და ნაკლოვანებებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ სასამართლოთა მიერ ბრალდებულის სამართალში მიცემის დროს, ეს იმით აიხსნება, რომ კიერითი მოსამართლე არასერიოზულად ეკიდებოდა ამა თუ იმ საქმის განხილვას. ამასთან საჭირო იყო ისეთი პროცესუალური გარანტიების არსებობა, რომლებიც გააუმჯობესებდნენ სამართალში მიცემის ინსტიტუტს სისხლის სამართლის პროცესში.



გამოსათხოვარი

ზურაბ რატიანი

ქართუმა იურიდიუმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა ცნობილი იურისტი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარე, ჟურნალ „სამართლის“ მთავარი რედაქტორი **ზურაბ რატიანი**.

ზურაბ რატიანმა განვლო რთული და შინაარსიანი უხოვრების გზა, რომელიც დასაწყისიდან მშობლების, შემდეგ მისივე მასშტაბური პიროვნების წყალობით მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებასთან. ძნელია დაასახელო ჩვენი არცთუ შორეული წარსულის სამართლებრივი პოლიტიკის რამდენადმე საყურადღებო მოვლენა, რომელშიც არ იყოს ზურაბ რატიანის, როგორც ერთ-ერთი ორგანიზატორის, ერუდირებული სამართალმცოდნის და პუბლიცისტის სასიკეთო წვლილი.

ზურაბ რატიანი დაიბადა 1922 წელს ქ. გორში თვადსაჩინო ინტელიგენტების — მწერალ მარიამ ვარიყულის და აგრონომ მედიკისედეკ რატიანის ოჯახში. თბილისის მე-2 საშუალო სკოლაში, შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის და იურიდიულ ფაკულტეტებზე მან საფუძვლიანი განათლება მიიღო. 1951 წელს ცნობილი მეცნიერის ნ. ადექსანდროვის ხელმძღვანელობით წარმატებით გაიარა საკავშირო იურიდიული ინსტიტუტის ასპირანტურა, სადაც დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სახელმწიფო სამართლის სპეციალობით.

აკადემიური განათლების მიღების შემდეგ ზურაბ რატიანი სხვადასხვა დროს მუშაობდა საშუალო სკოლის პედაგოგად, ადვოკატად, საქართველოს უმაღლესი სასამართლოს წევრად, თბილისის პროკურორის მოადგილედ. 50-იან და 60-იან წლებში



მას ეკავა მნიშვნელოვანი პარტიული თანამდებობები ცენტრალური კომიტეტის დექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელიდან ადმინისტრაციულ ორგანოთა განყოფილების გამგემდე. წინააღმდეგობრივი ეპოქის მიუხედავად ამ თანამდებობებზე საქმიანობისას გამორჩეული იყო მისი კეთილსინდისიერება და მაღალი პროფესიული კულტურა.



ზურაბ რატიანის ბიოგრაფიაში განსაკუთრებული იყო იუსტიციის სამინისტროში მოღვაწეობის პერიოდი, სადაც მან მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობაზე უხრამეტი წელი იმუშავა. ამ პერიოდში ახდებურად ჩამოყალიბდა იმჟამინდელი იუსტიციის ორგანოები, გამოიკა კანონთა წიგნებისა და კრებულების ტომეულები, რომლებიც ჩვენი წარსულის განუყოფელი ნაწილია.

ზურაბ რატიანი საქართველოს იურისტთა კავშირის დამაარსებელია. ამ საზოგადოების ხედმძღვანელებად იგი ორჯერ აირჩიეს და დემოკრატიული გარდაქმნების დასაწყისიდან სივოცხლის ბოლომდე თავმჯდომარეობდა მას.

იურისტთა კავშირის ხედმძღვანელობას იგი თავსებად ამავე საზოგადოების ჟურნალ „სამართ-

ლის“ რედაქტორობასთან, რომელიც მატერიალური სირთულეების მიუხედავად კვდავაც ეხმარება თანამედროვე საქართველოს მდიდარ იურიდიულ ვზორებას.

ზურაბ რატიანს ჰქონდა ადამიანებთან ურთიერთობის გამორჩეული კულტურა და უნარი, ჭეშმარიტი ქართული ინტელიგენციისათვის ნიშანდობივი პროფესიული და პიროვნული ღირსებები. სწორედ ამ თვისებებს აფასებდნენ მისი კოლეგები საქართველოში და საზღვარგარეთაც, როცა თავის დროზე საკავშირო იურიდიული საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილედ, შემდეგ ტეხასის შტატის ქადაქ ჰიუსტონის საპატიო მოქადაქედ ირჩევდნენ.

ზურაბ რატიანის ნათელი სსოვნა დაუვიწყარი იქნება ყველასათვის, ვინც მას იცნობდა.

- მ. შუპარდნაძე, ზ. ჟვანია, ვ. დორთქიშანიძე, მ. უგრახანიძე, ა. დემატირაშვილი, ჯ. ბაგიდაშვილი, დ. ჭანტურია, კ. თარგამაძე, ვ. ქუთათელიაძე, ნ. გურჯანაძე, ნ. საჯანია, თ. ნინიძე, გ. ტყეშელიაძე, ა. შუშანაშვილი.



მშვიდობით, ბატონო ზურაბ!

ვაგლახ, რომ ველარასოდეს შემოაღებთ რედაქციის კარებს და ველარ შეგვეხმიანებით თქვენული მსუყე იუმორით... ერთთავად ელეგანტურად შემოსილი, ირგვლივ მყოფთა ყურადღების ცენტრში ბრძანდებოდი ყოველთვის...

ამ უკანასკნელ ხანს ხშირად იხსენებდით თქვენი ხანგრძლივი და მდიდარი ცხოვრების ეპიზოდებს, საყოველთაოდ ცნობილ პიროვნებებთან შეხვედრებს... განსაკუთრებული გატაცებით მოგვითხრობდით ბატონ ელუარდ შევარდნაძესთან შეხვედრების თაობაზე. დიდად აფასებდით მის ნიჭიერებასა და პიროვნულ თვისებებს... ერთხელაც, გავკადნიერდი და ინტერვიუ ვთხოვეთ, დამეთანხმეთ და მეც მეორე დღესვე მოგართვით ოციოდე შეკითხვა. გულდაგულ ჩაიკითხეთ, გაიცინეთ და თქვით, საინტერესო კითხვებია და აუცილებლად ვიმუშავებო... ვაი, რომ ამ ჩანაფიქრს განსორციელება არ ეწერა თურმე.


წელს, მ თებერვალს, დიდი დავითის ხსენების დღეს, 77 წელი შეგისრულდათ. რაოდენ გავიხარე, როცა ლოგინს მიჯაჭვულმა პირადად თქვენ მიმიწვიეთ ამ საიუბილეო ვახშამზე... ენამჭვერობდით, სიხარულით გიბრწყინავდათ თვალები, მაგრამ ჟამიდან-ჟამზე სევდა გეუფლებოდათ, გაირინდებოდი ხოლმე და სადღაც სივრცეში ერთ წერტილს მისჩერებოდი... ალბათ, გული გიგრძნობდათ მოახლოებულ აღსასრულს...

მშვიდობით, ბატონო ზურაბ! თქვენი სახე სამუდამოდ აღიბეჭდება ჩემს მეხსიერებაში...

ბელა ბერკენიშვილი.



99-116



~~99-116~~
24-99

ნ 3399/2

F 244
1999